დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის 18 - 24 დეკემბერი
N 54 1518
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# მიშ, მტყუანის!

## ზურაბიშვილი სააკაშვილის შესაწყალებლად ემზადება!

2-3



## თხრის და გაითხრის!



22-23



## «ნაღდი „ქართული ოცნება“ ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულა!»

6-8



*იგორ კვესელავა:*

19

## ლენინგრადის არქივებში ცნობილი ქართველების შესახებ ისეთი მასალები მაქვს ნანახი, კაცს სიცოცხლე აღარ მოგინდება!

## ლეგენდარულ აზდაკს – რამაზ ჩხიკვაძეს 95 წელი შეუსრულდა, საქართველოში კი სამართალი ჯერაც არ აღსრულებულა!



# უტიაშვილო, ძღაბი!

11



*ავთანდილ ჯორბენაძე:*

24 29

## ასე იქმნებოდა ჯანდაცვის ახალი სისტემა!

# დაამხობენ!

## ზურაბიშვილი სააკაშვილის შესაწყალებლად ემზადება!



***პრეზიდენტ ზურაბიშვილს, რომელმაც პატიმარ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით რამდენჯერმე განაცხადა — „არა და არასოდეს!“ — ახლა საკუთარი სიტყვები უკან მიაქვს და „რადიო თავისუფლების“ პრაღის ბიუროსათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ სააკაშვილის შეწყალებაზე უარი არასოდეს უთქვამს.***

უფრო კონკრეტულად, „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტის რეპლიკას — **თქვენ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე უარი თქვითო,** ზურაბიშვილმა უპასუხა — **„უარი არ განმიცხადებია!“**

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით ნათქვამი — **„არა და არასოდეს!“** — ასე საჯაროდ, თანაც, გავლენიან საერთაშორისო მედიასაშუალებასთან ინტერვიუში გადათქვა!

რაც უფრო შორდებოდა **სალომე ზურაბიშვილი** ქართველ ხალხს და რაც უფრო უახლოვდებოდა ქართველი ხალხის სისხლში ამოსვრილ ნაცბანდას, მით უფრო არადამაჯერებელი ხდებოდა მისი ადრინდელი განცხადება — **სააკაშვილს არასოდეს შევიწყალებო!**

სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე **ზურაბიშვილის** პასუხები განსაკუთრებით ბუნდოვანი და ორაზროვანი გახდა მას შემდეგ, რაც მან **ნიკა გვარამია** შეიწყალა და ისიც კი არ ინება, საზოგადოებისათვის განემარტა, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი!

მიუხედავად ამისა, **სალომე ზურაბიშვილი** მკაფიოდ, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მაინც არ ემიჯნებოდა სააკაშვილის შეწყალების თაობაზე მის მიერვე გაკეთებულ განცხადებას — **„არა და არასოდეს!“**

ახლა კი პრეზიდენტმა **ზურაბიშვილმა** ესეც გააკეთა!

ახლა უკვე იკადრა — სააკაშვილის შეწყალებაზე უარი არასოდეს მითქვამსო!

**თითქოს, ქართველ საზოგადოებას ამნეზია სჭირდეს!**

**თითქოს, საქართველოს მოსახლეობას დაავიწყდა, როგორ ამბობდა სალომე ზურაბიშვილი** — არასოდეს დამავიწყდება სანდრო გირგვლიანის დედისა და სხვა გაუბედურებული ადამიანების თვალები, რომლებიც სამართალს ელოდებოდნენ, ამიტომ სააკაშვილს არავითარ შემთხვევაში არ შევიწყალებო!

კი, სიტყვასიტყვით ასე თქვა ერთხელ გაიმეორა:

*„რადგან საკითხი კიდევ ერთხელ მუსირებს, უნდა ვთქვა, რომ ჩემი პოზიცია ყოფილი პრეზიდენტის შეწყალებაზე მყარი და უცვლელია —* ***არა და არასოდეს!*** *ყოფილი პრეზიდენტი არც პოლიტიკური პატიმრის და არც უდანაშაულო მსხვერპლის არცერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს“.*

დღეს კი იგივე **სალომე ზურაბიშვილი** ამბობს, რომ სააკაშვილის შეწყალებაზე უარი არასოდეს განუცხადებია!

„რადიო თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სტრიქონებს შორის იმის ამოკითხვაც შეიძლება, თუ როგორ აპირებს იგი სააკაშვილის შეწყალების შეფუთვას:

*„მე შეწყალებასთან დაკავშირებით კომენტარს არ ვაკეთებ, თუ არ ვამბობ, რომ ვინმეს ვიწყალებ და ეს არ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ* ***მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ევროპულ გზაზე დაყენებაში.*** *არამხოლოდ მან,* ***ასევე შევარდნაძემ,*** *რომელიც იყო პირველი, ვინც ჭიშკარი გახსნა.* ***ზურაბ ჟვანიამ,*** *რომლის 60 წლის იუბილე აღინიშნა რამდენიმე დღის წინ, უდიდესი როლი ითამაშა. ყველას ახსოვს, რომ ის იყო პირველი, ვინც თქვა:* ***„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“.***

# სააკაშვილის შეწყალების შემთხვევაში ქართველი ხალხი სალომე ზურაბიშვილს პოლიტიკური ლინჩის წესით გაუსწორდება!

მართალია, **სალომე ზურაბიშვილი** არამხოლოდ ქართულად, არამედ ფრანგულად და ინგლისურადაც გაუგებრად ლაპარაკობს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც გასაგებია, რასაც გულისხმობს — **სააკაშვილის შეწყალებას იმ მოტივით აპირებს, რომ მას, თურმე, თავისი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს ევროპულ გზაზე დაყენებაში!**

კი, სწორედ ეს იკითხება ზურაბიშვილის განცხადებაში — **შევარდნაძისა და ჟვანიას მსგავსად, სააკაშვილის დამსახურებაც არის, რომ საქართველო ევროპულ გზაზე დგას და ჩემ მიერ მისი შეწყალება ამით იქნება განპირობებულიო!**

ზურაბიშვილი სააკაშვილის შეწყალებით ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს ხომ ისედაც სულში ჩააფურთხებს, მაგრამ კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი და დამცინავი ის იქნება, როცა გამოაცხადებს — **სააკაშვილი იმიტომ შევიწყალე, რომ საქართველოს ევროპულ გზაზე დაყენებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილიო!**

ე.ი. **ზურაბიშვილი** აპირებს, ქართველ ხალხს უთხრას, რომ **„სიკვდილის ბრიგადების“ შექმნა და უდანაშაულო ახალგაზრდების დახოცვა, მშვიდობიანი საპროტესტო აქციების სისხლში ჩახშობა და ცემით მოკლულ მომიტინგეთა ცხედრების ჯიხურის სახურავზე შემოლაგება, ციხეებში პატიმრების წამება და გაუპატიურება, მართლმსაჯულების ორგანოების პოლიტიზება და რეპრესიულ იარაღად გამოყენება, მედიისა და ბიზნესის ტერორი და ათასი სხვა უბედურება,** რასაც სააკაშვილი და მისი კრიმინალური რეჟიმი 9 წლის განმავლობაში სჩადიოდნენ, საქართველოს ევროპასთან აახლოებდა, რის გამოც სააკაშვილი შეწყალებას იმსახურებს!

2021 წლის 10 იანვარს:

*„ქვეყნის პრეზიდენტისათვის სასიამოვნო არ არის, როდესაც ყოფილ პრეზიდენტს აპატიმრებენ კამერების წინაშე, თუმცა, სამართალი და კანონის უზენაესობა ამას მოითხოვს და კანონის წინაშე ყველა ერთია. ბევრი კითხულობს დღეს, პრეზიდენტი აპირებს თუ არა მის შეწყალებას, პასუხი არის ერთი, მარტივი და საბოლოო —* ***არა და არასოდეს!“***

2021 წლის 3 ნოემბერს სალომე **ზურაბიშვილმა** კიდევ

**საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისივე ნათქვამის ასე უტიფრად უარყოფა მხოლოდ იმის მომასწავებელი შეიძლება იყოს, რომ იგი პატიმარ სააკაშვილის შეწყალებას აპირებს!**

**საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკუთარი გადაფურთხებულის ასე უსირცხვილოდ ალოკვა მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ მას უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება სისხლიანი ნაცრეჟიმის ბელადის შეწყალების შესახებ!**

სალომე ზურაბიშვილის მიერ

ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნება **სალომე ზურაბიშვილის** მიერ სულში ჩაფურთხებული და აბუჩად აგდებული ქართველი ხალხის რეაქცია სააკაშვილის შეწყალებაზე და, მით უფრო, იმ მოტივით შეწყალებაზე, თითქოს მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმის ბელადი

# ზურაბიშვილი ისეთ ადგილას თხრის, აუცილებლად გაითხრის პოლიტიკურ სამარეს!

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი*



**ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით** გვეხსნება ახალი შესაძლებლობები ქვეყნის შიგნით **პოლიტიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სტატუსის ამაღლებისა; ასევე, კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და ეკონომიკური წინსვლისა.**

გილოცავთ და გლოცავთ. **ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ინებოს ღმერთმა საქართველოს ერთობა, მშვიდობა და წარმატებული მომავალი.**

„პალიტრანიუსი“

**ირაკლი ღარიბაშვილი**

*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით **გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას, საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა,** გილოცავთ ყველას! დიახ, **ჩვენ არ დავდექით ცალ ფეხზე და მუხლის ჩოქებზე, არამედ დავდექით მტკიცედ და ღირსეულად მოვიპოვეთ გამარჯვება** — ეს ისტორიული გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ჩვენს დაუმარცხებელ, გაუტეხელ, ამაყ და თავისუფლების მოყვარე ქართველ ხალხს!

„ინტერპრესნიუსი“

**პაველ ჰერჩინსკი**

*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



გილოცავ, **საქართველო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის.** წინ, საქართველო, წინ!

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**

*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილზე** წარმოდგენა შეიცვლება, **თუ სააკაშვილს შეიწყალებს.**

„რეზონანსი“



# მიშ, მტყუანის!

***როგორც იქნა, ოფიციალურად დაესვა წერტილი ნაცბანდისა და მისი მოკავშირეების იმედს იმის თაობაზე, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ვერც ამჯერად მიიღებდა და რადიკალურ ოპოზიციას საბაბი მიეცემოდა, „პრორუსული“ ხელისუფლების დასამხობად საპროტესტო ტალღა აეგორებინა.***

მართალია, ევროკომისიას საქართველოსათვის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია ჰქონდა გაცემული, მაგრამ **კოლექტიური ნაცმოძრაობა ბოლო წუთამდე მაინც არ კარგავდა იმედს, რომ ევროსაბჭო ნეგატიურ გადაწყვეტილებას მიიღებდა ან, როგორც მინიმუმ, საქართველოსათვის სტატუსის მინიჭების საკითხს გადაავადებდა.** კერძოდ, **წყალწაღებული ნაცსექტა** ხავსივით ეჭიდებოდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ **ვიქტორ ორბანის** პოზიციას, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა უკრაინასთან მოლაპარაკების დაწყებას ევროკავშირში მისი გაწევრიანების შესახებ.

**კოლექტიური ნაცმოძრაობა** იმედოვნებდა, რომ **ორბანი** უკრაინის საკითხს ვეტოს დაადებდა და ეს საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის დაბლოკვასაც გამოიწვევდა, მაგრამ ასე არ მოხდა. **უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა უკრაინის საკითხით წარმატებულად ივაჭრა და იმ 10-მილიარდიანი დაფინანსების გამოყოფას მიაღწია, რომელიც ევროკავშირმა უნგრეთს შარშან გაუყინა, აქაოდა — კანონის უზენაესობა წესრიგში არ გაქვსო!** შესაბამისად, **ორბანმა** უკრაინის საკითხზე ვეტო აღარ გამოიყენა და 2023 წლის 14 დეკემბერს ევროსაბჭომ თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა: **უკრაინასა და მოლდოვასთან დაიწყოს მოლაპარაკებები ევროკავშირში მათი გაწევრიანების თაობაზე, ხოლო საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი!**

სანამ ეს მოხდებოდა, ერთი დღით ადრე, 2023 წლის 13 დეკემბერს, ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო **ციხეში არგადაყვანილმა და ჯერ ისევ კლინიკა „ვივამედის“ ლუქსპალატაში წამოგორებულმა მიხეილ სააკაშვილმა** თავის ფეისბუქ-გვერდზე წერილი, უფრო ზუსტად კი, წერილის ფოტოპირი გამოაქვეყნა, რომლის ტექსტიც **უტიფარი ტყუილით** იწყება და **უტიფარი ტყუილითვე** მთავრდება.

ბოლომდე რომ დავაკონკრეტოთ, სააკაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე ის ტექსტია აღბეჭდილი, რომელზე ხელის მოსაწერადაც **პრეზიდენტ ზურაბიშვილის** რეზიდენციაში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური თუ პროფესიული წრის წარმომადგენლები... როგორც ჩანს, ზურაბიშვილის ადმინისტრაციის მეშვეობით თუ სხვა რამ გზით, ეს ტექსტი სააკაშვილთანაც მოხვდა და პატიმარმა ნაცბელადმა, რომელსაც საქართველოში ყველაზე ანტიევროპული რეჟიმი ჰქონდა დამყარებული, ხელი მოაჯღაბნა პეტიციას საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ჯერ ერთი, **ტყუილი, თვალთმაქცობა და ფარისევლობაა, რომ სააკაშვილს საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება სურდა!** პირიქით, **ყველაზე მეტად სწორედ სააკაშვილს არ უნდოდა და არ აწყობდა, რომ საქართველოს სტატუსი მიეღო,** რადგან ნომერ პირველი რევანშისტი, რომელიც მთელ თავის პოლიტიკურ იმედებს საქართველოსათვის სტატუსის დაბლოკვასა და ამ საბაბით „ქართული მაიდნის“ მოწყობაზე ამყარებდა, სწორედ პატიმარი ნაცბელადია.

როცა ვხვდებით, რომ ვიღაც აშკარად გვატყუებს და ცდილობს, წარმოუდგენელი სიცრუე ჭეშმარიტებად შემოგვასაღოს, ქართველები მაშინვე ვეტყვით — **„მაშ, მტყუანის!“** — მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვთქვათ — **„მიშ, მტყუანის!“** — რადგან მიშა ცდილობს, დაგვაჯეროს, თითქოს საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება სურდა.

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ტყუილი, რომელსაც სააკაშვილის მიერ ფეისბუქში გამოქვეყნებული ფოტო-წერილი პირდაპირ ცხვირში გვახლის! დააკვირდით, როგორ იწყება ტექსტი: ***„ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები“...***

აქ მიშას ისევ უნდა ვუთხრათ — **მიშ, მტყუანის!** — რადგან **მიშა საქართველოს მოქალაქე არ არის!**

**მიშამ** თვითონ თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე!

**მიშამ** საქართველოს მოქალაქეობა უკრაინის მოქალაქეობაზე გაცვალა, რათა ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტი დაეკავებინა!

**მიშა** ქართული კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა!

ასე რომ, **სააკაშვილის ხელმოწერა ნებისმიერ ტექსტზე, რომელიც იწყება სიტყვებით — „ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები“ — უბრალოდ, ბლეფი და მტკნარი სიცრუეა!**

ბლეფი და მტკნარი სიცრუეა ისიც, რაც სააკაშვილმა ტექსტის ქვეშ საკუთარ ხელმოწერასთან ერთად მიაბატიფეხურა — ***„პუტინის პირადი პატიმარი“.***

კიდევ ერთხელ — **მიშ, მტყუანის!**

**პუტინის პატიმარი მიშა!** — ეს ძალიან სასაცილო და უბადრუკი **ტყუილია!** ისეთივე სასაცილო და უბადრუკი **სიცრუე,** სააკაშვილს ციხეში პუტინის დავალებით რომ წამლავდნენ და ერთი წლის განმავლობაში ვერაფრით მოწამლეს... გორის სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობისას შენობის ფანჯრებქვეშ მდგარ შავ ჯიპზე დამონტაჟებული სპეცაპარატურით რომ ასხივებდნენ და ვერ დაასხივეს...

ყველაფერს თავი დავანებოთ, **ქართულ ციხეში პუტინის პირადი პატიმარი რომ იჯდეს, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არავინ მიანიჭებდა!**

პუტინის პირადი პატიმარი კი არა, **ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფოდან რომელიმე ერთის ლიდერს იოტისოდენა ეჭვი მაინც რომ ჰქონდეს — საქართველოს მესამე პრეზიდენტი ციხეში უდანაშაულოდ ხომ არ ზის და პოლიტიკური დევნის მსხვერპლი ხომ არ არისო, საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მაშინვე ვეტოს დაადებდა!**

დღეის ამას იქით, **მიშარასტული სექტის** ყოველ წამოკნავლებაზე — საქართველოს რუსული რეჟიმი მართავს და მიშა პუტინის პატიმარიაო, საუკეთესო პასუხი გახლავთ ევროსაბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ!

და ეს პასუხი ჩატეულია ორად ორ სიტყვაში — **მიშ, მტყუანის!**

***ჯაბა ხუგუა***

## ქართულ ციხეში პუტინის პირადი პატიმარი რომ იჯდეს, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არავინ მიანიჭებდა!

საქართველოს ევროპული მომავლისათვის იღვწოდა!

**სალომე ზურაბიშვილის** მიერ ნაღალატევმა ქართველმა ხალხმა მის მიერ **ოქრუაშვილის, უგულავას, რურუასა და გვარამიას შეწყალება** მოითმინა!

იგივე ხალხი ჯერ კიდევ ითმენს **სალომე ზურაბიშვილის** პოლიტიკურ დამოყვრებას სისხლიანი ნაცრეჟიმის ნარჩენებთან და სხვა ანტიქართულ ძალებთან, რომლებიც ქართული სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრით არიან დაკავებული!

თუმცა, **სალომე ზურაბიშვილის მიერ სააკაშვილის შეწყალებას ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი ნამდვილად ველარ აიტანს და პრეზიდენტს, რომელმაც სახალხო ლეგიტიმაცია ისედაც დიდი ხანია, დაკარგა, პოლიტიკური ლინჩის წესით გაუსწორდება!**

პირდაპირ რომ ვთქვათ, სააკაშვილის შეწყალების შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილს უმოწყალოდ მოექცევა და **პრეზიდენტის სკამიდან ჩამოაგდებს სწორედ ის ხალხი, რომელმაც პრეზიდენტის სკამზე მის დასასმელად ლამის მთები გადადგა!**

კიდევ უფრო გახსნილად და ალალად თუ ვიტყვით, სალომე ზურაბიშვილს დამხობა ემუქრება! ყოველ შემთხვევაში, **პრეზიდენტი ზურაბიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართველმა ხალხმა დაამხოს და თანაც, ამას ისეთი მონდომებით აკეთებს, აუცილებლად გამოუვა!**

### ბოლოთქმა

*ერთხელ, როცა საქართველოს არქეოლოგიური პოტენციალის შესახებ საუბრობდა, **სალომე ზურაბიშვილმა** თქვა: **„სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია, გათხარო!“***

*ჰოდა, ახლა პრეზიდენტი ზურაბიშვილი ისეთ ადგილას თხრის, **აუცილებლად გაითხრის პოლიტიკურ სამარეს!***

***ჯაბა ხუგუა***



საქართველოს მესამე პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

13 დეკემბერი, 2023

**ჩვენი ხმა ევროპას**

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები,

მოგმართავთ თქვენ - ევროპის ლიდერებს - დეკემბრის ისტორიულ გადაწყვეტილებამდე. გვსურს მოგაწვდინოთ ჩვენი, ხალხის ერთობლივი ხმა და დაგანახოთ ჩვენი ერთობლივი სულისკვეთება.

მოგმართავთ, მიანიჭოთ ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი, თანახმად საქართველოსა და მისი ხალხის მრავალწლიანი მიზანმიმართული სწრაფვისა და ურყევი ნებისა. საქართველოს ხალხის გამოხატული ნება ვერ შეარყია ვერცერთმა ურთულესმა გამოწვევამ - ვერც ომმა და ვერც რუსულმა ოკუპაციამ. ჩვენი წარსულით და საერთო ღირებულებებით დიდი ხანია ერთნი ვართ. მაშასადამე, ჩვენი მომავალი თქვენთანაა, ევროპაშია და ამას ალტერნატივა არ გააჩნია!

საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილი პირობის თანახმად, ძალისხმევას არ დავიშურებთ და არაფერს დავაკლებთ ჩვენს მიზანს: სხვადასხვა პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად, ერთობის ძალით ხელს ვაწერთ ამ პეტიციას და ვითხოვთ კანდიდატის სტატუსს.

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ჩვენი პიარული გუნდის გაძლიერება ნიშნავს, რომ **ჩვენთვის საკმარისი არ არის 55 პროცენტის მიღება საპარლამენტო არჩევნებში** — ჩვენი პრინციპული ამოცანაა, კოლექტიური ნაცმოძრაობა საბოლოოდ დავასრულოთ.

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ქალაქის განვითარება ხდება **გენერალური გეგმის მიხედვით** და ბრალდებებს, რაც ისმის, არანაირი საფუძველი არა აქვს — **მშენებლობა და აღმშენებლობა ერთგვარ დანაშაულად იქცა რადიკალებისთვის.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მე ვარ **ამაყი ქართველი და უკრაინის ამაყი მოქალაქე** — ევროპამ შემოაბიჯა კავკასიაში და ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ **საქართველოში ერთხელ აფრიალებული ევროპის დროშა აღარასდროს დაეშვება.**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



**საქართველო არასდროს დადგება ცალ ფეხზე** იმისთვის, რომ ვინმეს თავი მოაწონოს — **მყარად, ღირსებით შევალთ ევროპულ ოჯახში,** დავბრუნდებით ჩვენს ადგილას, სადაც ამ ქვეყნის ბუნებრივი ადგილია.

„ინტერპრესნიუსი“

# ძირს გეი-ევროპა, გაუმარჯოს სოლომონ მეფეს!

***2023 წლის 14 დეკემბერს ტყიბულში დიდი ქართველი მეფის სოლომონ პირველის ძეგლი აღიმართა. მონუმენტის ავტორია ცნობილი ქუთაისელი მოქანდაკის და პედაგოგის აკაკი კიკვაძის ვაჟი გიორგი კიკვაძე, რომლის სახელსაც არაერთი ცნობილი ქანდაკება უკავშირდება. კერძოდ, მისი შექმნილია იპოლიტე ხვიჩიას ძეგლი ბიჭუნასთან ერთად ლადო მესხიშვილის თეატრის გვერდით; მასვე ეკუთვნის თეთრ ხიდზე დადგმული „პიკასოს ბიჭის" ქანდაკება, ექვთიმე თაყაიშვილის მონუმენტი პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ, ტიციანისა და პაოლო იაშვილის ძეგლი თეთრ ხიდთან...***

სახვითი ხელოვნების სპეციალისტი არ გახლავართ და ძეგლის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე კომპეტენტურად ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ გულს გვიხარებს ის ფაქტი, რომ **გიორგი კიკვაძის „სოლომონ დიდი"** არც იდეურად და არც სხვა კრიტერიუმებით არაფრით ჰგავს **ჯორზე ამხედრებული ხათუნა გოგორიშვილის თუ ელისტრაკო კილაძის იმ საშინელებას, რომელიც გარყვნილი სააკაშვილის რეჟიმის ზეობის ჟამს მესტიაში დადგეს და ქართველი ერის ისტორიის, იდენტობისა და დღევანდელობის შეურაცხყოფის მიზნით, „თამარ მეფე" უწოდეს!**

## 266 წლის წინათ, ამ დღეს, 1757 წლის სწორედ 14 დეკემბერს, გაიმართა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, როცა ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილთან თურქების 40-ათასიან ურდოს იმერეთის 22 წლის მეფე სოლომონ პირველმა ქართველთა 12-ათასიანი ლაშქრით კისერი მოუგრიხა, დაამინა და უკვდავებაში შეაბიჯა!

კარგია, რომ ასე მოხდა — საქართველოში სოლომონ პირველის პირველი ძეგლი აუცილებლად 14 დეკემბერს და უსათუოდ ტყიბულში უნდა გახსნილიყო!

266 წელია, ქართველი ერი ადიდებს **გმირთაგმირ სოლომონს,** რომელმაც 1754




## ხრესილის ბრძოლის 266-ე წლისთავზე საქართველოში სოლომონ პირველის პირველი ძეგლი აღიმართა!

## საინტერესოა, გადაფარავს თუ არა 2023 წლის 14 დეკემბერს მიღებული კანდიდატის სტატუსი 1757 წლის 14 დეკემბერს გამართულ ხრესილის ბრძოლას, სადაც საქართველოს გამარჯვება სისხლით დაიწერა?

წელს თურქებს ქართველი გოგო-ბიჭების ყიდვა-გაყიდვა აუკრძალა და ყველა ქართველი, ვინც ამ წყეულ საქმეში გარეული აღმოჩნდებოდა, ეკლესიას შეაჩვენებინა.

**ქართველი ერი მუხლს იყრის იმ სოლომონის წინაშე, რომელმაც უარი თქვა მამის ტიტულზე, ყოფილიყო „მონა ღვთისა და ყმა ხონთქრისა"...**

ხრესილის დიადი გამარჯვების შემდეგ, როცა **თავმოჭრილი და სამარცხვინოდ დამარცხებული თურქები** იმერეთიდან გააპანღურეს, **სოლომონ დიდის** ტიტული ასე ჟღერდა — **„ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლს მჩქეფე, იმერთ მეფე სოლომონ!"** კარგია, რომ ძეგლის ავტორმა, მოქანდაკე **გიორგი კიკვაძემ** გაითვალისწინა და კვარცხლბეკზე, რომელზეც ცხენზე ამხედრებული სოლომონ პირველის მონუმენტია აღმართული, ეს სიტყვებიც გამოსახა.

საისტორიო ბედისწერით თუ ბედის ირონიით, როცა ევროპის მიერ ზურგშექცეული და თურქეთისა და ირანის საჯიჯგნად გამეტებული საქართველო **1757 წლის 14 დეკემბერს** ხრესილის ველზე გადარჩენისთვის იბრძოდა, **ამ ამბიდან ზუსტად 266 წლის შემდეგ, 2023 წლის 14 დეკემბერს,** ტყიბულში **სოლომონ პირველის** ძეგლის გახსნის დღეს, ევროპის ოცდაშვიდმა სახელმწიფომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. ახლა, როცა წინამდებარე წერილს ვწერ, 2023 წლის 15 დეკემბერია და თბილისში დიდი სახალხო ზეიმია დანიშნული. **გაგიხარიათ, ზეიმი მეტად კარგი რამეა, მაგრამ მწარედ მახსოვს ჩვენი წარსული და დღევანდელობა, როცა გადაჭარბებული ზეიმები და ტლინკების ყრა ვაი-უის ჯლავილად გვექცა!**

მართლაც, ჩვენ ვზეიმობდით **1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატს, 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსის ჯარის შემოსვლას, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებას, 1945 წლის 9 მაისის დიად გამარჯვებას, 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცხადებულ ნანატრ თავისუფლებას, 1992 წლის ივლისში გაეროში გაწევრიანებას, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემას, 1993 წლის 18 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ზვიად გამსახურდიასთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას, 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხებას, ნაძირალა სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას, რომელმაც ყველა უბედურებასთან ერთად ისიც ქნა, რომ პირიდან ამოშვებული სიტყვები უკან შეიტენა...**

მოკლედ, ჩვენ ბევრი ვიზეიმეთ, ვიცუნდრუკეთ, ვიხტუნეთ და საბოლოოდ ხელში შეგვრჩა **სამ სამეფოდ დაშლილ-დანაფოტებული საქართველო...**

ნათქვამია, რკინა ცეცხლში გამოიცდება და გამოიწრთობაო!

საინტერესოა, **რას იტყვის 266 წლის შემდეგ ქართველი მეისტორიე და გადაფარავს თუ არა 2023 წლის 14 დეკემბერს მიღებული კანდიდატის სტატუსი 1757 წლის 14 დეკემბერს გამართულ ხრესილის ბრძოლას, სადაც საქართველოს გამარჯვება სისხლით დაიწერა?**

ჯერჯერობით ამ 14 დეკემბერსა და იმ 14 დეკემბერს მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ — საქართველოს მარადიული მტრები!

როგორც წყეული ნაცები და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტები — **სალომე სამადაშვილი, ხატია დეკანოიძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, გიორგი კანდელაკი, ჩიჩე ვაშაძე, ხათუნა სამნიძე, თამარ ჯუსტანოვ-**

## კვირგვინოსნები

**სპარტაკ ქობულია**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი*

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა, რომ „ქართული ოცნებისა" და მისი დამფუძნებლის **ბიძინა ივანიშვილის,** პარტიის დღევანდელი თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის,** გენერალური მდივნის **კახა კალაძისა** და, რაც მთავარია, ქვეყნის „უშიში ვითარცა უხორცო", უკვე ორგზის ნაცადი პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** პრინციპულობამ, გულწრფელობამ, დიპლომატიურმა სიმტკიცემ და სიმართლემ **ბოლომდე ნიღაბი ჩამოხადა არამხოლოდ ჩვენს დაუნდობელ, შხამიან ოპოზიციას, არამედ ბარეორ ევროპელ მაღალჩინოსანსაც!**

ევროკავშირის ოცდაშვიდივე წევრი ქვეყნის ერთსულოვანი მხარდაჭერა უფრო მეტია, ვიდრე რიგითი კანდიდატობა. ეს იმის გარანტიაც არის, რომ ჩვენი დაშლილ-დანაწევრებული ოპოზიცია, ვიდრე „ოცნება" ხელისუფლებაშია, ციხის შიგნიდან გატეხას ვეღარასოდეს შეძლებს.

**კარგად გაიაზრე ეს, ქართველი ხალხის სისხლისმწოველო ოპოზიციავ** და სრული სვლით განაგრძე გზა თვითმკვლელობისაკენ!

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი*

ევროკომისიის მიერ წარდგენილ **„დემოკრატიის დაცვის პაკეტში"** შედის **აგენტების გამჭვირვალობის კანონი** და მიზანი არის დემოკრატიის დაცვა, ზუსტად ის, რასაც ჩვენ ვამბობდით. „პირველი არხი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*

ვინ იფიქრებდა, რომ **„ქართული ოცნების" რეიტინგი 10 პროცენტით გაიზრდებოდა...** ადამიანებში ძალიან მაღალია უიმედობის განცდა. **მოსახლეობა სხვა საყრდენს ვერ ხედავს, გარდა ხელისუფლებისა.** მოხდება ის, რაც 11 წლის მანძილზე ხდებოდა — **„ოცნება" კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს და აიღებს უმრავლესობას.** „ახალი თაობა"

**დოდო ხურცილავა**
*თეატრმცოდნე*

ჩვენმა მთავრობამ ევროპას აჩვენა, რომ **არ არის აუცილებელი ცალ ფეხზე დგომა.** „TV იმედი"




ნა ქორძაია, ანა ამირანოვნა ნაცვლიშვილი, თინათინ ბოკუჩავა, ნინო ლომჯარია და მთელი ამ სამყაყეთის ბოროტი შეფინია სალომე ზურაბიშვილი დაეთრეოდნენ ევროპაში და სისინებდნენ — **საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭოთო!** — სწორედ ასე ჩაეთრა სოლომონ დიდის გამზრდელი ბაბუა — სამშობლოს მოღალატე **ლევან აბაშიძე** ახალციხის ფაშასთან, გადაჯიშებულ და გამაჭმადიანებულ **ქემხა ჯაყელთან** და შეევედრა — **გვიშველეთ, სოლომონმა „ტყვის სყიდვა“ აგვიკრძალა, ფულს ველარ ვშოულობთ, ქართველ გოგო-ბიჭებს ველარ ვიტაცებთ და სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად ველარ მიგვყავსო!**

მაშინვე 40-ათასიანი ჯარი შეკრიბა **ქემხა-ფაშამ,** რომელსაც სერასკირი **გოლა-ფაშა** უსარდლა და საირმე-ბაღდათის გზით, ხანისწყლის ხეობით, იმერეთის ასაწიოკებლად და **სოლომონის** შესაპყრობად გამოგზავნა! **მოღალატე ლევან აბაშიძე ლაშქარს წინ მოუძღოდა, რომელსაც 1757 წლის 12 დეკემბერს ქუთაისში თავისი ლაშქრით შეუერთდა მეორე მოღალატე — როსტომ რაჭის ერისთავი.** ეს ის როსტომია, რომელმაც 1753 წელს სოფელ წესთან, მდინარე ლიხუნისა და რიონის შესართავთან, ვინმე ხუროთმოძღვარ **ავთანდილ შულავრელს** ბარაკონის ბრწყინვალე ტაძარი ააშენებინა, მაგრამ მალე საქართველოს ღალატის გზას დაადგა და **„შულავერის კომიტეტში“** აღმოჩნდა...

ვინ მოსთვლის, რამდენი იმ ქართველი გოგო-ბიჭის ცრემლები და გმინვა ისმის ბარაკონის ჩუქურთმიანი კედლებიდან, რომლებიც **როსტომ რაჭის ერისთავის** მსგავსმა ნაგვებმა და მოღალატეებმა სტამბოლის ბაზარზე გაყიდეს და მერე თავიანთი შავი მუცლის ამოყორვას გადარჩენილი ფულით ეკლესია ააშენეს, რათა სამოთხეში შარავანდედით შესულიყვნენ.

**საქართველოს მოღალატეებმა კარგად დაიმახსოვრონ, რომ 2023 წლის 14 დეკემბერს საქართველოში აღიმართა იმ კაცის ძეგლი, რომელმაც როსტომ რაჭის ერისთავს ღალატი არ აპატია და ხრესილის ომიდან ცხრა წლის შემდეგ, საერისთავოც გაუუქმა და შვილებთან ერთად თვალებიც დასთხარა!**

ჩვენ არ შევუდგებით ხრესილის ომის დეტალურ აღწერას და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, როგორ მოკლა **სოლომონ მეფემ სერასკირი გოლა-ფაშა,** როგორ ჩააძაღლა ახალგაზრდა გლეხმა **ბებელა თევდორაძემ** მეფის პაპა, მოღალატე **ლევან აბაშიძე** და როგორ დაასაჩუქრა 22 წლის მეფემ **ბებელა თევდორაძე** აზნაურობით, რომელსაც ამიერიდან **„გეგელაშვილი“** ეწოდა... არც იმაზე მოგახსენებთ ბევრს, როგორ იბრძოდნენ ხრესილის ომში იმერლების მხარდამხარ გურულები და მეგრელები, რომელთა მთავარმა, მოხუცმა **ოტია დადიანმა** სიძე ბატონსა და ხელმწიფეს — სოლომონს სოფელ გორდში მიცემული პირობა შეუსრულა და სამეგრელოდან ჯარი მიაშველა.

**78 წლის იყო აფხაზთა მთავარიხუტუნია შერვაშიძე, რომელმაც ხრესილის ომში 16 თურქი აკეპა, მაგრამ თავადაც დაიღუპა...**

საინტერესოა, სად იყვნენ, ვინ იყვნენ და რა ენაზე ლაპარაკობდნენ მაშინ ის ხალხი, რომლებმაც დღეს „აფხაზები“ დაირქვეს და ქართველის ხსენება და გაგონება არ უნდათ!

## ისიც საინტერესოა, რამდენი გადაუხადეს ნაძირალა სააკაშვილსა და მის ადგილობრივ ხელისბიჭებს თავიანთმა ევროპელმა, თურქმა თუ ამერიკელმა პატრონებმა საქართველოს ისტორიის გაყალბებაში, როცა ნაცრეჟიმის ზეობის ჟამს ხრესილის ველზე დადგმული წარწერა გადაფხიკეს და ტექსტიდან „თურქის“ ხსენება სამარცხვინოდ გააქრეს.

ვიდრე საქართველოს ისტორიის გადამწერები და გარყვნილი სააკაშვილის ხარჭები თუ ხადუმები ხელისუფლებაში მოეთრეოდნენ, ხრესილის ველზე დადგმულ ქვაზე ასე ეწერა — **„ქრისტეშობიდან 1757 წლის 14 დეკემბერს ოკრიბაში, სოფელ ხრესილთან, სოლომონ მეფის მხედრობით და უფლის შეწევნით, ქართველებმა თურქებთან ბრძოლაში გაიმარჯვეს.“**

სააკაშვილი რომ მოეთრა, მთელი აჭარა თურქებს საჯიჯგნად მიუგდო და **ოკუპანტი თურქეთი „საქართველოს მეგობრად“ გამოგვიცხადა,** ქვაზე შესრულებული ზემოხსენებული წარწერა უმალ გადაფხიკეს და ასე შეცვალეს — **„ქრისტეშობიდან 1757 წლის 14 დეკემბერს ოკრიბაში, სოფელ ხრესილთან, სოლომონ მეფის მხედრობით და უფლის შეწევნით, ქართველებმა მტერთან ბრძოლაში გაიმარჯვეს.“** ანუ **„თურქი“** შეცვალეს **„მტრით“...** რომელია ეს „მტერი“ და საიდან მოვიდა ის — **საღორიის ტყიდან, სააკაშვილის სექს-კამერიდან, ევროკავშირის გეი-ბორდელიდან თუ მამუკა ხაზარაძის „უბორნიიდან“, ღმერთმა უწყის.**

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **ხრესილის ველზე დადგმულ ქვაზე დაწერილი ისტორიაც რუსებმა გაგვიყალბეს თუ ჩვენივე ხელით გამოვისვით დანა ყელში და უკადრებელი ვიკადრეთ?**

ხრესილის ომი გამოიწვია „ტყვის სყიდვის“ აკრძალვამ, რასაც **ოკუპანტი თურქეთი** ვერ შეეგუა, რადგან სისხლის გასაკეთილშობილებლად უმაღლესი ხარისხის გენეტიკური „მასალა“ — ქართველი გოგონები შემოაკლდა...

**დღეს ქართველი ქალები თავისი ფეხით გარბიან თურქეთში ანდა თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მოწყობილ ბორდელებში, ულვაშებგადაფანჩულ თურქ, ირანელ და არაბ ბიზნესმენებს ტუჩებში კოცნიან, კალთაში უხტებიან და მათთან სარეცელს იყოფენ...**

რომ სცოდნოდა ასეთი ქართველობისთვის იქნევდა ხმალს, **22 წლის სოლომონი** ხრესილთან არ იომებდა, არც გამზრდელი ბაბუის სისხლით შეიღებავდა ხელებს და არც **გოლა-ფაშას** გააგდებინებდა თავს.




## არ ვიცი, რომელ ქვეყანაში გადაიხვეწებოდა და სად შეაფარებდა თავს 22 წლის ქართველი გმირი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ იმ ევროპაში, საითკენაც 22 წლის საყურიანი ქართველი ბიჭები კურტუმოს საქნევად მიიჩქარიან, სოლომონ მეფის ადგილი არ იქნებოდა!

*დიტო ჩუბინიძე*



# სააკაშვილის სექტამ გიორგი ანწუხელიძის ვაჟი ჩაითრია!

## ნაცხლისტებო, გაანებეთ თავი ეროვნული გმირის შვილს!

***ტუსაღმა სააკაშვილმა სიხარულით დაწერა თავის ფეისბუქგვერდზე — გიორგი ანწუხელიძის ვაჟი ლევანი ჩვენთან არისო. არადა, ახალგაზრდა კაცი, თავისი ასაკიდან გამომდინარე, არ შესწრებია ნაცების არაადამიანურ მმართველობას.***

„ვივამედში“ დაბუდებულმა ნაცფიურერმა აი, ასეთი საგანგებო პოსტი მიუძღვნა თავისი ემისრის **სოფო ჯაფარიძის** მიერ **ლევან ანწუხელიძის** გადაბირებას:

> *„სოფო ჯაფარიძის შეხვედრა ახალგაზრდებთან. სასიამოვნოა ახალგაზრდების აქტიურობის ხილვა, მახარებს ამ შეხვედრაზე ჩვენი ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის შვილის — ლევან ანწუხელიძის ხილვა“.*

სამწუხაროა, რომ **გიორგი ანწუხელიძის ვაჟს** დედამ მაინც არ აუხსნა, რომ სააკაშვილის ნაცბანდა ზუსტად ისეთივე სისხლისმსმელია, როგორიც მამამისის მკვლელი ჯალათები, აგვისტოს ომისას წამებაში რომ ამოხადეს სული გაუტეხავ ქართველ ვაჟკაცს!

გგონიათ, რამეს ვაჭარბებ?! არა, ბატონო! როგორც რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა სეპარატისტებმა მოკლეს წამებით გიორგი ანწუხელიძე, ზუსტად ისეთივე წამებით მოკლა სააკაშვილის რეჟიმმა აგვისტოს ომის ვეტერანი **როინ შავაძე!** ანდა, გაიხსენეთ, როგორ ჩაცხრილა სააკაშვილის ზონდერდაჯგუფებამ **გია წკრიალაშვილი,** ხოლო ტყვიით დაცხრილული პოლკოვნიკი **კობა ოთანაძე** შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს!

გაიხსენეთ სააკაშვილის ბანდების მიერ წამებით მოკლული **სანდრო გირგვლიანი,** ქუჩაში ჩაცხრილული **ბუტა რობაქიძე** თუ **ზურა ვაზაგაშვილი... გია ცინდელიანი,** საერთოდ, ყელზე ლოდმობმული ჩააგდეს შავ ზღვაში! და რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

**ახლა, მითხარით, რა განსხვავებაა გიორგი ანწუხელიძის ჯალათებსა და ზემოთ ჩამოთვლილი ქართველების მკვლელ ნაცხროვას შორის?!** მე თუ მკითხავთ, სააკაშვილის ნაცბანდა უარესიც კი გამოდის, რადგან **გიორგი ანწუხელიძე** იარაღით ხელში მაინც ებრძოდა თავის ჯალათებს, ხოლო **სანდრო გირგვლიანსა** თუ **გია წკრიალაშვილს,** უბრალოდ, არ მოსწონდათ ნაცრეჟიმი და სულ ეს იყო!

**როინ შავაძე** კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი გახლდათ და ამ ბანდის პოლიტიკური ოპონენტიც არ ყოფილა!

**სამწუხაროა, ლევან ანწუხელიძეს ახლობლებიდან არავინ უთხრა, რომ ის იმ სააკაშვილის ბანდამ გადაიბირა, აგვისტოს ომის დროს მამამისის თანამებრძოლთა ცხედრები უპატრონოდ რომ მიატოვა ბრძოლის ველზე, აგვისტოს თაკარა მზის ქვეშ გასახრწნელად!**

რუსები საჯაროდ მოუწოდებდნენ სააკაშვილის რეჟიმს — გაიტანეთ თქვენი მებრძოლების ცხედრებიო, მაგრამ ამაოდ — სააკაშვილს არ სურდა, რომ მსხვერპლის რაოდენობა გახმაურებულიყო!

**და რომ არა პირადად საქართველოს პატრიარქის ძალისხმევა და ქართველი მღვდელმსახურების თავგანწირვა, ჩვენი მეომრების ცხედრებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძაღლები და ღორები შეჭამდნენ!**

სამწუხაროდ, **ლევან ანწუხელიძეს** არც ის უთხრეს, რა განაცხადა სააკაშვილმა აგვისტოს ომის დასრულებისთანავე მთელი მსოფლიოს გასაგონად: **დიდი არაფერი, კლდეებისა და ქვების გროვა დავკარგეთო!** ანუ **გიორგი ანწუხელიძესა** და მის თანამებრძოლებს თურმე **არაფრისთვის** გაუწირავთ სიცოცხლე! აი, ამ დანაშაულებრივმა ბანდამ გადაიბირა **გიორგი ანწუხელიძის** ვაჟი!

იმ **სოფო ჯაფარიძემ,** რომელმაც სააკაშვილის პრეზიდენტობისას, 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას, კბილები დაადრო პენსიონერებს, **„გაიღიმე, საქართველოს“** სახელით ცნობილი პოლიტიკური კამპანიისას და შემდეგ უკბილოდ, „გაღიმებული“ დატოვა, რადგან აღარ აინტერესებდა არჩევნებში დამარცხების შემდეგ პენსიონერებისთვის ახალი კბილების ჩასმა!

**მოკლედ, ვინმემ წააკითხოს მაინც ეს სტატია ლევან ანწუხელიძეს: შვილო, დროზე მიაფურთხე და განერიდე ნაცეშმას — ეგენი მამაშენის მწამებელ ჯალათებზე უარესები არიან!**

*გიორგი გიგაური*



### კვირგვინოსნები



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**კეზერაშვილსა და ხაზარაძეს** ოლიგარქობა აღიარებული აქვთ, მნიშვნელოვანია, **ევროკავშირმა მოძებნოს საკუთარ სივრცეში ასეთი ოლიგარქების პარპაშის არდაშვების ინსტრუმენტები.**

„პირველი არხი“



**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*

ნაციონალურ მოძრაობაში ვხედავთ **ხელოვნურად მართულ პროცესს,** როლებია გადანაწილებული, **მელია** და სხვა ახალი განშტოებები **ნაცმოძრაობის ერთი დიდი ქოლგაა.**

„პირველი არხი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

კატეგორიულად — კაჟივით მტკიცე ვართ იმ პოზიციაში, რასაც **ქვეყნის სუვერენიტეტი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია.**

„ინტერპრესნიუსი“



**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*

რატომ არ შეიძლება, პრეზიდენტმა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, **ერთი დღით შეუწყვიტოს პატიმრობა მიხეილ სააკაშვილს და მიიწვიოს თავისთან სასახლეში?**

„TV ფორმულა“

# მაყვალა ბერიანიძე:

# ნაღდი „ქართული ოცნება“ ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულა!



***ცნობილი ქართველი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე აცხადებს, რომ ბოლო დროს ნაცმოძრაობაში ხდება ზუსტად ის, რაც „მოქალაქეთა კავშირში“ ხდებოდა ნაცმოძრაობის შექმნის წინ. 2012 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა კოალიცია და არა პარტია „ქართული ოცნება“, სადაც არც პარლამენტის თავმჯდომარე, არც საგარეო საქმეთა მინისტრი, არც იუსტიციის მინისტრი და არც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი „ქართულ ოცნებას“ არ წარმოადგენდნენ:***

**„თუ „ქართული ოცნება“ დაუბრუნდება 2012 წელს „გადაგდებულ“ და გაყრილ ერთგულ ადამიანებს, მაშინ „ქართული ოცნება“ ფავორიტი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაცმოძრაობის ის „შპანა“, რომელიც „ქართულ ოცნებაშია“ მოკალათებული, 2024 წლის არჩევნებს ვერ მოიგებს და ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნდებიან!“**

— საქართველოში ნიჭიერ კაცს არ გაახარებენ და არც გაუხარებიათ! **ჟვანია** სულ ახალი მოკლული იყო, როცა მეგობრების დახმარებით გამოვცემდი საავტორო გაზეთ „არჩევანს“. გავბედე და მე-6 ნომერში, რომელიც 2005 წლის აპრილ-მაისში გამოვიდა, გამოვაქვეყნე ასეთ შინაარსის წერილები — **„ერიჰაა!“ „ბატონო მიხეილ, გთხოვთ, ბურუსი გაფანტოთ!“ „წამლის ბიჭები საქმის ბიჭებს იჭერენ!“** იქვე იყო შესაბამისი ქვეტექსტებიც — **„რა შუაშია პეტრე ცისკარიშვილი?“ „რატომ იმალება წყარო?“ „ნარკოტიკების სკანდალი“, „ვინ არის ნარკობარონი?“ „ვინ აკონტროლებს ნარკოტრასებს?“ „ვინ არიან „კეზერა“ და მისი მეგობრები?“ „დეპუტატი ნარკომანთა ბანდის ხელმძღვანელს ასახელებს!“ „ქართველებო, ასე რამ შეგაძულათ სამშობლო?“ „ამერიკა საბჭოთა კავშირის შეცდომებს იმეორებს!“ „რატომ აბრალებს კობა დავითაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილს თურქმენბაშობას?“ და ა.შ.** სწორედ ამ წერილების შემდეგ დამესხნენ თავს, გამიქურდეს მშობლების სახლი, მესროლეს ტყვია და არ დამაკლეს არაფერი. იმის შემდეგ რამე შეიცვალა და ან სასამართლოში, ან პროკურატურასა და ან სახელმწიფო ინსტიტუტებში რამე რამეს ჰგავს? კი მაგრამ, ამ კეზერაშვილზე რომ არის ატეხილი ერთი ამბავი, კეზერაშვილი საფრანგეთის მართლმსაჯულებას ვისი მიზანმიმართული უნიათობით დაუსხლტა ხელიდან? ახლა თქვენ მეკითხებით — ნაცმოძრაობა იშლებაო? არა, არ იშლება, ნაცმოძრაობაში ხდება ზუსტად ის, რაც „მოქალაქეთა კავშირში“ ხდებოდა ნაცმოძრაობის შექმნის წინ!

**— ქალბატონო მაყვალა, მოდით, კარგად განმარტეთ ეს საკითხი!**

— „ვარდების რევოლუციის“ წინ საზოგადოება და, მათ შორის, ჟურნალისტებიც დაიყო ორ ნაწილად — სულელებად და ჭკვიან ნაძირალებად! სულელები სიმართლეს ლაპარაკობდნენ — შევარდნაძე სააკაშვილს ხელისუფლებას აბარებსო! ხოლო ჭკვიანი ნაძირალები იმას წერდნენ და ლაპარაკობდნენ, რასაც ავალებდნენ. შევარდნაძეს არასოდეს დაუმალავს, რომ პრეზიდენტად სააკაშვილი უნდოდა! გაიხსენეთ, ვაკის პარკში რა თქვა ედუარდმა სააკაშვილზე! ხალხი სიცილით კვდებოდა, მაგრამ ხომ გვითხრა სააკაშვილზე — **ეს იქნება თქვენი პრეზიდენტიო?!**

სხვათაშორის, შევარდნაძესა და ბიძინა ივანიშვილს შორის ერთი დიდი სხვაობაა — შევარდნაძე პოლიტიკოსი იყო და მერე გაბიზნესმენდა, ხოლო ივანიშვილი ბიზნესმენი იყო და მერე გაპოლიტიკოსდა! რაც შეეხება ნაცმოძრაობის დაშლას, ეს უჭკუო ხალხს ჰგონია, რომ ნაცები დაიშალნენ, თორემ როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ გაიშალა, სწორედ ისე გაიშალნენ ნაცებიც.

სააკაშვილს 2004 წლის აგვისტომდე, ვიდრე ქართველი მრჩევლები ჰყავდა, კიდევ არა უშავდა, მაგრამ როგორც კი მრჩევლებად ქართველები მოაშორეს და ამერიკელები დაუნიშნეს, სულ გაგიჟდა და გააფრინა. ეს დაემთხვა იმ პერიოდს, როცა მოსკოვიდან ჩამოსულმა **გიორგი ბარამიძემ** სამაჩაბლოში ომი დაიწყო და **ჟიული შარტავას** დაღუპვის შემდეგ, სწორედ 2004 წლის აგვისტოს ომში გაჩნდა მეორე ეროვნული გმირი — **ზაზა დამენია.**

## „მოქალაქეთა კავშირი“ დღესაც ცოცხალია, რომელიც კი არ დაიშალა, არამედ ჩაიკირა, გაიშალა და გადაიზარდა ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებაში“. შეხედეთ ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“, ეს ხომ „მოქალაქეთა კავშირია“?

**— დააკონკრეტეთ და დაანახეთ საზოგადოებას, რომ ეს მართლაც ასეა!**

— **სააკაშვილი** „მოქალაქეთა კავშირის“ იურიდიული კომი-



**„არ გამოვრიცხავ, მაშინ ბიძინა ივანიშვილს ფიზიკური ლიკვიდაციითაც კი დაემუქრნენ, თუ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი არ გახდებოდა!“**



მ. სააკაშვილი, ზ. ადეიშვილი, ვ. მერაბიშვილი, გ. ბარამიძე, გ. წერეთელი, ნ. ბურჯანაძე, რ. ადამია, ა. ახვლედიანი, დ. ბექუაშვილი, გ. ბექუაშვილი

ტეტის თავმჯდომარე, ფრაქციის ლიდერი, იუსტიციის მინისტრი და საკრებულოს თავმჯდომარე არ იყო? **ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი** „მოქალაქეთა კავშირში“ არ იყვნენ, მერე ნაცმოძრაობის გენერალური პროკურორები, შინაგან საქმეთა მინისტრები და პრემიერ-მინისტრები რომ გახდნენ? **გიორგი ბარამიძე, გიგი წერეთელი, ნინო ბურჯანაძე** „მოქალაქეთა კავშირში“ არ იყვნენ, მერე ნაცმოძრაობაში რომ ამოყვეს თავი და მინისტრები და სპიკერები გახდნენ? **რეზო ადამია და არმაზ ახვლედიანი,** რომელიც მერე „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდა და ახლა ისევ სააკაშვილის წიაღს დაუბრუნდა, „მოქალაქეთა კავშირის“ სიაში მე ჩავწერე? **დავით ბეჟუაშვილი** „მოქალაქეთა კავშირის“ მუდმივი დეპუტატი არ იყო? მისი ძმა **გელა ბეჟუაშვილი** სააკაშვილის თავდაცვის მინისტრი არ იყო? მართალია, **ზურაბ ჟვანია** „მწვანეებიდან“ მოდიოდა, მაგრამ განა ის „მოქალაქეთა კავშირში“ არ იყო და შევარდნაძის პარლამენტის თავმჯდომარე არ გახდა? **ელენე თევდორაძე და კოტე კემულარია,** რომელიც მერე ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და სააკაშვილის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა, „მოქალაქეთა კავშირში“ მე მოვიყვანე? **ვასიკო მაღლაფერიძე** დღეს რომ ამ ხელისუფლების მხარდამჭერი და მგალობელია, „მოქალაქეთა კავშირის“ სიით პარლამენტში არ იჯდა? **მიხეილ მაჭავარიანი** არ იყო „მოქალაქეთა კავშირის“ მინისტრი, მუდმივი დეპუტატი და მერე ვიცე-პრემიერი? **დავით საგანელიძე და ლევან გაჩეჩილაძე** „მოქალაქეთა კავშირში“ არ იყვნენ, ახლა ამ ხელისუფლებასთან რომ არიან ჩახუტებული? **პეტრე ცისკარიშვილი და ხათუნა გოგორიშვილი** არ იყვნენ „მოქალაქეთა კავშირში“ თუ ციდან ჩამოფრინდნენ? ხათუნა გოგორიშვილი საქართველოს პარლამენტში „მოქალაქეთა კავშირის“ 120-კაციან ფრაქციას მწყემსავდა. სწორედ ეს 120 კაცი წარმოადგენდა ნაცმოძრაობის ბირთვს! მაშინ **ლევან ბერძენიშვილი** სააკაშვილსა და მის დედაზე ისეთ რამეებს ლაპარაკობდა, კაცის ყურში არ შეიშვებოდა, მაგრამ დღეს ხომ ხედავთ, რას ლაპარაკობს და საქმიანობს? **ეს პროცესი, ანუ „მოქალაქეთა კავშირის“ ნაცმოძრაობაში გადაზრდი-**





**„შევარდნაძე პოლიტიკოსი იყო და მერე გაბიზნესმენდა, ხოლო ივანიშვილი ბიზნესმენი იყო და მერე გაპოლიტიკოსდა!“**

**„2012 წელს ბიძინა ივანიშვილს მანევრირება რომ არ მოეხდინა და იმ პარტიებზე არ გაეკეთებინა აქცენტი, რომლებსაც ძმები ბერძენიშვილები, ირაკლი ალასანია და სხვები წარმოადგენდნენ, ამერიკელები საქართველოში მთავრობის ცვლილებას არ დაუშვებდნენ და სააკაშვილს ხელისუფლებაში დატოვებდნენ!“**



**„შევარდნაძეს არასოდეს დაუმალავს, რომ პრეზიდენტად სააკაშვილი უნდოდა!“**



**„ზინაიდა ბესტაევა ჟვანიას მკვლელობის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურანტია, რომელმაც სიჩუმის საფასურად სააკაშვილისგან დიდძალი ქონება მიიღო!“**

**სა და გადახლართვის სპეცოპერაცია ედუარდ შევარდნაძისა და ამერიკელების ხელდასხმით მოხდა!**

**— თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილის „ნაცმოძრაობა“ შევარდნაძემ შექმნა?**

— აბა, ვინ შექმნა?! **შევარდნაძე** ძალიან კარგად თამაშობდა და, ერთი შეხედვით, თავს ინიღბავდა, მაგრამ შიგადაშიგ ე.წ. „წამოცდენები“ მაინც ჰქონდა... გაგახსენებთ მის ერთ ასეთ წამოცდენას, როცა მან ტელევიზიით, ვითომ ხუმრობით განაცხადა — **კაცო, თუ არ გინდათ „მოქალაქეთა კავშირი“, აგერ არიან სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ და იმას მიეცით ხმაო!** სხვათაშორის, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე **ასლან აბაშიძის** „აღორძინებას“ მეორე ადგილი ნამდვილად არ აუღია, მეორე ადგილზე სააკაშვილი გავიდა... მოკლედ, **როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ წიაღიდან აღმოცენდა „ნაციონალური მოძრაობა“, იმავე „ნაციონალური მოძრაობიდან“ აღმოცენდა ნიკა მელიას ახალი პარტია!** აქედან გამომდინარე, თუ „ქართული ოცნება“ ჭკუაზე არ მოვა და გონიერებას არ მოუხმობს, 2024 წლის არჩევნებზე აქ მოხდება უბედურება და ნაცები, რომლებიც ვითომდა დაიშალნენ, ხელისუფლებაში მოტრიალდებიან!

ახლა ვიტყვი ერთ სენსაციურ რაღაცას და შესაძლოა, არ დამიჯეროთ, მაგრამ უნდა დამიჯეროთ — **ნაღდი „ქართული ოცნება“, ის ერთგული და სამშობლოზე შეყვარებული ვაჟკაცები, რომლებმაც 2012 წელს სააკაშვილისა და მისი ჯალათების ტყვიას შუბლი შეუშვირეს, ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულა!** 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს მანევრირება რომ არ მოეხდინა და იმ პარტიებზე არ გაეკეთებინა აქცენტი, რომლებსაც **ძმები ბერძენიშვილები, ირაკლი ალასანია** და სხვები წარმოადგენდნენ, ამერიკელები საქართველოში მთავრობის ცვლილებას არ დაუშვებდნენ და სააკაშვილს ხელისუფლებაში დატოვებდნენ! კარგად გაიხსენეთ, რას ამბობდა **ბიძინა ივანიშვილი** და რა სურდა მას... ბიძინა გამარჯვებაზე არც ლაპარაკობდა, მხოლოდ 40 პროცენტის აღებაზე იყო საუბარი, მაგრამ 2012 წლის 17 სექტემბერს გამომზეურებულმა ე.წ. „ციხის კადრებმა“ აბსოლუტურად ამოატრიალა სიტუაცია და ჩამოშალა სააკაშვილის რეჟიმი.

**— როგორ ფიქრობთ, ე.წ. „ციხის კადრები“ ვინ გამოამზეურა, ამერიკელებმა?**

— ვინც ეს კადრები გამოამზეურა, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ვისი ბრძანებით მოხდა ეს, არ ვიცი! შესაძლოა, ეს ამერიკელებმაც გააკეთეს, რადგან მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რა საშინელება ხდებოდა სააკაშვილის ციხეში. ფაქტია, რომ ამ კადრების გამომზე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე



ზ. ჟვანია, ე. თევდორაძე, კ. კემულარია, ვ. მაღლაფერიძე, მ. მაჭავარიანი, დ. საგანელიძე, ლ. გაჩეჩილაძე, პ. ცისკარიშვილი, ხ. გოგორიშვილი, ლ. ბერძენიშვილი





# მაყვალა ბერიანიძე:

# გია ხუხაშვილს ვაფრთხილებ – საკუთარ გვარსა და ბიძაშვილებს პატივი სცეს და ენა გააჩეროს!

დასაწყისი მე–6 გვერდზე

ურებისთვის მაშინ არც „ქართული ოცნება“ იყო მზად, რადგან ექვსი თვის განმავლობაში ერთ-ერთ რეგიონის შტაბის უფროსი ვიყავი, 6 ათასი ხმით მოვუგე ნაცებს არჩევნები და კარგად ვხედავდი, რა ხდებოდა „ქართული ოცნების“ პარტიაში, როცა ეს საშინელი კადრები გამომზეურდა.

**2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა კოალიცია და არა პარტია „ქართული ოცნება“!** იმ კოალიციაში არც პარლამენტის თავმჯდომარე, არც საგარეო საქმეთა მინისტრი, არც იუსტიციის მინისტრი და არც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი „ქართულ ოცნებას“ არ წარმოადგენდნენ... უფრო მეტიც, თვით **ბიძინა ივანიშვილიც** კი არ ყოფილა „ქართული ოცნება“. ერთადერთი, ვინც „ქართულ ოცნებას“ მაშინ წარმოადგენდა, ეს გახლდათ შინაგან საქმეთა მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი.** აქედან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ **„ქართული ოცნება“ საქართველოს ხელისუფლებში ჯერ არ მოსულა!** სწორედ ამიტომ 2024 წელი, როცა პარლამენტთან ერთად სამასი ხმოსნით პრეზიდენტიც უნდა აირჩიონ, ქვეყნისთვის ურთულესი იქნება, რადგან პრეზიდენტის პოსტს არავინ დათმობს. მახსოვს, **ჟვანია** რომ მოკლეს, პანაშვიდზე მივედით და მოვიდა შევარდნაძეც... ფინანსთა მინისტრი **ზურაბ ნოღაიდელი** კართან იდგა. შევარდნაძემ ნოღაიდელს გახედა და უთხრა — **ვა, მომავალი ხარ?** არ გასულა ცოტა ხანი და, როგორც შევარდნაძემ თქვა, ყველაფერი ისე მოხდა — ნოღაიდელი სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა! აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ტვინგამხმარმა **გივი თარგამაძემ** გორში ერთ-ერთ სასტუმროში „ეტაჟნიცად“ მომუშავე **ზინაიდა ბესტაევა** სახელმწიფო მინისტრად დაგვისვა.

**— ზინაიდა ბესტაევას სააკაშვილის ხელისუფლებაში რა ფუნქცია ჰქონდა?**

— **ზინაიდა ბესტაევას** ოფიციალურად კონფლიქტის მონაწილე მხარეების შერიგება ევალებოდა, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაგვარი იყო. **ზინაიდა ბესტაევა** ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურანტია, რომელმაც სიჩუმის საფასურად სააკაშვილისგან დიდძალი ქონება მიიღო! **ზინაიდა ბესტაევას** შესახებ ჩვენ ცალკე უნდა ვისაუბროთ, რადგან ეს ძალიან საინტერესო და ვრცელი თემაა!

**— კი მაგრამ, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში არც 2016 წელს მოსულა?**

— ცხადია, არა! 2016 წელს **გიორგი კვირიკაშვილმა,** რომელიც ასევე „მოქალაქეთა კავშირიდან“ მოდის, ხელისუფლებაში მოიყვანა თავისი გოგობიჭები და, ჩემი ინფორმაციით, **ბიძინა ივანიშვილს** არ მიეცა საშუალება, დაეწინაურებინა ის ასი ახალგაზრდა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ.

დღეს ხელისუფლებაში ნამდვილ „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ **ირაკლი ღარიბაშვილი და კახი კალაძე** წარმოადგენენ, დანარჩენები თითქმის ყველა საიდანღაც მოსული და პორტირებულია. თუ გინდა, გაიგო, რა ხდება, დააკვირდით **რომან გოცირიძეს,** რომელიც შევარდნაძის დროს ვიცეპრემიერი იყო და ყველგან არის ნათრევი და ნაგდები. ეს კაცი დღეს გამოდის, მეცნიერებათა აკადემიას ებრძვის და თან ამბობს — **ნიკა მელია** ძალიან გავლენიან გაერთიანებას უყრის საფუძველს და გამორიცხული არ არის, ჩვენ მასთან ვითანამშრომლოთო! სწორედ **რომან გოცირიძე და ხატია დეკანოიძე** „გავიდნენ“ ნაცმოძრაობიდან და „გაემიჯნენ“ პარტიას. **ხატია დეკანოიძეს** მთელი ცხოვრება **ვანო მერაბიშვილი** მფარველობდა და სწორედ მან გაუკეთა თანამდებობები უშიშროების საბჭოში. **სააკაშვილსაც და ნიკა მელიასაც** უშიშროების სკოლა აქვთ დამთავრებული და ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ ნაცმოძრაობას, დარწმუნებული ვარ, ასე რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურის ხელის აქნევაზე იქცევიან. **ეს აბსოლუტურად მართული პროცესია, რათა ნაცმოძრაობა დაიშალოს და გაიშალოს.**

**— ბოლოს და ბოლოს, რა იქნება 2024 წლის არჩევნებზე?**

— თუ „ქართული ოცნება“ დაუბრუნდება 2012 წელს „გადაგდებულ“ და გაყრილ ერთგულ ადამიანებს, მაშინ „ქართული ოცნება“ ფავორიტი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაცმოძრაობის ის „შპანა“, რომელიც „ქართულ ოცნებაშია“ მოკალათებული, 2024 წლის არჩევნებს ვერ მოიგებს და ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნდებიან!

ამოიღეთ კადრები და ნახეთ 2018 წელს **ბიძინა ივანიშვილის** გაფითრებული სახე, როცა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მან ამომრჩეველს მიმართა — **ვიცი, ბევრი სამართლიანად ხართ განაწყენებული, რადგან ვერ მოგხედეთ, მაგრამ მე დამიდექით ახლა გვერდით, რათა ეს საპრეზიდენტო არჩევნები მოვიგოთ და პირობას გაძლევთ, ყველაფერს გამოვასწორებო!** ხალხმა მაშინ ბიძინა ივანიშვილის გაფითრებას სცა პატივი. მოიყვანეთ ნებისმიერი ფსიქოლოგი, ექსპერტი და ყველა დაადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი იმ ვიდეომიმართვის დროს საშინელი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა.

**— ანუ სალომე ზურაბიშვილი მისი კანდიდატურა არ იყო?**

— ცხადია, არ იყო! **ბიძინა ივანიშვილს დააძალეს, რომ უნდოდა თუ არა, სალომე ზურაბიშვილი გამხდარიყო პრეზიდენტი! არ გამოვრიცხავ, მაშინ ბიძინა ივანიშვილს ფიზიკური ლიკვიდაციითაც კი დაემუქრნენ, თუ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი არ გახდებოდა!** თქვენ გგონიათ, **გახარია** ბიძინამ მოიყვანა? ამოიღეთ კადრები, როცა ბიძინა ივანიშვილი გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად ასახელებს! ვინ მიუყვანა ბიძინა ივანიშვილს გიორგი გახარია?

**— გია ხუხაშვილმა!**

— ჰოდა, **გია ხუხაშვილს** ვაფრთხილებ, საკუთარ გვარსა და ბიძაშვილებს პატივი სცეს და ენა გააჩეროს! რაც შეეხება ივანიშვილს, ბატონო ბიძინა, თუ „ბოსი“ გიწოდეს, იყავი ნამდვილი „ბოსი“, თუ არადა, თქვი, რა ცეცხლი და უბედურება ტრიალებს შენ გარშემო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*



## „თუ გინდა, გაიგო, რა ხდება, დააკვირდით რომან გოცირიძეს, რომელიც შევარდნაძის დროს ვიცე-პრემიერი იყო და ყველგან არის ნათრევი და ნაგდები!“



# ბედავს და კადრულობს!

***— მე მინდა, მივულოცო პრეზიდენტ სააკაშვილს, მინდა, გავიხსენო განსვენებული, ცხონებული ზურაბ ჟვანია! — განაცხადა გიორგი ბარამიძემ მას შემდეგ, რაც ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა.***

პოლიტიკური მკრეხელობის, ფარისევლობისა და უტიფრობის აპოთეოზია, ევროპული ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ ნაბიჯის წინ გადადგმა მიულოცო სააკაშვილს, რომლის სისხლიანი რეჟიმიც ყველაზე მთავარ ევროპულ ღირებულებებს — თავისუფლებას, დემოკრატიასა და სამართლიანობას 9 წლის განმავლობაში ფეხქვეშ ისე თელავდა, როგორც დიდოელი ლეკი — ნაბადს.

თუმცა, ამ შემთხვევაში **ბარამიძის უტიფრობა და ფარისევლობა** მხოლოდ იმაში როდი გამოიხატება, რომ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ულოცავს **პატიმარ სააკაშვილს,** რომლის მმართველობის დროსაც საქართველო, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით, ერთ-ერთ ყველაზე ანტიევროპულ სახელმწიფოდ იქცა.

**ბარამიძის უშუბლისძარღვობის ყველაზე მკაფიო და მდაბიო გამოვლინება ის გახლავთ, რომ იგი ზურაბ ჟვანიას სახელის ხსენებას ბედავს!**

არადა, ბარამიძე ის ნაცია, რომელსაც ზურაბ ჟვანიას დაღუპვის კვალდაკვალ, სააკაშვილის ხელისუფლებასთან არავითარი კითხვა არ გასჩენია და უაპელაციოდ დაეთანხმა **მერაბიშვილი-ადეიშვილის „ოფიციალურ ვერსიას“,** რომელიც მათ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე საათში, ყოველგვარი ექსპერტიზისა და გამოძიების გარეშე გაახმიანეს — **უბედური შემთხვევა მოხდა და ჟვანია გაზით გაიგუდაო!**

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან თითქმის 20 წელია გასული და მთელი ამ ხნის განმავლობაში ბარამიძეს ერთხელაც არ დაუსვამს კითხვები საეჭვო გარემოებათა შესახებ, რომლებიც აშკარად მიანიშნებენ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, როგორც, მინიმუმ, იმ ბინაში არ მომკვდარა, სადაც მისი ცხედარი აღმოაჩინეს. მაგალითად, **ბარამიძეს ერთხელაც არ უკითხავს — თუ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი კონსპირაციულ ბინაში გაზით გაიგუდნენ, მაშინ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ იმავე ბინაში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა რატომ აჩვენა, რომ ნახშირბადის მონოქსიდის კონცენტრაციას სიცოცხლისათვის სახი-**

## კვირგვინოსნები



**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

**ძალაუფლება „გდია ქუჩაში“,** ოპოზიცია უნდა დაიხაროს და **აიღოს ეს ძალაუფლება.**

„პალიტრანიუსი“



**მეგი გოცირიძე**
*სააკაშვილის მხარდამჭერი*

**ბოლოს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ვინც დარჩებით, შუქი არ დაგრჩეთ ჩართული.**

„ალია“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

ცდილობენ **ე.წ. მესამე ძალა** შექმნან — **ჩახდილები, „ლუზერები“ და ხელმოცარული რადიკალები** გააერთიანონ და სათავეში **ბარამია** ან სალომე ჩაუყენონ — **„ხაბე“,** გამაგრდი!

„ინტერპრესნიუსი“



**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*

**ზარქუას** სულ მინდა, ვკითხო, ძალიან მკაცრად აფასებს ჩემს დიპლომატიურ კარიერას, **ჩემი გამოზრდილი კადრების გარდა, რატომ ვერავის პოულობს „ქართული ოცნება“?**

„ახალი თაობა“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*

ზოგიერთებს **ივანიშვილი ერთი ჩვეულებრივი ფულიანი კაცი ჰგონიათ,** მაგრამ ცდებიან, ვერ ხვდებიან, **სინამდვილეში ეს კაცი რა ძალიან შორს იყურება.**

„ახალი თაობა“



## არც ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეზე და არც აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის საქმეზე საქართველოს პროკურატურას ბარამიძე დღემდე არ დაუკითხავს!

**ფათო სტანდარტისათვის არც მიუღწევია და არც გადაუჭარბებია?**

ბარამიძეს არც იმასთან დაკავშირებით გასჩენია კითხვა, რომ ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილმა უფროსმა **მიხეილ ძაძამიამ** გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში განაცხადა — **ღამის 4 საათზე, როცა ბინაში შევედი, გაზის შიშინი მომესმა და სუნიც მეცაო, არადა, საცხოვრებელ კორპუსს, რომლის ერთ-ერთ ბინაშიც ჟვანიასა და უსუპოვის ცხედრები აღმოაჩინეს, „თბილგაზის“ საავარიო სამსახურმა გაზის მიწოდება ღამის 3 საათზე შეუწყვიტა.** შესაბამისად, ჟვანიას დაცვის უფროსი ვერც გაზის შიშინს გაიგონებდა და ვერც გაზის სუნს იკრავდა იმ ბინაში, რომელსაც გაზის მიწოდება მის იქ მისვლამდე 1 საათით ადრე შეუწყდა. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ნახშირბადის მონოქსიდი უსუნო ნივთიერებაა და შეუძლებელია, ვინმემ მისი სუნი იგრძნოს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ბარამიძეს იმის თაობაზეც კი არ დაუსვამს კითხვა, თუ რატომ ვერ იქნა ნაპოვნი რაულ უსუპოვის ცალი ფეხსაცმელი ბინაში, სადაც, სააკაშვილის რეჟიმის „ოფიციალური ვერსიით“, ის და ზურაბ ჟვანია გაზით გაიგუდნენ?** რა, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე ცალი ფეხსაცმლით გადაადგილდებოდა და იმ ბინაშიც ნახევრად ფეხშიშველი მივიდა პრემიერ-მინისტრთან შესახვედრად? იქნებ მისი და ჟვანიას ცხედრები საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში სხვა ადგილიდან მიიტანეს და უსუპოვის ცალი ფეხსაცმელი გვამის ტრანსპორტირებისას დაიკარგა?

მოკლედ, **ბევრი ისეთი გარემოება არსებობს, რომელიც ჟვანიას „გაზით გაგუდვის“ ვერსიას თავდაყირა აყენებს, მაგრამ გიორგი ბარამიძე მაინც დარწმუნებულია, რომ მისი ყოფილი მეგობარი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. ყოველ შემთხვევაში, თავი ისე მოაქვს, თითქოს დარწმუნებულია და არაფერი ეეჭვება.**

უფრო მეტიც, ბარამიძეს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის, იყოს იმ პოლიტიკური ძალის ნაწილი, რომელიც მკვდარი ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგაც კი უბინძურეს მეთოდს იყენებდა და ცდილობდა, მისი გარდაცვალება მის სექსუალურ ორიენტაციასთან დაეკავშირებინა.


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი
ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.GE
ვისთანაც სიტყვა არ სჯობს, იმასთან ჯობიაც ვერაფერს გახდება! სოკრატე
2015 წლის 3-9 აგვისტო
N31 (1083)
ფასი 2 ლარი და 50 თეთრი
ყოჩაღ, ბუსა!
„ბარამიძემ როგორ გაბედა და ბუსა ჟვანიას, საერთოდ, როგორ მოუახლოვდა?!“
ჯეფრი სილვერმანი:
გამიხარდა ქალაჩუნა ბარამიძის ცემა, ბუსა ჟვანიას კიდევ უფრო მაგრად უნდა ეცემა!
ბუსა ჟვანიას მიერ ბარამიძისათვის დარტყმული ხელი მოხვდა სააკაშვილსაც, მერაბიშვილსაც, ადეიშვილსაც, მაჭავარიანსაც და ყველას, ვინც ზურაბ ჟვანიას სახელსა და ხსოვნას დღემდე ლაფში სვრის!
7-8
4-5
„სამართლიანობა თუ არ აღდგა, ჩვენ ვნახავთ, რომ არა მარტო ზურაბ ჟვანიას შვილი, არამედ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული თუ გამწარებული სხვა ადამიანების შვილებიც თვითონ დაიწყებენ სამართლის აღსრულებას და პირად ანგარიშსწორებაზე გადაელენ!“

## მას შემდეგ მაინც, რაც ზურაბ ჟვანიას ვაჟმა სცემა, ბარამიძეს ზურაბ ჟვანიას სახელის ხსენების უნდა რცხვენოდეს!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები გიორგი ბარამიძეს პირდაპირ ადებენ ხელს, როგორც მისი მკვლელობის კვალის დაფარვის თანამონაწილეს.** კერძოდ, ზურაბ ჟვანიას ძმამ **გოგლა ჟვანიამ** ჯერ კიდევ 2012 წელს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა:

*„თვითონ **ბარამიძე** მონაწილეობდა იმ ინსცენირებაში, რომელიც ხელისუფლებამ მოაწყო. გახსოვთ, რომ იქ მიიტანეს საკვები, „ბორჯომი“, კონიაკი და სცენა დადგეს უბედური შემთხვევის. ამას პირადად მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და ამაში გიორგი ბარამიძე მონაწილეობდა“.*

**ზურაბ ჟვანიას ძმამ იგივე განაცხადა 2013 წელს ერთ საგაზეთო ინტერვიუშიც:**

*„ბარამიძე იმ ავბედით დილას ზურას მკვლელობის გაფორმებაში მონაწილეობდა... შეკრებილი იყო რამდენიმე ადამიანი, მათ შორის სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ბარამიძე და მსჯელობდნენ, რა ნივთები მიეტანათ იქ და სად დაელაგებინათ“.*



**2015 წელს ზურაბ ჟვანიას ქვრივმა ნინო ქადაგიძემ მისი მეუღლის ყოფილ თანაგუნდელებზე — მიხეილ მაჭავარიანზე, ხათუნა გოგორიშვილზე, გოკა გაბაშვილსა და გიორგი ბარამიძეზე საუბრისას განაცხადა:**

*„**ბარამიძე** ჩემ გვერდით ცხოვრობდა და ჩემს სახლში ფეხი არ შემოუდგამს გარდა პირველი კვირისა, სანამ ყველაფერი გაირკვეოდა. მოსასვლელი პირი არ ჰქონდათ“.*

**ჟვანიას მეუღლემ 2020 წელს სოციალურ ქსელშიც დაწერა:**

*„როგორ დაკარგეს სახე **გოგორიშვილმა და ბარამიძემ.** სამარცხვინოა. სკამებზე გაცვალეს ყველაფერი“.*

გაგახსენებთ 2015 წლის ზაფხულში ბათუმის ერთ-ერთ კაფეში მომხდარ ინციდენტსაც, როცა **ზურაბ ჟვანიას უფროსი ვაჟი ბესარიონ (ბუსა) ჟვანია** გიორგი ბარამიძეს ფიზიკურად გაუსწორდა. თვითმხილველთა თქმით, ბარამიძე და ზურაბ ჟვანიას ვაჟი კაფეში ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ. ბარამიძე **ბუსა ჟვანიასთან** მივიდა და საუბარი გაუბა. **ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვაჟი მამის ყოფილ მეგობარს თავიდან მშვიდად უსმენდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბარამიძემ უთხრა — მინდა, იცოდე, რომ ზურას სულთან სუფთა ვარო, ბუსა ჟვანიამ მას სახეში ხელი გაარტყა.**

**მას შემდეგ მაინც,** რაც ზურაბ ჟვანიას ვაჟმა სცემა, **გიორგი ბარამიძეს** ზურაბ ჟვანიას სახელის ხსენების უნდა რცხვენოდეს!

**მას შემდეგ მაინც,** რაც ზურაბ ჟვანიას ქვრივმა სამარცხვინო, სახედაკარგული და სკამის სანაცვლოდ მეგობრის გამყიდველი დაარქვა, **გიორგი ბარამიძე** ზურაბ ჟვანიას სახელის ხსენებას არ უნდა კადრულობდეს!

**მას შემდეგ მაინც,** რაც ზურაბ ჟვანიას ძმამ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის კვალის დამფარავად და დანაშაულის თანამონაწილედ დაასახელა, გიორგი ბარამიძე ზურაბ ჟვანიას სახელის ხსენებას ვერ უნდა ბედავდეს!

თუმცა, ბარამიძეს ჟვანიას სახელის ხსენების არ რცხვენია, ჟვანიას სახელის ხსენებას კადრულობს და ჟვანიას სახელის ხსენებას ბედავს!

რატომ?

**იმიტომ, რომ გიორგი ბარამიძე ნაცია, რაც ავტომატურად ნიშნავს უტიფარს, ურცხვილოსა და ფარისეველს!**

კიდევ, იცით, რატომ?

**არც ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეზე და არც აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის საქმეზე საქართველოს პროკურატურას ბარამიძე დღემდე არ დაუკითხავს, რის გამოც იგი დაუსჯელობის სინდრომით არის გადიდგულებული და თავს პოლიტიკური ყოყლოჩინობის უფლებას აძლევს!**

არადა, საქართველოში სამართლიანობას რომ ეზეიმა, **ბარამიძე** სააკაშვილს კანდიდატის სტატუსის მიღებას ტელევიზორიდან კი არა, რუსთავის ციხეში მოპირდაპირე საკნიდან მიულოცავდა!

**საქართველოს ნამდვილ ევროპასთან კანდიდატის სტატუსზე მეტად სამართლიანობის ზეიმი დააახლოებდა!**

## საქართველოში სამართლიანობას რომ ეზეიმა, ბარამიძე სააკაშვილს კანდიდატის სტატუსის მიღებას ტელევიზორიდან კი არა, რუსთავის ციხეში მოპირდაპირე საკნიდან მიულოცავდა!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



უცნაურია, რომ **მელია** იმ ადამიანების მხარდაჭერით სარგებლობს, რომლებიც პარტიიდან მიდიან, თუმცა, არ იციან, სად მიდიან. **როგორც ჩანს, ნაცმოძრაობაში ისეთი ბარდაგია, რომ იქ დარჩენას ყველაფერი სჯობს.**

„პირველი არხი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



**„ომის გლობალური პარტია“** ყველანაირად ცდილობს, რომ ხელისუფლებაში მოიყვანოს ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც **ცალ ფეხზე დგომით,** თავდახრილად და მორჩილად მათ ყველა სურვილს განახორციელებს.

„TV იმედი“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მდივანი*



**ნიკა მელია** გიგა ბოკერიას **გზას დაადგა. მიხეილ სააკაშვილი** არის **ბიძინა ივანიშვილის** ალტერნატივა, უნდა იყოთ მის გვერდით, სხვა ყველაფერი განწირულია პოლიტიკური განულებისკენ.

„პალიტრანიუსი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*



**ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებთან არანაირი კავშირი არ მაქვს და არც ვაპირებ, მქონდეს.**

„ალია“

**მურმან დუმბაძე**
*პოლიტიკოსი*



ადამიანები გამოდიან ნაციონალური მოძრაობიდან და **გულზე მიხეილ სააკაშვილის სურათი აქვთ მიწებებული.**

„აჭარის ტელევიზია“

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# კარტოფილი საფრთხეშია!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ გულნატკენია — **მადამ პლეზიდანმა არც დამპატიჟა, არც ყავა დამალევინა, არც ვისკი კადამაყლურწვინა, არც ავი მითხრა, არც კარგიო.**

მოკლედ, **ნაწყენი გახლავართ ძალიანო,** ამდენი ხალხი რო დაგიდიოდა სასახლეში, წინა პრეზიდენტები რატომ არ გაგახსენდა, ერთხელ მაინც რატომ არაფერი თქვი ჩვენზედაო?

☺

ნუ, მართლა შეეშალა **სალომე ბაბოს... აბა, ამ კაცის წყენინება იქნებოდა? აბა ამისი ფაქიზი გრძნობების აშლა იქნებოდა? აბა, ამისი გულის დაწყვეტა და ტკენა იქნებოდა?**





☺

წავა, უფრო მეტად გალოთდება, უფრო მეტად დაიწყებს ღვინო-არყის ყლურწვას და მერე **შეიძლება, კარტოფილიც მიწაში ჩაალპოს!**

# ანზორსკოი კოშკი დიკიი ვზგლიად...



უნდა ვაღიაროთ — პირველად ᲜᲘᲜᲐ ᲐᲜᲖᲝᲠᲝᲕᲜᲐ მიხვდა, როგორ იკლიკანტურ მოვლენასთან ჰქონდა საქმე და **უყურებდა კიდევაც ალმაცერად, ირონიულად, დამცინავად,** თან ცოტა ზემოდანაც.

☺

დიდებული რამეა ფოტოგრაფია!

ისე გაგიჩერებს წამიერად ფაქტსა და მოვლენას, ხასიათსა და განწყობას, თუნდაც ისტორიას, საერთოდ რომ არ ელოდი. **ᲘᲡ** ზემოდან დაჰყურებს ირონიულად, **ᲔᲡ** კიდე უმისამართოდ იყურება გაეშმიშებული — **პლეზიდანობაზე** თუ ფიქრობს. პრინციპში, მაშინ **ᲜᲘᲜᲐ ᲐᲜᲖᲝᲠᲝᲕᲜᲐᲪ პლეზიდანობაზე** ოცნებობდა. **ამას გაუმართლა, იმას — არა!**

☺

**ამოცანა გვეკითხება:**

ის რომ გამხდარიყო **ᲞᲚᲔᲖᲘᲓᲐᲜᲘ, ამაზე მეტს დააშავებდა?**

თავს ვერ დავდებ, მაგრამ მეეჭვება, **ამაზე მეტი დაეშავებინა!**

ან იქნებ საერთოდაც **არაფერი დაეშავებინა?**

ვერ გაიგებ, თავიდან კრავები არიან, მერე მგელდებიან და რატომღაც ლოთდებიან.

# სექსუალური გიგანტი ბრიუსელშია!



ამბობენ, **ᲬᲣᲚᲐᲘᲐ ბრიუსელში ჩავიდა,** რათა სტატუსის **მოცემის საქმეს თითი მისცეს.**

საერთოდ ეგრეა, ცარიელი თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევს.

რავი, კი არი შეკმაზული მიხო პაპას სახედარივითა და... თან მგონი გულის ფიცარზე სოსისები ჰკიდია. შეიძლება არც სოსისებია და სუ სხვა რაღაცებია.

**საინტერესოა, ზურგზე რა ჩვენი ფეხები ჰკიდია, რათ არი ცოტაოდენ უკან გადაზნექილი? პარაშუტი? ეგებ ,,მოლოტოვის კოქტეილები“? ეგებ სულაც ყველი და პური? ეგებ თბილი საცვლები? ეგებ ქუთაისიდან წაღებული კონსერვები? ყოველ შემთხვევაში, ძაან მომზადილი კი არის ჩასული.**

☺

სუ ეგეთი ჩვევა აქ **ᲒᲝᲒᲘᲐᲡ** — წავა, წამოვა, ივლის, იბოდიალებს, მაინც და მაინც **ᲨᲘᲨᲕᲔᲚ ᲠᲐᲦᲐᲪᲐᲡᲗᲐᲜ** დადგება ხოლმე. მერე იძახის — **არ მინდოდა, ჩამიდესო...** ხან **ᲢᲐᲢᲠᲐᲧᲣᲜᲐ ᲥᲐᲚᲡ** უდებენ, ხან კიდე — **ᲢᲐᲢᲠᲐᲧᲣᲜᲐ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐᲡ.**

ეგეთია **სექსუალური გიგანტის** ბედი, ხან რას ჩაუდებენ ხოლმე, ხან — რას!

☺

არა, რა გინდათ, რას ერჩით?

კაცი კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად ჩავიდა ბრიუსელში და თქვენ კიდე სურათი ტატრაყუნა ბალღის ფონზე გადაუღეთ. **თანაც ი ბალღი, მგონი, გოგიას თავზე რაღაცის გადმოსხმას აპირებს!**

# ბარე ისიც აღიარე, რომ საბჭოთა კავშირიდან არასოდეს გავსულვართ!

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲐᲜᲢᲡ „ვივამედიდან“ დეპეშა გამოუგზავნია — **ვინც 2021 წლის ოქტომბერში ჩემი დაბრუნება დაგეგმა, ყველანი რუსეთის მიერ ჩანერგილი აგენტები არიანო.**

☺

ეგრეა, მიხოოო!

**ვინც შენ აქ გამოგაგზავნა, ვინც ,,არაუნის“ კონტეინერში ჩაგსვა, ვინც სცენარი დაგიწერა, ვინც სანზონაში ჩემ მეზობლად დაგმალა, ვინც გპირდებოდა, ჩამო, მთელი საქართველო ქუჩაში დაგხვდებაო, ყველა აგენტია და თანაც ჩანერგილი!**

მეტსაც გეტყვი:

**ᲓᲔᲓᲐᲨᲔᲜᲘᲪ** აგენტია, **ᲑᲘᲫᲐᲨᲔᲜᲘᲪ** აგენტია, შენი **ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲝᲚᲘ** აგენტია... **ბარა-ᲛᲘᲫᲔᲪ** აგენტია, ყველაზე ხშირად ეგ მოგიწოდებდა — **ჩამოდი, ჩამოდიო!**

**ᲙᲣᲠᲙᲣᲛᲐᲚᲐᲪ** აგენტია, დაგპირდა — „ვივამედში“ შემოვვარდები, დაგიხსნიო და ჩემი ფეხები, გადაგაგდო.

ეგე, სურათზე ნახე — **საიდანღაც ჩამოყვანილები რუსთაველზე ისხდნენ და თაბახის ფურცლებზე ეწერათ — „ᲛᲘᲨᲐ, ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲝ“.**






☺

ისე, შენც აგენტი არა ხარ, შე ჩემის თვრამეტიანო, აბა, რა ხარ?!

**პუტინს კოდორის ხეობა მე ვაჩუქე?**

**პუტინს 170 სოფელი დამატებით მე გადავულოცე?**

**პუტინს 80-მდე სტრატეგიული ობიექტი მე გადავუფორმე?**

**პუტინის მოტოციკლეტის ხმაზე, ბომბდამშენი რომ გეგონა, გორში ქუჩები ცხვირით მე გადავხანი?**

☺

არა!

**ეს შენ იყავი, შე ჩათლახების უსტაბაშო, შენა!**

**ყურადღებას აღარავინ გაქცევს და დაიწყე ჩაშვებების სერია, ხო?**

**ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ რო გამოგაგზავნა საქართველოში ხელისუფლების ასაყირავებლად, რა, ეგ არ არი რუსეთის აგენტი?**

ვინც შენი გამომგზავრება დაგეგმა კონტეინერით, ის რომ უკრაინის დაზვერვის ,,უმფროსის“ მოადგილედ გაამწესეს, ეს ფაქტი არაფერს გეუბნება?!

შენს გაფარჩაკებულ და ღობემორღვეულ პარტიაშიც ყველა **აგენტია,** ყველა მოღალატე და გამყიდველია...

**ჰოდა, ბარე ისიც აღიარე, რომ საბჭოთა კავშირიდან არც არასოდეს გავსულვართ!**

# ასეთს რას ხუხავენ?






**გია ხუხაშვილმა** ბრძანა — **ღარიბაშვილი ორბანის პაროდიაა, მისი „შპარგალკებით" ყელყელაობს და პატრიოტიზმად ასაღებსო.**

მაიცადეთ... აკი, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს **პუტინი** მოძღვრავსო?

აააა... ესე იგი, სამივეს ჯერ **პუტინი** უტარებს გაკვეთილებს, ხოლო შემდეგ ღარიბაშვილს ორბანი აძლევს დამატებით საშინაო დავალებებს, ხო?

**თუ ეგრეა, მაშ(ვ)ინ შეიძლება დაჯერება, თუ ეგრე არ არი, მაშ(ვ)ინ „ექსპერტი" წინააღმდეგობაში მოდის.**

☺

ჰო, **ხუხაშვილმა** კიდევ ერთი აზრი ჩამოგვიხუხა: **მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ბევრი იბრძოლეს, რომ კანდიდატობის საკითხი ჩაეგდოთ, მაგრამ კოვზები ნაცარში ჩაუცვივდათ და ეხლა იძულებულნი არიან, ყველაფერი თვითონ მიიწერონო.**

არადა, რაც **მადამ პლეზიდანმა** იღლიებიდან ოფლი გამაიდინა, რაც მაგან „პუწიოვკის" გარეშე ირბინა, სხვამ რათ უნდა დაიბრალოს?

**გახარია** რო იყო საერთოდ გადაკარგული, რა გგონიათ, ისვენებდა? არა, ევროპიელ ლიდერებს ეზო-კარი და ბაღ-ბოსტანი აუტალახა — **უსტატუსოდ ერთი დღეც არ მაცოცხლოს ღმერთმა, თუ არ მოგვცემთ, თავს მოვიკლავო.** თან მაგასაც ოფლი გასდიოდა იღლიებიდან.

☺

**მამუკა ხაზარაძე?**

ამან კიდე ევროკავშირს ულტიმატუმი წაუყენა — **თუ 15 დეკემბერს არ გაგვასტატუსიანებთ, ქველმოქმედებით საქმიანობას შევწყვეტო!**

რა საქმიანობას შეწყვეტო?

**ძაღლებს „ჩიპსებს" აღარ ვაჭმევ და ღამღამობით მანდარინს აღარ მოვკრეფო.**

ჰოოო, მაშ(ვ)ინ ჰოოო, მოგცემთო!

☺

ევროპარლამენტიდან იტყობინებიან, აქ ერთი ქალი დადიოდა, ჭყვიტინა ხმა და რაღაცნაირი ცხვირი ჰქონდა, შეგვაწუხა, ინთილა იკრა — **თუ სტატუსს არ მოგვანიჭებთ, დაგწყევლითო.**

რა უნდა გვექნა, ჩვენ კიდე წყევლა გვინდაო? ამიტომ გადავწყვიტეთ, სტატუსი მოგაგდოთო.

☺

მოკლედ, **ხუხას** ჭუჭყიანი დავთრების თანახმად, ამ ხელისუფლებას სტატუსი არ უნდოდა, მაგრამ ოპოზიციამ იმდენი ქნა, მაინც გვტენიან.

განა **ორბანს** უნდოდა ევროკავშირის წევრობა?

არა, რას ამბობთ, მაგასაც ძალით შესტენეს!

რავი, აბა?

მეტი რა გითხრათ?

**როგორც ჩანს, ხუხაშვილიც სალომე ბაბოსავით ხუხავს!**

# შოთა უტიაშვილო, დააბი!

> **Eka Kvesitadze**
> 8 h ·
> წარმოუდგენლად მიხარია უკრაინის ამბავი და ორბანის მიხრჩობა🩶 დიდება უკრაინელ გმირებს, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს სტატუსს ვზეიმობთ.

რაკი აღარ გემორჩილება და არც ადრე გემორჩილებოდა, როცა ერთი-ორჯერ თავისი „აიქიუთიც" დაგემუქრა, ხოლო ახლა მთლად გადაჭყლიტა ღობეები, **ეკა კვესიტაძის ანალიტიკოს ქმარს** მეუღლის ერთი ფეისბუქ-პოსტი მინდა წავაკითხო, რომელიც, იმედია, მასთან ერთად არ დაუწერია. მოკლედ, იგრეა აღტყინებული და აკუნტრუშებული ეს ქალი უკრაინის „ამბავჩი", რომ მეტი არ იქნება — **თურმე, უკრაინელი გმირების წყალობაა, საზეიმოდ რო გაგვიხდა საქმე!**

**შოთა უტიაშვილო, დააბი-მეთქი!**

**თორემ უახლოეს ხანში ღობეებიდან ბორდიურების ჭყლეტვაზე გადავა და გვიანი იქნება. ახლაც გვიანია, მაგრამ მთლად უიმედობა არ უნდა იყოს.**

გეუბნები, მიხედე... **ორბანი** ხო დაახრჩო, შენ დახრჩობასაც მოინდომებს... გგონია, ან ჭკუა დაუშლის, ან კიდე გონება? აკი, მაგას თავის დროზე ცხონებული **თამაზ წივწივაძეც** აფრთხილებდა — **„ეკა, ჩამოდი საკაშვილის მუხლებიდანო!"**

> **Vakho Sanaia**
> 1m ·
> უკრაინელმა ხალხმა გადაღუნა რუსეთი,
>
> ქართველმა ხალხმა - ,,ქართული ოცნება",
>
> ევროკავშირმა - ორბანი.
>
> გილოცავთ კანდიდატის სტატუსს !

# გადაღუნული

მახსოვს, ჩემი ბავშვობისას ეგეთებს ცოტა ხანს ეჭვით უყურებდნენ, მერე „03" რო ეწერა, იმ „უაზს" გამოიძახებდნენ, **გადაღუნავდნენ,** ნაპირა დუნდულაში ნემსს დაარჭობდნენ, ზოლიან ხალათს უკუღმა ჩააცმევდნენ, სიღნაღში მოკლეზე აარბენინებდნენ, თვალებში ლუპით ჩახედავდნენ, ცარცით გახაზულზე გაატარებდნენ და... **ჰაიდა, გაჩიანში!**

☺

**ახლა სხვა დროა... ახლა ეგეთები მარტო გარეთ კი არ დარბიან, ტელევიზორშიც გამოდიან და იკლიკანტურ რაღაცებს ლაპარაკობენ.**

დიახ!

**რაც ადრე უნდა ელაპარაკათ ბაჩიანში, ახლა ლაპარაკობენ ტელევიზორში, თურმე ეგეთი ყოფილა დემოკრატიისა და პლურალიზმის დედააზრი.**

☺

**არ მიაქციოთ, მეგობრებო, ყურადღება, ჩვენ ხომ ვიცით, ვინ ვინ გადაღუნა და ამჟამად ვინ იმყოფება გადაღუნულ და წაკუზულ მდგომარეობაში?**

ამ შემთხვევაში აღქმები არ ჭრის, ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ვეყრდნობით, რაც უსათუოდ ნიშნავს **სანაიასათვის გაჩიანში** ერთი ადგილის **გაჩინმენდლებას.**

# საზეიმო სირობა



☺

**არა, ხედავთ, როგორი ევროპიული „როჟები" აქვთ მოკერილი?**

**განა გამომეტყველებაზე არ ეტყობათ, რომ ძირძველი ევროპიელები არიან?**

განა ფიზიონომიაზე ვერ ამჩნევთ, რომ მზიას და ზეზვას შთამომავლები არიან და ევროკავშირში შესვლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოქვაბულში ნამდვილად შეგვიყვანენ!



ყველა იქ იყო — **ცრუ, ყრუ, მავნე, აფერისტი, თაღლითი, ფარისეველი, გადამგდები, უპირო, უცხვირო.** თან ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს ამათი წყალობით გაგვიკეთეს, რაც გაგვიკეთეს. ხელისუფლება არაფერ შუაშია, „ოცნების" მოძრავი საზოგადოება არაფერ შუაშია, ეგენი სუ პუტინისტები არიან! ამ ყველაფერს უნდა ვუმადლოდეთ **სალომე ბაბოს, სალომე სამადაშვილს, ხატია დეკანოიძეს, პაატა დავითაიას, ბადრი ჯაფარიძეს, მამუკა ხაზარაძეს, ანიკო ნაცვლიშვილს, ნიკოლოზ მაჟუტაძეს.**

ამათ იბრძოლეს, ამათ იომეს, ამათ გაიტანეს... დიახ, მიუხედავად ხელისუფლებისა და ჩვენი დიდი წინააღმდეგობისა, მაინც გაგლიჯეს კბილებით!

# სალომე ბაბო, ფეხი ჩამაიღე, გიჩანს!



**ტარასკონიის პლეზიდანს** განუცხადებია თავისსავე პირით — **საკაშვილის შეწყალებაზე უარი არასოდეს მითქვამსო.**

ავ ენებს შეუხსენებიათ — **მა სიტყვები — „არა და არასდროს", ვისიაო?**

**მე რა ვიცი, ვისიაო.**

შენ არა თქვიო?

**მე კი ვთქვი, მაგრამ სუ სხვა კონსტექტითა ვთქვიო.**

აბა, რანაირადო?

**არა და არასდროს უნდა გათხარო, სადაც არ უნდა გათხარო...**

ეგ რას ნიშნავსო?

**იმას, რომ, სადაც არ უნდა გათხარო, იქ არასდროს უნდა გათხარო!**

ისე, **სალომე ბაბო,** ამ საახალწლოდ არ შეიწყალო, თორემ ორბელიანების სასახლე კი არა, ბიძია თომას ქოხიც სანატრელი გაგიხდება. **ჰო, კიდევ: ფეხი ჩამოიღე, თორემ მაგ მითხრა-მითხრაში უკვე ეგ შენი დამპალი ამნისტიაც გიჩანს!**




**ალიო, ალიოოო... ბატონო ბრიშა!** ინფორმაცია გავრცელდა, **ბადრი შუბლაძემ** „ნაციონალური მოძრაობა" დატოვაო.

**რაო? ერთი მაგისიც?!**

კი მაგრამ, იქნებ დააკონკრეტოთ, **მაგისაც** რას ნიშნავს?

ააა... **ერთი მაგისი სუყველაფერიც?**

როგორ გითხრათ, უფრო დაკონკრეტებაც შეიძლებოდა, მაგრამ, მოდით, საზოგადოებას პატივი ვცეთ, ბოლო-ბოლო კაცი **საკაშვილის ბებიის ქელეხში თამადა იყო...**

რა ბრძანეთ? **ნაცმოძრაობის ქელეხსაც უთამადებსო?**

თქვენს პირს შაქარი, ჰოდა, ცოტა ხანი ნუღარ შეაგინებთ, ემანდ, **შუბლის ძარღვი არ გაუმთელდეს!**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

# ბადრის შუბლი

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-10 გვერდზე

# პოლიტდედაკაცები თუ პოლიტდიდკაცები?

**თინა ძალომ** თქვა და **ეკა მამიდამ** კვერი დაუკრა:

**პირველი** — 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში **სალომე ბაბო** გამოვა, როგორც გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერიო!

**მეორე** — გაერთიანებული ოპოზიცია მოაგროვებს ხმების იმ რაოდენობას, რომ კოალიციური ხელისუფლება შეიქმნასო!

**მესამე** — კოალიციური ხელისუფლება შემდეგ პრეზიდენტად დაამტკიცებს **სალომე ბაბოსო!**

რაც მთავარია, **თინა ძალო და ეკა მამიდა მიესალმებიან ამგვარ კონფიგურაციას და ერთობ კმაყოფილნიც კი დარჩებიან, თუკი ასე მოხდება.**

მეტიც, **ეკა მამიდა** აცხადებს, რომ **სალომე ბაბოსთან** იგი წინა ცხოვრებაშიც თანამებრძოლობდა, ახლაც თანამებრძოლობს და მომავალშიც ითანამებრძოლებს.






რაც შეეხება, **თინა ძალოს** თანამებრძოლობას, ამ ეტაპზე გაყუჩებულობას ამჯობინებს, არჩევნებამდე საკმაო დროა. პრინციპში, გააჩნია, რა მაყუთი გაიჭრება **სალომე ბაბოს** ფლანგზე.

**როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის პოლიტდედაკაცობას დიადი მომავალი უკვე დალაგებული აქვს...** ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ? **ახლა გასაგებია, რატომ ებღაუჭება სალომე ბაბო ყველა წყალწაღებულს, დაწყევლილს, ოხერს, მუდრეგსა და ტიალს?!**

# უგრძვნია!



## დავით ბაქრაძე კეზერეიზიის ეთერში – ნიკა არაბიძის შოუში



ეს **დანა-ჩანგლოსანი** ჯეელი გახსოვთ? ან კი რა დაგავიწყებთ? 2008-ში **დანა-ჩანგალი რო აისხა** და თბილისს მომდგარი რუსეთის ჯარი უკან გააბრუნა, ეგ არი.

აბა, რა უნდა ექნა? რაც რამ ჟანგიანი „პულიმიოტები" გვქონდა უკრაინაში ოთუზბირად ნაყიდი, სააკაშვილმა რუსებს გაატანა, **ესეც ადგა და ჯამ-ჭურჭელი გამოიყენა სამხედრო დანიშნულებით,** თან ჩვენც შეგვაგულიანა — **გამოდით, არ შეგეშინდეთ, მტერს ჩანგლებით შევებრძოლოთ, არ დავნებდეთო.**

კი გავედით, მაგრამ ამას, ამ ომში ნაწრთობ ჯეელს უკვე მოთავებული ჰქონდა ყველაფერი.

☺

**აგი ჯეელი** შარშანწინდლამდე **ყველა სოციოლოგიურ გამოკითხვაში ლიდერობდა,** სუ პირველ ადგილზე იყო, როგორც პოლიტიკოსი და როგორც საზოგადო მოღვაწე.

შარშანწინ გაქრა. ბოლო ორი წელიწადია, **აღარც კვლევებში ახსენებენ, აღარც გამოკვლევებულებში,** აღარც საზოგადოებაში, აღარც პოლიტიკაში... აღარც ტელევიზორში ეძახიან ჭკუის საკითხავად.

დეკემბრის პირველ დეკადაში **კეზერას უზორნიაში** გაიელვა, **თავის ხუმრობებზე მარტო თვითონ რო იხეჩება ლეღვის ტოტივით, იმას მიუწვევნია შოუში.**

**ამან, ამ დანა-ჩანგლოსანმა** თავიდან ცოტა მორიდებით დაიწყო — **როცა ჯამბაზმა ჰკითხა, როგო ხარო, სახე აუწითლდა და... რავი, აბა, როგო ვარ, როგორც „არაჩვეულებრივ გამოფენაშია", აღარც კი მგონია, ცოცხალი თუ ვარო.**

ოჰ, კაი, კაცო, ცოცხალიც ხარ და ბევრი კარგი საქმის გაკეთება ჯერ კიდევ შეგიძლიაო... **ისე, მაინც რას აკეთებ, ვის ქვემოდან ან კიდე ვის ზემოდან ბრძანდებიო?**

პარლამენტში ვარ, მაგრამ იქ სუ ჩხუბობენ და ამიტომ ვერიდები, მაგათ საქმეებში არ ვერევიო. თან ამას წინებზე დოქტორი გავხდი და ერთ-ერთ უნივერსიტეტში სტუდენტებს ვმოძღვრავ, ეს საქმე ძალიან მომწონსო.

☺

მოკლედ, ამ ჯეელმა — **ძაან კმაყოფილი ვარო...** „დაჟე" იმასაც ვფიქრობ, ადრე პარლამენტის თავმჯდომარე რო ვიყავი, დროს რაზე ვკარგავდიო? ეხლა მარტო სტუდენტებს ვაბოლებ და ვარ ჩემთვის წყნარადო.

როცა გადაცემას, ასე თუ ისე, იუმორისტული ჰქვია, ამასაც რამე ისეთი ხომ უნდა ეთქვა?

ჰოდა, თქვა: **რამდენიმე დღის წინ კვლევა რო გამოქვეყნდა, ქართველებს წაკითხულიდან აზრი რო ვერ გამოაქვთ, ხო გახსოვსო?**

კი, კაცო, როგორ არ მახსოვს, ეგ ეხლა არ იყო-ვო? — მიუგო ხაჩხაჩით ჯამბაზმა.

**მე მგონი, ეგ კვლევა „ქოცებში" ჩაატარეს — მე რო ვუყურებ, მაგათ ვერ გამოაქვთ აზრი წაკითხულიდანო... წაიკითხავ პროგრამას, სუ სხვა რაღაცა წერია, მართლა კარგია, გაგიხარდება, შეხედავ რეალობას და გული შეგიწუხდება, ეს იმასთან კავშირში არ არიო.**

☺

ხედავთ, სად გაარტყა?! — „ქოცებს" თავიანთივე პროგრამიდან შინაარსი ვერ გამოაქვთო.

დიახ, ამათ თავიანთი პროგრამებიდან შინაარსი კარგად გამოჰქონდათ... საერთოდ არ კითხულობდნენ, მაგრამ მაინც გამოჰქონდათ... წაკითხვა რა საჭირო იყო? დასხამდა სააკაშვილი — **ზოგს საფერფლეს ესროდა, ზოგს პანჩურს ამოარტყამდა, ზოგს თმებით ითრევდა, ზოგს ძუძუს მოაჭამდა, ზოგს კუდუსუნს ჩაულეწავდა და ეგ იყო შინაარსის გამოტანა.**

☺

ბიჯოოოოოო... დავით!

„ქოცებმა" ისე გაგაპარტახეს, შენგან ბუნდღაც აღარ დარჩა პოლიტიკაში... წინა არჩევნებზე **ბოკერიას** წყალობით მოხვდი პარლამენტში და ეხლა რა გეშველება, შემტენიც აღარავინ დარჩა, რომ ვინმეს შეეტენო, „დარმავოი" ხელფასი კიდე ოთხი წლით გაიხანგრძლივო და... კიდე სხვებზე იძახი, წაკითხულიდან შინაარსი ვერ გამოაქვთო?!

☺

**ისე, თვითონვე რო გეპარება ეჭვი, ცოცხალი ვარ თუ არაო, ეგეც რაღაცას ნიშნავს — გიგრძვნია!**






# რამდენად გონივრულია ჩვენი სწრაფვა ევრო-ატლანტიკური კავშირისკენ?

***მაშინ, როცა ევროკავშირის სტატუსის მიღებით საზოგადოება აღტყინებულია, დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი ორ რიტორიკულ შეკითხვას სვამს და თავადვე სცემს ამომწურავ პასუხს:***

— ჯერ კიდევ 2022 წლის მარტის დასაწყისში, როცა ზელენსკი ნომერ პირველ მსხვერპლად და გმირად იყო წარმოჩინებული, ვთქვი — **არ მინდა, ამ ომში რუსეთი დამარცხდეს, რადგან ეს ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი იქნება-მეთქი.** ამ გადასახედიდან მაშინ ჩემი სურვილი ძალიან გაბედული იყო. მადლობა უფალს, რომ მსგავსი რამ არ მოხდა და ჩემი აზრით, სწორად შევაფასე მოვლენები. **საბედნიეროდ, დაიმსხვრა ამერიკის უძლეველობისა და ნატოს მძლეთამძლეობის მითი.** აღმოჩნდა, რომ რუსეთი მხოლოდ ბენზინგასამართი სადგური არ არის და არც პუტინია შეშლილი ლიდერი. მეტიც, ხალხმა საკუთარი თვალით იხილა, ვინ დაარბია კიევ-პეჩორის ლავრა.

თავის დროზე **ჩერნენკოც** კი არ იყო ასეთ დღეში, როგორშიც დღეს **ბაიდენია.** ამერიკა სტრატეგიული გათვლებითაც დამარცხდა. **დღეს მხოლოდ იმასღა ამბობენ, რუსეთს ეგონა, უკრაინას სამ დღეში დაამარცხებდაო.**

**— დიახ, ეს მოლოდინები ნამდვილად იყო...**

— მარტო უკრაინას, რა თქმა უნდა, სამ დღეში დაამარცხებდა, მაგრამ უკრაინის უკან ნატო და 31 ქვეყანა დგას! **რეალურად რუსეთს დაუპირისპირდა ნატოს შეიარაღებული ძალები ამერიკის თამადობით. ასე რომ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით — 31-მა ქვეყანამ ვერ დაამარცხა რუსეთი, მეტიც, პრაქტიკულად, მათ რუსეთის არმია დედამიწის ზურგზე ნომერ პირველ გაწვრთნილ და აღჭურვილ არმიად აქციეს.**

ახლახან ამერიკელმა გენერალმა **ლოიდ ოსტინმა** განაცხადა, ჩვენ უძლეველი არმია გვყავსო. ამის შესახებ რუსმა ჟურნალისტებმა ბევრი იცინეს — ბოლოს რომელი ომი მოიგო თქვენმა არმიამო? იცით, რა იყო პასუხი სტუდიიდან? **ცივი ომიო!** ამერიკამ შეიარაღებული ომი ბოლოს ესპანელებს 1800-იან წლებში მოუგო. რომ მანიპულირებენ თავიანთი უძლეველობით, სად მოიგეს ომი — ერაყში, სირიაში, ავღანეთში თუ უკრაინაში? **მითი, რომ ნატო საიმედო დაცვა და ქოლგაა, ჩამოიშალა!**

წესით, ახლა ასე უნდა ვსვამდეთ კითხვას — **რამდენად**

## კვირგვინოსნები

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



როგორც ჩვენ გვეკუთვნის **ცხინვალი და სოხუმი,** ისე ეკუთვნის **სოხუმელს და ცხინვალელს** თბილისი.

„იმედინიუსი"

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



2024 წელს ქართველი ხალხი **რადიკალურ ოპოზიციას თავისი მედიებითა და ანტისამთავრობო ორგანიზაციებით** პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრებს!

„იმედინიუსი"

# „თავის დროზე ჩერნენკოც კი არ იყო ასეთ დღეში, როგორშიც დღეს ბაიდენია!“





**გონივრულია ჩვენი სწრაფვა ევროატლანტიკური კავშირისკენ? ხვალ რომ მიგვილონ, ნატო დაგვიცავს?**

**— ფიქრობთ, რომ არა?**

— დიახ, ვერ დაგვიცავს, თუმცა, 2 წლის წინათ ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. **გვილირს კი კონსტიტუციაში ის ერთი წინადადება, რამაც უკრაინა ბოლომდე დაღუპა?** პირდაპირ გეუბნებით, არ გვიღირს! ნატო არავის დამცველი არ არის, მას თავისი თავი გასჭირვებია. **სტოლტენბერგს** რომ შეხედავ, რისი იმედი უნდა გქონდეს? რას ჰქვია, ვიღაცის აკრძალვით რუსეთს არ დაელაპარაკო და გაბუტული ბავშვივით იყო? თურმე, სადაც რუსეთი იქნება, იქ არ უნდა მივიდეთ — **ეს არის იდიოტური, ინფანტილური ფორმულა, რის გამოც დასავლური პოლიტიკა ჩიხში შევიდა.**

ყოველთვის ვიყავი ნატოს სკეპტიკოსი, მაგრამ თუ მანამდე ლოგიკური ანალიზის შედეგად ვფიქრობდი ასე, დღეს ფაქტების საფუძველზე ვამბობ — **ნატოს არა აქვს სხვისი დაცვის უნარი, აქედან გამომდინარე, მასთან შეთამაშება მხოლოდ ღუპავს ქვეყნებს!**

**— მაგრამ რუსეთის საპირწონე ხომ შეიძლება იყოს?**

— ეს იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა გზა არ არსებობს, მაგრამ, როდესაც შენ შეგიძლია დაელაპარაკო რუსეთს, რად გინდა ამისთვის სხვა ქვეყნების მოხმობა? რამდენიმე თვის წინათ **მედვედევმა** ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ თქვა — წარვმართოთ დიალოგი გონივრულად, ცივილიზებულად, გაეროს რეზოლუციების ფარგლებშიო. ამაზე კარგი წინადადება რაღა გინდათ?!

დიახ, დღეს რუს დიპლომატებთან საუბარი შეიძლება, მეტიც, აუცილებელია, მითუმეტეს, სამყარო ერთპოლარული აღარ არის და რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი გამოიკვეთა. ავიღოთ იგივე **ორბანი,** იგი რუსეთის კი არა, უპირველესად, უნგრეთის მეგობარია. ევროკავშირის საღად მოაზროვნე ადამიანებმა მას აჰკიდეს ტვირთი, რომ ყველა მათგანის მოსაზრება გაახმოვანოს. **ის, ვინც აზროვნებს, ხვდება, რომ ავლანიზებული უკრაინა ზურგზე არ უნდა აიკიდო.** აკი, ძალიან დიდ ტვირთად დააწვა ევროპას უკრაინელი ლტოლვილები — ეს ჩვენმა ხელფასიანმა **„მედასავლეთე პატრიოტებმა“** ძალიან კარგად იციან, მაგრამ ამბობენ იმას, რასაც უბრძანებენ. **ანა ფოტიგა, მაია სანდუ თუ ნაციონალები ყველა ერთ მესიჯს ახმოვანებს. აბსოლუტურად მართულები არიან ამერიკიდან და მიზანმიმართულად ანგრევენ ქვეყნებს.** მოვა დრო და ეს კიდევ უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ ითქმევა. **ორბანი** იმ ევროპას წარმოადგენს, რომელსაც უნდა გადარჩენა და რომელიც ხვდება, თუ ასე არ მოიქცევიან, თავიანთ ქვეყნებს დაღუპავენ!

**— ამ პოლიტიკურ ვითარებაში რა სარგებელი აქვს ჩვენთვის სტატუსის მონიჭებას?**

— კი გვიხარია სტატუსის მონიჭება, მაგრამ, მოდით, ევროკავშირში გაწევრიანებაზეც დავსვათ კითხვა — **დღეს ჩვენ ევროკავშირში მიგვიღებენ? არა!** გაწევრიანების პერსპექტივა მხოლოდ 7 წლის შემდეგ არის. აკი, თავად განაცხადეს — 2030 წლამდე ეს საკითხი არ განიხილებაო. ისე არ მოგვივიდეს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და 9 აპრილის შემდეგ ერთვი კაცი კომუნისტურ პარტიაში რომ შევიდა. ასე რომ, შევხედოთ, როგორი იქნება ეს კავშირი ხვალ და ზეგ! ან კი იარსებებს საერთოდ?

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„ორბანი იმ ევროპას წარმოადგენს, რომელსაც უნდა გადარჩენა და რომელიც ხვდება, თუ ასე არ მოიქცევიან, თავიანთ ქვეყნებს დაღუპავენ!“**



# ავცრათ? არ ავცრათ? – საფიქრალი, აი, ეს არის!

***გლობალიზმის მამები დაუღალავად ქმნიან პლანეტის მოსახლეობის შემცირების მიზნით ახალ-ახალ პროგრამებს, რითიც, უპირველესად, მცირე ერებს და მათ გენოფონდს აყენებენ განადგურების რეალური საფრთხის წინაშე. მათ შორის ჩვენც ვართ, ქართველები... ამ გამოწვევების გაშიფვრას ემსახურებოდა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ორგანიზებული კონფერენცია, რომელსაც ექიმები, სხვადასხვა დარგის მეცნიერები, საზოგადოებისთვის ცნობადი ადამიანები და სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ.***

*გამუდმებით გვესმის აგიტაცია, რომ ავცრათ ჩვენი შვილები* ***პაპილომავირუსის*** *საწინააღმდეგო ვაქცინით, რომელსაც უფასოდ გვთავაზობენ 9 წლიდან გოგონების და 10 წლიდან ბიჭებისათვის.* ***პოლიკლინიკებიდან გამუდმებით რეკავენ და აქტიურ აგიტაციას უწევენ მშობლებს, არწმუნებენ, ბავშვი ამ აცრას თუ ჩაიტარებს, კიბო აღარ დაემართებაო.*** *კოვიდის ცრუ პანდემიის შემდეგ მოსახლეობამ დაკარგა ნდობა როგორც ვაქცინაციისადმი ასევე, ნაწილობრივ, ექიმთა მიმართ. ამ სიტუაციაში როგორ მოვიქცეთ? ავცრათ ბავშვები თუ არ ავცრათ?*

*კონფერენციის ჩანაწერის სოციალურ ქსელში განთავსებისთანავე ე.წ. ფაქტჩეკერებმა მასალა „ცრუ ინფორმაციად“ მონათლეს და დაბლოკეს. „ასავალ-დასავალი“, ფაქტობრივად, ექსკლუზიურად აშუქებს მოვლენას. დაე, მკითხველმა თავად შეაფასოს კონფერენციაზე გაჟღერებული მოსაზრებები.*

**თინა თოფურია,** ***მედიცინის დოქტორი, ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე:*** — პაპილომა ვირუსის 200 სახეობაა ცნობილი. ადამიანში რაიმე პრობლემის გამომწვევია მხოლოდ 20. მათი მიზეზით საშვილოსნოს კიბოს წარმოქმნის თეორიული ალბათობაც კი უკიდურესად მცირეა. ისინი, ძირითადად, ქმნიან კანისა და გენიტალიების ლორწოვანის წანაზარდებს, რომლებიც 2-3 წელიწადში თავისით ქრება. ჯერ კიდევ 2017 წელს, როცა ეს ვაქცინა შემოიტანეს, მე ვიკითხე: **— ეს ვირუსები გადადის სქესობრივი გზით და აცრას რად ავალდებულებენ ბავშვებს 9 წლიდან?** — ძალიან საინტერესო პასუხი მივიღე: — **გოგონები უნდა აიცრან, ვიდრე მენსტრუალური ციკლი დაეწყებათო!** ოდესმე გსმენიათ, რომელიმე პროფილაქტიკურ ვაქცინას ციკლთან რაიმე კავშირში ჰქონოდეს? აი, ამ ვაქცინას კი მართლაც ჰქონია — **ის იწვევს აცრილ გოგონებში ციკლის შეფერხებას ან სრულად მოშლას, რაც უშვილობის მიზეზი ხდება!** ესეც შენი დეპოპულაციის საუკეთესო იარაღი, რაც შობადობის შემცირებაზე გადის!

**მშობლებს ვეკითხები: 9 წლის გოგონებს რომ ცრით იმ პაპილომის წინააღმდეგ, რომელიც სქესობრივი კონტაქტით გადადის, ამით ადასტურებთ, რომ თქვენი გოგონა მზად არის სექსუალური ცხოვრებისთვის? ბიჭებს რატომღა ცრიან? საშვილოსნოს ყელის კიბო ბიჭებს ხომ არ ემართებათ. რაღაც აბსურდია!**

პაპილომავირუსის აცრა ჯერ სავალდებულო აცრების სიაში შეიტანეს; ახლახან კი ასაცრელი ბიჭების ასაკი გაზარდეს! სწორედ 9-10 წლიდან იწყება ენდოკრინული სისტემის ჩამოყალიბება. გოგონას ქალის ჰორმონები უნდა ჩამოუყალიბდეს, ბიჭს კი — კაცის. **ცხადია, რომ ამ „აცრის“ მიზანია, შეაჩერონ ბავშვების ნორმალური ჰორმონალური განვითარება და გამოიწვიონ შემდგომში მათი არა-**

*გაგრძელება მე-14 გვერდზე*



## *თინა თოფურია:* იმ ხალხის მიკვირს, ვისაც ჩვენ მიმართ ჯანმოს კეთილი განზრახვების სჯერა!

## კვირგვინოსნები

**თეა ახვლედიანი**
*შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი*



გამოვთქვამთ მზაობას, **ევროინტეგრაციის მონაპოვარი თანაბრად გავავრცელოთ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე** — შევთავაზოთ აფხაზ და ოს თანამემამულეებს **ახალი შესაძლებლობები და უკეთესი მომავლის პერსპექტივა** ერთიან, დემოკრატიულ და ევროპულ სახელმწიფოში.

„ინტერპრესნიუსი“

**ედიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



**ორბანს** ვეთანხმები — **მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა უკრაინაა.** ამის პირველი ფაქტი გახლავთ ის, რომ **უკრაინა წლების განმავლობაში მფარველობდა კორუმპირებულ სააკაშვილს, ადეიშვილს, ლორთქიფანიძეს, საყვარელიძეს.** ჩვენი ქვეყნის მძარცველები, ყველა უკრაინამ შეიფარა.

„საერთო გაზეთი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, **კორუფციის კონტროლის მიხედვით საქართველო უსწრებს ნატოს წევრ 25 ქვეყანას და დიდი შვიდეულის 5 წევრ ქვეყანას.**

„იმედინიუსი“

**დავით ზილფიმიანი**
*პარლამენტარი*



ევროპამ დაინახა, რომ **მას არანაკლებ სჭირდება საქართველო,** ვიდრე საქართველოს — ევროპა.

„იმედინიუსი“

**რიმა ბერაძე**
*პარლამენტარი*



შედეგებს, თუ ვის პარტიაშია დაპირისპირება, **ვის ენგრევა თავზე პარტია, ვისი რეიტინგი უახლოვდება ნულს,** 2024 წლის ოქტომბერში ერთად დავითვლით.

„იმედინიუსი“

# ავცრათ? არ ავცრათ? –

## საფიქრალი, აი, ეს არის!

*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

**მარტო უშვილობა, არამედ უსქესო არსებები გამოზარდონ, რომლებსაც ხვალ ჰკითხავენ — რომელი სქესის ზინდა რომ იყო?!**

კოვიდისდროინდელი აფერის „ავიცრათ ერთმანეთისთვის!“ მსგავსად, აღმოჩნდა, რომ პაპილომას აცრის ჰუმანური დანიშნულება შიდსით დაავადებულების დაცვა ყოფილა. **თურმე, ჩვენი შვილები უნდა აცრან, რათა სექსუალური კონტაქტის დროს პაპილომა ვირუსი შიდსით დაავადებულებს არ გადაედოთ, მაგრამ რა ესაქმებათ ჩვენს პატარებთან შიდსით სნეულებს?!** ამ ფონზე ექიმების დუმილი მიკვირს! იმ ხალხის მიკვირს, ვისაც ჩვენ მიმართ ჯანმოს კეთილი განზრახვების სჯერა!



## თინათინ გოცაძე:

## ექსპერიმენტული პრეპარატებით ასობით ათასი ახალგაზრდა და ბავშვი დაღუპეს!

**თინათინ გოცაძე**, *მედიცინის დოქტორი, პროფესორი:* — კოვიდპანდემია თავისი რეჟიმითა და ვაქცინაციის პროგრამით დეპოპულაციის გლობალისტური პროექტის ერთ-ერთი ნაწილი რომ იყო, ამაზე სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები კარგა ხანია, ღიად საუბრობენ. ფონდ „ბუნებრივი გადაწყვეტილებანის“ სამედიცინო დირექტორი, დოქტორი **რიმა ლეიბოუ** ჯერ კიდევ 2010 წელს ამხელდა, თუ როგორ აპირებდნენ **ჯანმო, გაერო და ბილ-დერბერგის კლუბი** მსოფლიოს მოსახლეობის 90%-ით შემცირებას. **მართლაც, კოვიდპანდემიის პერიოდში ცალკეულ ქვეყნებში გამოყენებული მეთოდები არათუ მოსახლეობის გადარჩენას, არამედ გენოციდს ემსახურებოდა.** მაგალითად, შოტლანდიაში პანდემიის გამოცხადებისთანავე, თურმე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ნებაყოფლობით სიკვდილის შესაძლებლობა შესთავაზეს, ხელი მოაწერინეს DNR (DO Not Resuscitate — არ გააცოცხლო) დოკუმენტზე. **ამ საბუთის მქონე, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს გადაუდებელ პროცედურებსა და რეანიმაციას აღარ უტარებდნენ, მშვიდად გარდაცვალების ნებას აძლევდნენ.**

შოტლანდიამ პრაქტიკულად ეშმ პირების ხარჯზე საწოლების გათავისუფლების გზა აიღო და ჯანდაცვის სისტემისათვის ყველაზე ხარჯიანი მოსახლეობის ნაწილი მარტივად გაწირა ისევე, როგორც არ დაინდეს დიდი ბრიტანეთის მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები. **ხანდაზმულებს ვინ ჩივის, როდესაც ვითომდა პანდემიის დასამარცხებლად მოწოდებული, რნმ-ტექნოლოგიის ექსპერიმენტული პრეპარატებით ასობით ათასი ახალგაზრდა პირი და ბავშვი დაღუპეს.**

ამერიკაში, ბრიტანეთში, ისრაელსა და კანადაში „გაურკვეველი მიზეზით“ გარდაცვალების სტატისტიკა რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს. როგორც კანადის სტატისტიკური მართვის ცენტრი იუწყება — **2022 წელს, წინა წლებთან შედარებით, სიკვდილიანობამ 135%-ით მოიმატა, ხოლო აშშ-ში ბავშვთა გარდაცვალებამ ბოლო 20 წლის პერიოდის ყველა მაჩვენებელს გადააჭარბა.** ამ შოკისმომგვრელი სტატისტიკის გამო, პედიატრიის ამერიკული აკადემიის პრეზიდენტმა, დოქტორმა **სენდი ჩანზმა** CNN-ს საგანგებო წერილითაც კი მიმართა!



## ნონა აღდგომელაშვილი:

## ამ ექსპერიმენტით რეალურად ხდებოდა ადამიანთა გენომის რედაქტირება!

**ნონა აღდგომელაშვილი**, *ექიმი:* — ახლა, როცა უკვე ცნობილია კოვიდის ვაქცინაციის დამანგრეველი შედეგები, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ საგანგაშო ფაქტზე, რომ ამ **ექსპერიმენტით რეალურად ხდებოდა ადამიანთა გენომის რედაქტირება!** ე.წ. მესინჯერული (ანუ ინფორმაციის გადამტანი) **რნმ ვაქცინები** იმით განსხვავდება კლასიკური ვაქცინებისაგან, რომ გამოყენებულია არა დასუსტებული ვირუსი ან მისი ფრაგმენტი, არამედ ინფორმაცია კორონავირუსის სპაიკ ცილის შესახებ, რომელიც უნდა წარმოქმნას ჯანსაღმა უჯრედმა. ეს ნიშნავს, რომ ხდება ჯანმრთელი უჯრედის „გადაპროგრამება“ და ნორმალური ცილების ნაცვლად უჯრედის ბირთვი იწყებს შხამის — სპაიკ ცილის წარმოქმნას.

**მოსახლეობაზე ექსპერიმენტი რომ ტარდება, ეს საჯაროდ გაცხადდა 2020 წლის ზაფხულში მსოფლიო ჯანდაცვის სამიტზე, რასაც 120 ქვეყნის წარმომადგენელი მეცნიერები ესწრებოდნენ.** სამიტზე სიტყვით გამომსვლელმა ფარმაკომპანია „ბაიერნ მონსანტოს“ პრეზიდენტმა **სტეფან ერლიხმა** აღნიშნა: **„ჩვენ ნამდვილად ვაკეთებთ ნახტომს უჯრედულ და გენურ თერაპიაში. მესინჯერული რნმ ვაქცინები არის მაგალითი უჯრედული და გენური თერაპიისა. ორი წლის წინ საზოგადოება რომ გამოგვეკითხა, სურთ თუ არა გენური თერაპიის მიღება, ალბათ, 95% უარს იტყოდა!“**

გენმოდიფიკაციისთვის გამოყენებულია GRISPR-GAS9 ტექნოლოგია. ეს არის ბაქტერიული გენომის უბნები, რომლებიც პერიოდულად მეორდება ბაქტერიის დნმ-ში და წარმოადგენს ბაქტერიის იმუნურ სისტემას. ის აღმოაჩინეს 80-90-იან წლებში და თანდათან იქცა გენრედაქტირების ტექნოლოგიის საფუძვლად. GAS9 ცილა **დნმ**-ის „მაკრატლის“ როლს ასრულებს. მას შეუძლია, მოჭრას გენომის გარკვეული მონაკვეთი. ამის შემდეგ ის წყვეტს დნმ-ის სპირალის ორივე ძაფს, აჩშობს მის მოქმედებას ან იმ ადგილზე „აკერებს“ სხვა გენების ერთობლიობას. შედეგად ხდება გენომის რედაქტირება, რაც ორგანიზმის ფუნდამენტური ქიმიის შეცვლას განაპირობებს!



## ზაქარია როჭიკაშვილი:

## ვაქცინაცია დააწესეს იმ მიზნით, რომ ყოვლისშემძლე იმუნიტეტის შესაძლებლობები ჩაეხშოთ!



## ირაკლი უტიაშვილი:

## მშობელს უფლება აქვს, უარი განაცხადოს არასრულწლოვნის აცრაზე!

**ირაკლი უტიაშვილი**, *ადვოკატი, უფლებადამცველი:* — პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი და იმ დაავადების სია, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები, დამტკიცებულია ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით № 01-60/ნ. დაავადებების სია საკმაოდ ვრცელია, რომელშიც აგრეთვე შედის **პაპილომავირუსი** და, შესაბამისად, მისი საწინააღმდეგო ვაქცინა.

**ბრძანების ტექსტი თავისი შინაარსით არის ორაზროვანი, ერთი მხრივ, წერია, რომ პროფილაქტიკური აცრა არის სავალდებულო; თუმცა, ამავე ნორმატიულ აქტში მითითებულია, რომ ბავშვის მშობელს ან მეურვეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს არასრულწლოვნის აცრაზე.** მშობელმა ან მეურვემ უარი უნდა დაადასტუროს შესაბამისი უარის თქმის ფორმის განცხადებაზე ხელმოწერით. **ვაქცინის იძულების უფლება არ გააჩნია არც სამედიცინო პერსონალს და არც არავის. დაძალების შემთხვევაში მშობელმა ან მეურვემ უნდა განუმარტოს სამედიცინო პერსონალს, რომ კანონი მას აძლევს ბავშვის ვაქცინაციაზე უარის თქმის უფლებას.** საჭიროების შემთხვევაში მშობელმა უნდა დარეკოს **ცხელ ხაზზე** 1505 ან მიმართოს იურისტს. პროფილაქტიკური აცრების სიაში ჯერჯერობით არ შედის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.

კოვიდპანდემიის პერიოდში, 2021 წლის 28 იანვარს **„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში** შევიდა საეჭვო ცვლილება, რომლის მიხედვითაც კოვიდ-19-ის პროფილაქტიკური აცრისთვის ან მკურნალობისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პროდუქტით შესაძლო ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. მანამდე არცერთ ვაქცინასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ვაქცინის მწარმოებელი კომპანია მოიხსნიდა პასუხისმგებლობას, ასეთი ცვლილება კანონში არ განხორციელებულა.

ცნობილია, რომ საქართველოში კორონავირუსის ვაქცინაციის პროცესი დაიწყო 2021 წლის მარტის მეორე ნახევარში. **სამედიცინო დაწესებულებაში იმუნიზაციის წინ ყველა პირი ხელს აწერდა დოკუმენტზე, რომელშიც ასევე გაწერილი იყო, რომ ვაქცინით გამოწვეული გართულების რისკის პასუხისმგებლობა თავად მოქალაქეზე გადადიოდა.** ლოგიკურია, რომ ამით სახელმწიფომ, თავის მხრივ, აიცილა პასუხისმგებლობა გამოუცდელი და საეჭვო ვაქცინით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე.

2021 წლის ბოლოს გაერომ მიიღო კონკრეტულად კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული რეზოლუცია, რომელშიც გაიწერა, რომ კოვიდვაქცინის მწარმოებელ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის. **პირადად მივმართე ჯანდაცვის სამინისტროს და მოვითხოვე ასეთი ხელშეკრულების ასლის გადმოცემა, მაგრამ ამაოდ. პასუხი წერილობით მაცნობეს და უარის თქმის მიზეზად სამინისტრომ მიუთითა, რომ ინფორმაცია არ იყო საჯარო და წარმოადგენდა ვაქცინის მწარმოებელი კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას!**

**ზაქარია როჭიკაშვილი**, *კლინიკა „ესკულაპის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი:* — **ყურები გამოგვიჭედეს, რომ პანდემიას ახლდა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობა არ შემცირებულა, არც ამომრჩეველთა რაოდენობა შემცირებულა, იმის მიუხედავად, რომ ქვეყნიდან ხალხის გადინების რაოდენობა გაიზარდა!** ადამიანს იმუნიტეტის საკმარისი რესურსი გააჩნია იმისთვის, რომ ახალ-ახალ ინფექციებს გაუმკლავდეს და ფაქტია, **ვაქცინაცია დააწესეს იმ მიზნით, რომ ყოვლისშემძლე იმუნიტეტის შესაძლებლობები ჩაეხშოთ!**

### ბოლოთქმა

ამავე სულისკვეთებით კონფერენციის წინაშე ოცამდე გამომსვლელმა წარმოადგინა მოხსენება, მათ შორის იყვნენ სასულიერო პირებიც. **გენოფონდის წინააღმდეგ გალაშქრებად შეფასდა ანტიდისკრიმინაციული კანონი, იუვენალური იუსტიციის კანონი, ქართველი ხალხისთვის დასავლეთიდან თავსმოხვეული უზნეო ღირებულებების დანერგვა, ამ მიზნით, უცხოეთიდან დაფინანსებული რეზიდენტული არასამთავრობო ორგანიზაციების უკონტროლო თარეში.** კონფერენციის დასასრულ გადაწყდა **„ქართული გენოფონდის დამცველთა ალიანსის“** შექმნა, რომელშიც გაერთიანდა 10 სხვადასხვა დარგობრივი ორგანიზაცია. შედგა მიმართვა პრემიერ-მინისტრის სახელზე მოთხოვნით, რომ **პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ამოღებულ იქნას სავალდებულო აცრების ნუსხიდან, შეწყდეს მოზარდების ვაქცინაცია და მასმედიით ვაქცინაციის პროპაგანდა, ასევე ვაქცინაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრის მქონე პირთა შევიწროება და დევნა.**

*მოამზადა*

***ზაზა დავითაია***

№68 (236) ★ 2023 წლის 18 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*„ევროკავშირი დაიშლება! უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სამი ახალი ალიანსის — ევროპის ქვეყნების კონსერვატიული გაერთიანების, სლავური ქვეყნების კავშირისა და კავკასიური სახლის ჩამოყალიბება!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრმა ბესო მიქავამ:***

# ბესო მიქავა: უკრაინაში ომი დასრულდება უკრაინის დაშლით!



— **უკრაინაში ომი დასრულდება უკრაინის დაშლით!** ამის შესახებ უკვე მიგვანიშნებენ თავად ზელენსკის რეჟიმის წარმომადგენლები. ახლახან რეჟიმის ოპოზიციაში გადაბარგებულმა ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურამ — **არესტოვიჩმა** განაცხადა, რომ ევროპამ შუა გზაზე მიატოვა უკრაინა და არც კი უცდია რუსეთის დამარცხება, რადგან ამის საშუალება არ გააჩნია! ახლა ირკვევა, რომ არც ამერიკას შეუძლია დაუმზადოს უკრაინას წელიწადში მილიონი ჭურვი, რასაც თავისუფლად ახერხებს თუნდაც ჩრდილოეთ კორეა. არადა, უკრაინას ამ ომში, მინიმუმ, 17 მილიონი ჭურვი სჭირდებოდა, ხოლო ევროპამ შეპირებული 300 ათასი ჭურვიც კი ვერ მიაწოდა. უკვე ცხადი ხდება, რომ არათუ უკრაინა, რუსეთს ომს მთელი ევროპაც ვერ მოუგებს. უფრო მეტიც,

## რუსეთსა და უკრორუსეთს შორის სამხედრო დაპირისპირება სამოქალაქო ომს უფრო მოჰგავს, ვიდრე ორ ქვეყანას შორის სამხედრო კონფლიქტს.

ადრეც გითხარით და კვლავ გავიმეორებ — რუსებს და უკრორუსებს შორის შეუდარებლად მცირე განსხვავებაა, ხოლო გადარჩენისა და გაძლიერების მიზნით სახელმწიფოები გარკვეული ნიშნით ერთიანდებიან. არსებობს არაბულ სახელმწიფოთა გაერთიანება, აფრიკული ალიანსი.

**— კავკასიაშიც იყო ასეთი ალიანსის — „კავკასიური სახლის“ შექმნის მცდელობა, რომელშიც, უპირველესად, იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ერები უნდა გაერთიანებულიყვნენ.**

— ამ მისწრაფებას **ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი** ედგნენ სათავეში. საქართველოს პირველი პრეზიდენტი სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ მონათესავე კავკასიელი ერების „კავკასიურ სახლში“ გაერთიანებას, დასავლეთსა და რუსეთს შორის ბუფერულ ზონად კავკასიის ჩამოყალიბებას ცდილობდა! მინდა, შეგახსენოთ, რა უთხრა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა **ჯოხარ დუდაევმა** რუსეთის თავდაცვის მინისტრ **პავლე გრაჩოვს: რუსეთს წარმოდგენაც არ შეუძლია, როგორი სასარგებლო ვიქნებით მისთვის, მაგრამ ჩვენ ძალგვიძს, დაუნდობელი მტერიც ვიყოთო!** დიახ, კავკასიური სახლის დანიშნულება არ გახლდათ რუსეთთან დაპირისპირება, რადგან რუსეთის გეოპოლიტიკური საზღვარი ბათუმთან გადის და კავკასიის ორივე ლიდერმა კარგად იცოდა, ევროპის და ნატოს ბათუმში შემოსვლა ნიშნავდა იმას, რომ, დასავლურ ჭურვებს რუსეთის ქალაქებამდე მიეღწიათ! შესაბამისად, ასეთ კავკასიაში ვერასოდეს დაისადგურებდა სიმშვიდე.

**— მაგრამ დასავლეთი აცხადებს, რომ ერებს რუსეთის ბატონობისგან ათავისუფლებს.**

— მთელი ევროპა ქრისტეს რჯულზე კონსტანტინოპოლიდან მოექცა, მაგრამ ამ ქალაქს დღეს სხვის მიწაზე მოსული და ადგილობრივი კულტურის მიმთვისებელი თურქები აუპატიურებენ. „აია სოფიას“ ტაძარი თურქეთის ლიდერმა **ერდოღანმა** მეჩეთად გადააქცია.

## განმათავისუფლებელი რომ იყოს, ევროპა უმალ კონსტანტინოპოლს გამოიხსნიდა და ისტორიულ სამართლიანობას აღადგენდა, ვიდრე რუსეთისგან

## უკრორუსეთის და ბელორუსეთის „გადარჩენას“ შეუდგებოდა!

დღეს რუსეთთან უკრაინა კი არ არის დაპირისპირებული, არამედ დასავლეთიდან წაქეზებული ავანტიურისტების ჯგუფი, რომელსაც უკრაინელი საზოგადოება უფსკრულისკენ მიჰყავს. რაც შეეხება რუსეთს, თავის დროზე უკრორუსეთი და ბელარუსეთი იზოლაციაში კი არ მოაქცია, არამედ ტერიტორიები გადასცა, სახელმწიფოებრიობა შეუქმნა და გაეროში ხმის უფლებითაც გააწევრიანა, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ! **სლავ ერებს თანამედროვე მსოფლიოში გადარჩენის სხვა გზა არ გააჩნიათ, ვიდრე საერთო, სლავურ კავშირში გაერთიანება და ამას ვერც ამერიკა და ვერც ევროკავშირი ხელს ვერ შეუშლიან.** ფაქტებზე დაყრდნობით ვვარაუდობ, რომ ძალიან მალე, შესაძლოა, დამდეგი წლის ბოლომდეც, ასეთი კავშირი უკვე მოიხაზება მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე!

**— ასეთ შემთხვევაში რა ბედი ეწევა ევროკავშირს? დარჩება თავის ახლანდელ საზღვრებში?**

— ევროკავშირმა ვერ უზრუნველყო მშვიდობა და სტაბილურობა და დღეს მისი არსებობა უკვე თვით ევროპელი ერების ინტერესებს უპირისპირდება! ევროპის მოქალაქეების გადასახადებში გადახდილი ფული მოსახლეობის კეთილდღეობისთვის კი არა, ომებსა და ლიბერასტული პლატფორმების დაფინანსებაში იხარჯება.




„ევროპამ შუა გზაზე მიატოვა უკრაინა და არც კი უცდია რუსეთის დამარცხება, რადგან ამის საშუალება არ გააჩნია!“







## უკრაინაში მიმდინარე ომში რუსეთის გამარჯვებას უკვე ალტერნატივა თითქმის აღარ გააჩნია და ამ სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ

## პროგნოზები და დიაგნოზები ★

*გაგრძელება მე–2 გვერდზე*

## პროგნოზები და დიაგნოზები ★



# ბესო მიქავა:

# სლავ ერებს გადარჩენის სხვა გზა არ გააჩნიათ, ვიდრე საერთო, სლავურ კავშირში გაერთიანება, რაც უახლოეს მომავალში აღსრულდება!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**ევროკავშირის შეუქცევადი რღვევა დაჩქარდება.**

თვითონ ევროპელი ხალხი დაანგრევს უკვე დრომოჭმულ ამ გაერთიანებას. მის ადგილზე ჩამოყალიბდება ევროპის ქვეყნების ახალი, არსით კონსერვატიული ალიანსი, რომელიც სლავურ კავშირთან საერთო ენას ადვილად გამონახავს.

**— კანონიერი უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატის ბიმურზა აფრასიძის პოსტს წავაწყდი, რომელშიც ეწერა, რომ 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერმა დეპუტატებმა ევროკავშირის მიმართულებით დიდი ნაბიჯი გადადგეს. ნუთუ ზვიად გამსახურდიას მთავარი მიზანიც ევროკავშირი იყო?**

— იმ პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა პოლონური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ზვიად გამსახურდია დიქტატორად და „კავკასიის სადამ ჰუსეინად“ გამოაცხადა. გვახსოვს სალომე ზურაბიშვილის მაშინდელი მტრული განწყობებიც. სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია სალომეს და ხაზარაძის გაერთიანება ნაცებთან, მაგრამ **ამაზრზენია დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა ყოფნა ნაცების, ნაცმიდრეკილების და ლიბერასტების ბანაკში!** ამაოდ ნუ იჩემებენ ისინი დამოუკიდებლობის აღდგენაში მონაწილეობას, რადგან 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმიც და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიც მთლიანად ზვიად გამსახურდიას მიღწევაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპის კავშირი 1992 წელს შეიქმნა და 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ვერანაირად ვერ იქნებოდა მასში გაწევრიანების მიზნით მიღებული. **იმ პოლიტიკურ თაღლითებს, რომლებიც დღეს ევროკავშირის დროშას მიეტმასნენ, ერთხელაც არ გახსენებიათ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დატყვევებული ზვიად გამსახურდიას ვაჟის ცოტნეს და ათასობით რეპრესირებული ადამიანის ხვედრი და პირდაპირ სააკაშვილის დანაშაულებრივი ბანდის წევრებად იქცნენ.**

**— ახალ მსოფლიო წესრიგში საქართველოს ადგილი როგორ გესახებათ?**

— უკვე მოგახსენეთ, რომ ევროკავშირს ჩაანაცვლებს ევროპის ქვეყნების კონსერვატიული ალიანსი. რუსეთი, ბელარუსეთი და უკრორუსეთი სლავურ კავშირს შექმნიან; საქართველო კი კავკასიურ სახლში, კავკასიის ერთა თანამეგობრობაში გაერთიანდება, რომლის ცენტრიც თბილისი იქნება! **სრულდება ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური წინასწარმეტყველება, რომლის თანახმად, 21-ე საუკუნე გახდება ყველა იმპერიისგან, განსაკუთრებით, ევროამერიკული იმპერიისგან ერთა გათავისუფლების ასწლეული!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**




## ისტორიკოსის თვალით ★



# სვიმონ მასხარაშვილი:

# აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ლავრენტი ბერიამ ვასილი სტალინს პასპორტი ჩამოართვა და შინაპატიმრობა მიუსაჯა!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ვასილი სტალინის მოგონებების მიმოხილვას აგრძელებს და იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც 1953 წლის აპრილში ლავრენტი ბერიამ ბელადის ვაჟს ჩინეთში წასვლის საშუალება არ მისცა და პასპორტი ჩამოართვა:***

— ვასილი სტალინი თავის მოგონებებში ლამის ყოველ მეორე სიტყვაში წერს, რომ მამამისი მოწამლეს! სწორედ ამ სიმართლეს შეეწირა მისი კარიერა და სიცოცხლეც. დღეს უკვე დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი **ვასილი სტალინი** ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შედეგად კი არა, მოწამვლით გარდაიცვალა. სხვათაშორის, ვასილი მოგონებებში ამასაც წერს — **ვიცი, ხმებს მივრცელებდნენ, თითქოს ხშირად ვსვამ და ვლოთობ... ეს სასაცილოდ არ მყოფნის და, იმედია, ამ სისულელეს არც არავინ დაიჯერებს!**

**— მაინც ვის აბრალებს ვასილი სტალინი მამის მოწამვლას?**

— **ვასილი სტალინი** იხსენებს მამასთან უკანასკნელ შეხვედრას, რომელიც 1953 წლის თებერვალში შედგა. ის გვარს არ ასახელებს, მაგრამ წერს, რომ ამ შეხვედრას ესწრებოდა კაცი, რომელიც იმ მომენტისათვის სტალინის პირადი მდივნის **ალექსანდრე პოსკრებიშევის** მოვალეობას ასრულებდა. ვასილი განმარტავს, რომ ყოველთვის, როცა ის მამას ხვდებოდა, **პოსკრებიშევი** კაბინეტს ტოვებდა და მამაშვილურ საუბარს არასოდეს ესწრებოდა, მაგრამ ეს კაცი ამჯერად ოთახიდან არ გასულა და ბელადსა და მის ვაჟს თვალს არ აშორებდა! როგორც ვასილი იხსენებს, ბოლო მომენტამდე ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს **პოსკრებიშევის შემცვლელისთვის** სტალინს რაღაც უნდა დაევალებინა და ისიც იმიტომ არ გადიოდა ოთახიდან, მაგრამ მამაშვილს შორის საუბარი ისე დასრულდა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა! აქედან გამომდინარე, ბელადის ვაჟი ასკვნის — **სტალინის აპარატში უკვე რაღაც არეული იყო!** მოკლედ, სიტუაცია ასეთი გახლდათ — **ვლასიკი და პოსკრებიშევი** გაგდებული იყვნენ, ხოლო ცნობილი ნაძირალებისა და მკვლელების — **სემიონ იგნატიევისა და ივან სეროვის** ხალხი სტალინს კრემლში, ფაქტობრივად, უთვალთვალებდა! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, თუ ვის დაადო სტალინის მკვლელობაში ხელი ვასილიმ, ფაქტია, რომ მას **ლავრენტი ბერია** არ უყვარდა, მაგრამ მამის მკვლელობაში მას არ ადანაშაულებდა და, ფაქტობრივად, ყველას, მთელ პოლიტბიუროს ადებდა ხელს.

**— როგორ იხსენებს ვასილი სტალინი 1953 წლის 5 მარტს?**

— ვასილი სტალინი საგანგებოდ ჩერდება 5 მარტზე და დეტალურად აღწერს საბჭოთა კავშირის მაშინდელ თავდაცვის მინისტრთან, მარშალ **ნიკოლაი ბულგანინთან** შეხვედრას, რომელმაც ვასილი თავისთან დაიბარა. ბულგანინმა ვასილის უთხრა, რომ მოსკოვის მიმართულების საჰაერო ძალების სარდლობიდან ათავისუფლებდა და გადაჰყავდა ბალტიისპირეთის საჰაერო ძალების მთავარსარდლად. ვასილიმ ამაზე **ბულგანინს** უარი სტკიცა და პირდაპირ განუცხადა — **ბალტიისპირეთში არ წავალო!**

**— ამ უარს ბელადის შვილი რით ასაბუთებდა?**

— **ვასილი სტალინი** მოგონებებში პირდაპირ წერს — ვიცოდი, რომ მამაჩემი მოკლეს და ბალტიისპირეთში გაგზავნით თავიდან მიშორებდნენ, რათა ჩემთვის რაღაც გამოეჩხრიკათ და ციხეში გავეშვითო!

**— ნიკოლაი ბულგანინი ამ უარს როგორ შეხვდა?**

— **ვასილი სტალინის** მოგონებების თანახმად, **ნიკოლაი ბულგანინი** წამოწითლდა, სახე დაებერა, გამწარებულმა პირდაპირ ფეხების ბაკუნი დაიწყო და ვასილის უთხრა — **როგორ ბედავ, ჩემს ბრძანებას რომ არ ასრულებ?!** ამაზე ვასილიმ უპასუხა — **არ წავალ, თუ გინდა, დამიჭირეო!** აი, ამ ჩხუბისა და შეხლა-შემოხლის დროს, როგორც ვასილი წერს, მას გაახსენდა, რომ ბულგანინის შვილს **ლევკას,** რომელიც ავიაციაში იყო, პატრონობდა და ყურადღებას აქცევდა. უფრო მეტიც, ვასილიმ იმდენი ქნა, რომ **ლევკა ბულგანინს** სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭეს, მაგრამ იგი გალოთდა, თვითმფრინავის შტურვალს ნასვამი მიუჯდა და აეროდრომზე თვითმფრინავის დაფრენის დროს ორი კაცი მოკლა... ამ საშინელი ინციდენტის გამო **ნიკოლაი ბულგანინის** შვილს მრავალწლიანი პატიმრობა და მთელი კარიერის დანგრევა ელოდა, მაგრამ ვასილი სტალინმა მეგობარი გასაჭირში არც ამჯერად მიატოვა და ლევკა ბულგანინი დაჭერას გადაარჩინა. ვასილი სტალინი პირდაპირ წერს — **ყველაფერი ვქენი, მამაჩემამდე ეს საქმე არ მივიყვანე და ლევკა დაჭერას გადავარჩინეო!** აი, ამის გამო ნიკოლაი ბულგანინი კრემლში მამასთან მისულ ვასილი სტალინს რომ დაინახავდა, კედელს ეკვროდა და ბელადის ვაჟს მადლიერების ნიშნად თავს იატაკამდე უხრიდა. ვასილი წერს — ნიკოლაი

**„ბერიას რომ ვასილი სტალინი ჩინეთში გაეშვა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელ პოლიტბიუროს სამოქალაქო ომს უცხადებდა!“**

# ვასილი სტალინი:

## ვიცოდი, რომ მამაჩემი მოკლეს და ბალტიისპირეთში გაგზავნით თავიდან მიშორებდნენ, რათა ჩემთვის რაღაც გამოეჩხრიკათ და ციხეში გავეშვით!

ბულგანინი მთელი რვა წლის განმავლობაში, ვიდრე მამაჩემის სიკვდილამდე, სულ მადლობებს მიხდიდა და ჩემ წინაშე ისე იყო გაჭიმული, როგორც მოურავი, მაგრამ მამაჩემი მოკვდა თუ არა, უცბად ტონი შეიცვალა და ფეხების ბაკუნი დამიწყოო!

**— ბულგანინსა და ვასილი სტალინს შორის ინციდენტი სულ ამით ამოიწურა?**

— არა, ნამდვილი ომი მათ შორის ამის შემდეგ დაიწყო... მოკლედ, **ნიკოლაი ბულგანინმა** ვასილი სტალინს დამცინავად ჰკითხა — **შენ რა, პრინცი ხარ და ჩემს ბრძანებას იმიტომაც არ ასრულებ?** როგორც ვასილი წერს, ბავშვობიდან ეჯავრებოდა ეს მეტსახელი — „პრინცი“ და ვინც ამას სკოლაში დაუძახებდა, ყველას მთელი ძალით სცემდა. როგორც თავად იგონებს — რომ წამოიზარდა, „პრინცის“ დაძახების გამო არავის სცემდა, მაგრამ, რადგან მწარე ენა ჰქონდა, ისეთ რამეს ეტყოდა, ცემაზე უარესი იყო... მოკლედ, ბულგანინმა ვასილი სტალინს „პრინცი“ რომ უწოდა, ბელადის ვაჟი გაცეცხლდა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს წამოაძახა — **მართლა „სანტექნიკოსი“ ხარო!**

**— ბულგანინს „სანტექნიკოსს“ეძახდნენ?**

— დიახ, კრემლში, ზურგს უკან, ნიკოლაი ბულგანინს დაცინვით „სანტექნიკოსს“ ეძახდნენ... ამის შესახებ ბულგანინმაც იცოდა და ეს სახელი ძალიან სწყინდა. **ვასილი სტალინი** წერს — ბულგანინისთვის „სანტექნიკოსი“ მე არ გამომიგონებია, „სანტექნიკოსი“ მას **ლავრენტი ბერიამ** დაარქვაო! ამით ბერია ბულგანინს მიწასთან ასწორებდა და მთელ პოლიტბიუროს აცინებდა. სწორედ ეს დასაცინი სახელი — „სანტექნიკოსი“ გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მთავარი მისია იტვირთა სწორედ **ნიკოლაი ბულგანინის** უწყებამ — თავდაცვის სამინისტრომ და მისმა ერთ-ერთმა ზესაიდუმლო და ძალიან გავლენიანმა დანაყოფმა „გრუ“-მ. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ლავრენტი ბერიას მოადგილეები — **სერგო გოგლიძე და ბახჩო ქობულოვი** სწორედ გენშტაბის უფროსმა, მარშალმა **ვასილი სოკოლოვსკიმ** დააპატიმრა, რომელიც**ნიკოლაი ბულგანინს** ექვემდებარებოდა.

როგორც ვასილი სტალინი იგონებს, ლავრენტი ბერია სადაც კი ბულგანინს შეხვდებოდა, სახელითა და მამის სახელით არასოდეს მიმართავდა და ყოველთვის აბუჩად იგდებდა — **„ზამარჯზობა „სანტექნიკოსო!“** ამის გამო ნიკოლაი ბულგანინს გული მისდიოდა და ბერიას დანახვას ყველაფერი ერჩია. ცხადია, ბულგანინი ბერიას ვერაფერს უბედავდა, ისიც არ ჩერდებოდა და სულ ამცირებდა. **ვასილი სტალინის** მოგონებების თანახმად, უბედურება ის იყო, რომ ბერია ბულგანინს სტალინთანაც „სანტექნიკოსს“ ეძახდა, რასაც სხვები ვერ ბედავდნენ. ვასილი წერს, რომ ამ ინციდენტის შემდეგ, რაც ბულგანინს „სანტექნიკოსი“ უწოდა, მიხვდა, მისი საქმე ცუდად წავიდოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც გამწვავებაზე წავიდა და უკან არ დაიხია. როგორც აღვნიშნეთ, ეს ამბავი მოხდა სტალინის გარდაცვალების დღეს, 1953 წლის 5 მარტს. ამ ამბიდან გავიდა, სულ რაღაც, 20 დღე და 1953 წლის 25 მარტს საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა, მარშალმა **ნიკოლაი ბულგანინმა** ვასილი სტალინი არმიიდან სამხედრო ფორმის ტარების უფლების ჩამორთმევით დაითხოვა. ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 1953 წლის 25-26 აპრილს, **ვასილი სტალინი** მივიდა ჩინეთის საელჩოში და ითხოვა ჩინეთში გამგზავრება, მაგრამ 1953 წლის 28 აპრილს ის დააკავეს, პასპორტი ჩამოართვეს, რათა სადმე არ წასულიყო და, ფაქტობრივად, შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ვიდრე ბერია ცოცხალი იყო, **ვასილი სტალინი** ციხეში არავის გაუშვია, მაგრამ ტყვეობაში იმყოფებოდა... სტალინის ვაჟი პირდაპირ წერს — ბერიამ ციხეში არ გამიშვაო! მაგრამ მისი მკვლელობის შემდეგ ვასილი სტალინს „ვლადიმირსკი ცენტრალში“ უკრეს თავი და ანტისაბჭოთა პროპაგანდით დაწყებული, 20 მილიონი საბჭოთა მანეთის გაფლანგვით დამთავრებული, ყველაფერი დააბრალეს!



ლავრენტი ბერია

**— ვასილი სტალინმა თავისი ჩანაწერები ჩინეთის საელჩოში 1953 წლის აპრილში მიიტანა?**

— არა, ეს ჩანაწერები მას მერე აქვს გაკეთებული და მიტანილი ჩინეთის საელჩოში. ეს, დიდი ალბათობით, ის პერიოდია, როცა **ხრუშჩოვი** მასთან ურთიერთობის დათბობას შეეცადა, მაგრამ ბოლოს მაინც ბოლო მოუღო და მოკლა!

**— საინტერესოა, ლავრენტი ბერიამ ვასილი სტალინს რატომ არ მისცა ჩინეთში წასვლის უფლება და რატომ დატოვა შინაპატიმრობაში?**

— **ლავრენტი ბერია** ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და წინ იხედებოდა! გავიხსენოთ, რას შეეწირა ბერია და რა მოხდა 1953 წლის 26 ივნისს პოლიტბიუროს სხდომაზე, რის შემდეგაც იგი ცოცხალი არავის უნახავს. არაერთხელ ვთქვით, რომ 1953 წლის 26 ივნისს ბერია პოლიტბიუროს სხდომაზე აპირებდა საბჭოთა „კაგებეს“ ყოფილი შეფის **სემიონ იგნატიევის** დაპატიმრების ნებართვას, რათა მისთვის სტალინის მკვლელობაში ბრალი წაეყენებინა. აი, სწორედ ამას შეეწირა ბერია. აქედან გამომდინარე, **ლავრენტი ბერიას,** რომელიც სტალინის მკვლელობის გამოძიებას და მკვლელების დასჯას გეგმავდა, გვერდით აუცილებლად სჭირდებოდა **ვასილი სტალინი,** რომელიც ყველგან ამტკიცებდა, ხმამაღლა გაიძახოდა და არ მალავდა — **მამა მომიკლესო!** ასეთი ადამიანის ჩინეთში გადახვეწა და ქვეყნიდან წასვლა, ბერიას გეგმებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ლავრენტი ბერიამ ვასილი სტალინს პასპორტი ჩამოართვა და შინაპატიმრობა მიუსაჯა! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ვასილი სტალინი ლავრენტი ბერიას გარდა თითქმის მთელ პოლიტბიუროს ხელს ადებდა და მამის მკვლელობაში ადანაშაულებდა.**



ბერიას განადგურების შემდეგ, 1956 წლის 25 თებერვალს, აწ უკვე პატიმარი **ვასილი სტალინი** საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბელადი მოკლეს. ეს აზრი მას განსაკუთრებით გაუმყარა პოლიტბიუროს წევრებისა და სტალინის ე.წ. „უახლოესი გარემოცვის“ წევრების მოღალატეობრივმა საქციელმა. მოგეხსენებათ, კომპარტიის მე-20 ყრილობაზე, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინს მთელი ოთხსაათ-ნახევრის განმავლობაში ლაფს ასხამდა და დაუმსახურებლად ლანძღავდა, პოლიტბიუროს არცერთი წევრი არ წამოდგა და „პიროვნების კულტის“ სამარცხვინო დემაგოგია არ გააპროტესტა. **ბერიას რომ ვასილი სტალინი ჩინეთში გაეშვა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელ პოლიტბიუროს სამოქალაქო ომს უცხადებდა!** ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ რა გეგმები ჰქონდა ბერიას ვასილი სტალინთან დაკავშირებით.

**— აქ გაურკვეველია ერთი საკითხი! რატომ ცდილობდა 1952 წლის აპრილში სტალინი ერთადერთი ვაჟიშვილი საბჭოთა კავშირისთვის მოეცილებინა და რატომ ავალებდა მაოსთან ჩინეთში წასვლას, რაზეც შვილმა უარი უთხრა? რა საფრთხეს ხედავდა სტალინი?**

— სტალინი პოლიტბიუროს წევრებისა და, ზოგადად, რუსების გაუმაძღრობას რომ ხედავდა, ფიქრობდა, რომ თავისი იდეების განხორციელებაში ჩინეთი და **მაო ძედუნი** უფრო გამოადგებოდნენ, ვიდრე ის ხალხი, რომლის „გამარჯვების მარშალმა“ **გიორგი ჟუკოვმა** ბერლინში ყველაფერთან ერთად **მაიმუნის 150 ტყავიც** მოიპარა და მოსკოვში ჩამოიტანა. აქ არ არის ლაპარაკი ბრილიანტებზე, მანქანებზე, უძვირფასეს შპალერებზე, ოქროულობაზე, ავეჯზე, ძვირფას ნახატებზე, უძვირფასესი სპარსულ ხალიჩებზე და ა.შ. საუბარია მაიმუნის ტყავებზე... ნიანგის ტყავი რომ მოეპარა, გასაგებია, მაგრამ „გამარჯვების მარშალმა“ გიორგი ჟუკოვმა ბერლინიდან მაიმუნის 150 ტყავიც წამოიღო, რადგან თვითონაც მაიმუნი იყო! მომხდარის გამო სტალინი საშინლად გულგატეხილი გახლდათ და ყველაზე მეტად იმას განიცდიდა, რომ ამის ჩამდენ კაცს, საბჭოთა კავშირის მარშალს, რომელიც ბერლინში პირველი შევიდა, ვერაფერს ეუბნებოდა! სტალინი არჩევანში არ შემცდარა — **დრომ დაადასტურა, რომ ჩინეთმა სწორედ სტალინის იდეებზე დაყრდნობით განავითარა თავისი ეკონომიკა.** ჩინეთის მარშალი **ე ძიანინი,** რომელმაც **ძენ სიაოპინი** აღზარდა და ხელისუფლებაში მოიყვანა, სტალინის საქმის გამგრძელებელი იყო!



ჭაბუკი ვასილი სტალინი მამასთან ერთად

„ბელადის ვაჟი გაცეცხლდა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს წამოაძახა — მართლა „სანტექნიკოსი“ ხარო!“

**„ვასილი მამის მკვლელობაში ბერიას არ ადანაშაულებდა და მის გარდა, ყველას ხელს ადებდა!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## ცნობილია, რომ ტროცკი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მაგრამ ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში მტერი გახდა. გვაინტერესებს, როგორ და რისთვის გაასახლეს ის საბჭოთა კავშირიდან?

**ტროცკი** მართლაც აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, რასაც თავის ერთ-ერთ იმდროინდელ სტატიაში **ი. სტალინიც აღიარებდა.** ამასთან, რევოლუციაში **ტროცკის** როლს თვითონაც და მისი მომხრეებიც საკმაოდ აზვიადებდნენ. მაგალითად, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში **„ჩემი ცხოვრება“ ტროცკი** ამტკიცებს, რომ თუ, არა **1917 წლის ოქტომბერში პეტროგრადში მისი და ლენინის ყოფნა, რევოლუცია არ მოხდებოდა.** საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა და თვითკმაყოფილება ამ პოლიტიკური მოღვაწის მთავარი თვისებებია.


ტროცკი, ლენინი და კამენევი

მაშ, რატომ გამოაცხადეს მტრად და რატომ გააძევეს სსრკ-დან **ტროცკი,** რომელიც რევოლუციის პერიოდში ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, შემდგომში კი საპასუხისმგებლო პოსტები ეკავა პირველ საბჭოთა მთავრობაში?

დავიწყოთ იმით, რომ **ტროცკი არასდროს ყოფილა ბოლშევიკი,** რასაც თავის ანდერძში **ლენინიც** აღნიშნავდა. წლების განმავლობაში ის მთელი ძალ-ღონით ებრძოდა **ლენინს და მის პარტიას და მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალებამდე სამი თვით ადრე,** როდესაც ბოლშევიკთა მზარდი ძალა იგრძნო, მიეკედლა მათ. **ლენინს** მის ბანაკში **ტროცკის** გადასვლა ხელს აძლევდა, რადგან მასთან ერთად ბოლშევიკებს მისი მომხრეებიც შეუერთდნენ. **ლენინის** სიცოცხლეშივე **ტროცკიმ** პარტიაში მწვავე ფრაქციული ბრძოლა წამოიწყო, რომლის მიზანი ძალაუფლების მოპოვება გახლდათ. **ლენინის** გარდაცვალების შემდეგ ეს ბრძოლა უკვე აშკარა გახდა და პარტიას გათიშვით ემუქრებოდა. **ტროცკისტები** არაფერს უკადრისობდნენ, საბოტაჟს უწყობდნენ მთავრობის ყველა უმთავრეს გადაწყვეტილებას, გამოდიოდნენ **სტალინის** და მისი ჯგუფის წინააღმდეგ როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში. მაშინ სკპ(ბ) ცკ-ის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, **ტროცკი** ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს და პოლიტბიუროდან გამოიყვანეს. მაგრამ **ტროცკისტები** არ ცხრებოდნენ, მათ დაიწყეს ანტისაბჭოთა დემონსტრაციების ჩატარება, ფაბრიკებსა და ქარხნებში მომხრეების გადაბირება, საბოტაჟისა და დივერსიებისკენ მოწოდება. **მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლისთავზე ტროცკისტებმა და ზინოვიეველებმა მოსკოვსა და ლენინგრადში ანტისაბჭოთა დემონსტრაციები ჩაატარეს, ცკ-მ ტროცკი პარტიიდან გარიცხა და ალმა-ატაში გადაასახლა.** თავის სამდივნოსთან ერთად იქ დაბინავებული **ტროცკი** მტრულ საქმიანობას აგრძელებს, აქტიურ მიმოწერას აწარმოებს მომხრეებთან როგორც სსრკ-ში, ისე საზღვარგარეთ, აგზავნის ინსტრუქციებს, მოუწოდებს სკპ (ბ) ცკ-ის და **ი. სტალინის პოლიტიკისადმი აშკარა წინააღმდეგობისკენ.**




КОММУНА

ФЕВРАЛЬ 23 СУББОТА 1924 г.

КРАСНОЙ АРМИИ

рожденной Октябрьской Революцией

и закаленной горячим огнем гражданской войны...

Первой в истории человечества рабоче-крестьянской армии, стоящей на защите угнетенных народов...

Армии—могучему рычагу политического просвещения широких слоев трудящихся нашей республики...

Армии, побеждающей сегодня с винтовкой в руках врагов на боевом фронте...

Армии, борющейся завтра на фронте труда...

АРМИИ, ПРАЗДНУЮЩЕЙ СЕГОДНЯ ШЕСТЬ ЛЕТ СЛАВНЫХ БИТВ И ПОБЕД,

С ЕЕ ГЕНИАЛЬНЫМ ВОЖДЕМ И ПЛАМЕН- НЫМ ТРИБУНОМ ТОВ. ТРОЦКИМ...

наш пролетарский привет.

ამ ყველაფრის შედეგად მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) საგანგებო სათათბირო **1929 წლის 18 იანვარს** შემდეგ გადაწყვეტილებას იღებს (მოგვყავს სრულად): **„მოისმინეს: მოქალაქე ტროცკი ლევ დავითის ძის საქმე, სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 მუხლით, კონტრრევოლუციურ მოღვაწეობაში ბრალდებით, რაც გამოიხატა არალეგალური ანტისაბჭოთა პარტიის ჩამოყალიბებაში, რომლის საქმიანობა უკანასკნელ ხანს ანტისაბჭოთა გამოსვლების პროვოცირების და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მომზადებისკენ არის მიმართული.**

**დაადგინეს: მოქალაქე ტროცკი გამოცხადდეს მშრომელთა მტრად და გაძევებული იქნეს სსრკ-ის საზღვრებს გარეთ“.**

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზომა — მშრომელთა მტრად გამოცხადება და სსრკ-დან გასახლება — იმ დროს უმაღლეს სისხლის სამართლებრივ სასჯელად ითვლებოდა.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, **ტროცკი** თურქეთში გააძევეს, შემდეგ ის გარკვეულ ხანს **ევროპაში** დაეხეტებოდა. **1940 წლის აგვისტოში** რუსეთის რევოლუციის ამ აგასთერმა სიცოცხლე მექსიკაში დაასრულა.

## მეფის რუსეთში არსებობდა ე. წ. ბინადრობის ფარგლები, ტერიტორია, რომელზეც ებრაელებს ჰქონდათ ცხოვრების უფლება. დღევანდელი ვაი-ისტორიკოსები და მწერლები თავიანთ პასკვილებში ამტკიცებენ, რომ სტალინმა ეს „გამოცდილება“ გაიმეორა და შორეულ აღმოსავლეთში ბიორბიჯანის ებრაული ოლქი შექმნა. რამდენად მართლზომიერია მსგავსი განცხადებები?

მსგავს „მტკიცებებს“ რეალურ ფაქტებთან საერთო არაფერი აქვს. ბინადრობის ფარგლები რუსეთში იმპერატორმა **ეკატერინე II-მ** შემოიღო **1791 წელს და 1917 წლის თებერვლამდე იარსება.** თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ ეს **„ფარგლები“** გიგანტურ ტერიტორიას მოიცავდა — **პოლონეთის, ლიტვის, ბესარაბიის, კურლანდიის** (ისინი მაშინ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ), **ბელორუსიის 15 გუბერნიას, უკრაინის, კავკასიის და შუა აზიის მნიშვნელოვან ნაწილს.** მაგრამ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ **ებრაელებს** მხოლოდ ბინადრობის ფარგლებში დასახლების უფლება ჰქონდათ — **ისინი ცხოვრობდნენ რუსეთის ცენტრალურ ნაწილში, ციმბირში, პეტერბურგსა და მოსკოვში, მოკლედ, ყველგან.** განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ვაჭარ და ხელოსან ებრაელებს ბინადრობის ფარგლებში დიდი შეღავათები ჰქონდათ. აქ ისინი ნაკლებ გადასახადებს იხდიდნენ, უფლება ეძლეოდათ, კულტურის დაწესებულებები გაეხსნათ, გაზეთები გამოეშვათ, წიგნები მშობლიურ ენაზე ებეჭდათ. სასწავლო დაწესებულებებში ებრაელთა მიღების ნორმებიც ბინადრობის ფარგლებში უფრო შეღავათიანი იყო — მოსწავლეთა საერთო რიცხვის 10 პროცენტი, ამ ფარგლებს გარეთ — 5 პროცენტი, ხოლო დედაქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი) — 3 პროცენტი.

ახლა **სტალინურ „ბინადრობის ფარგლებზე“** ვისაუბროთ. ებრაული ავტონომიური ოლქი **სტალინის** ინიციატივით **1928 წელს** შეიქმნა **ხაბაროვსკის** მხარის ტერიტორიაზე. ამ მიზნისათვის **36 ათასი კვ. კმ.** გამოიყო, **1937 წლისთვის** დაგეგმილი იყო ოლქის მოსახლეობის **150 ათას** ადამიანამდე გაზრდა. ახალ ავტონომიაში გადასახლება სრულიად ნებაყოფლობითი იყო. ამასთან, ახალმოსახლეებს სათანადო თანხას უხდიდნენ და ყველაფრით ამარაგებდნენ. ცნობილმა მწერალმა **ლიონ ფოიხტვანგერმა** (ეროვნებით ებრაელი) **1937 წელს ბიორბიჯანში სტუმრობის** შემდეგ აღფრთოვანებულმა განაცხადა, რომ **„სტალინმა პირველმა გადაჭრა ებრაული სახელმწიფოებრიობის საკითხი“** („მოსკოვი, 1937“). მაგრამ **სტალინის** ძალისხმევამ, ფაქტობრივად, ფუჭად ჩაიარა. **ებრაელები ბიორბიჯანში გადასახლებას არ ჩქარობდნენ.** ავტონომიის არსებობის მანძილზე ებრაული მოსახლეობის რიცხვს **10 ათასისთვის** არ გადაუჭარბებია (მოსახლეობის საერთო რაოდენობა — 195 ათასი). ეს ფაქტი მთლიანად აბათილებს განცხადებებს, რომ **სტალინმა** ახალი **„ბინადრობის ფარგლები“** შემოიღო. **ებრაელები** უწინდებურად ცხოვრობდნენ იქ, სადაც მოესურვებოდათ, საბჭოთა მოქალაქეების ყველა უფლებით სარგებლობდნენ და **სტალინის** დროს სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული ინტელიგენციის ლომის წილს შეადგენდნენ.



## სტალინის დროს ფასები ყოველწლიურად მცირდებოდა. კონკრეტულ ციფრებს ხომ ვერ მოგვიყვანთ, რამდენად შემცირდა ისინი 1953 წლისთვის – ბელადის გარდაცვალების მომენტისთვის?


ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. სურათზე: ამწყობი საამქროს მთავარი კონვეიერი. წინა პლანზე ამწყობი ზეინკალი ბ. ვაშაკიძე, რომელიც ავტომანქანების აწყობაზე მუშაობს და გამომუშავების ნორმებს სამმაგად ასრულებს.
ფოტო ე. გინზბურგისა.

**სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების ყოველწლიური შემცირება 1947 წელს ფულის რეფორმისა და საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ დაიწყო.** რამდენად შემცირდა ისინი **6 წლის** განმავლობაში, **1953 წლისთვის,** როდესაც ხელისუფლებაში მოკალათებულმა **ხრუშჩოვის** ბანდამ **სტალინის** ყველა დიადი წამოწყების და რეფორმისთვის ბოლოს მოღება დაიწყო?

ამის ილუსტრირებას კონკრეტული ციფრებით მოვახდენთ. თუკი **1 კგ. თეთრი პური 1947 წელს 5 მან, 50 კაპ. ღირდა, 1953 წელს მისი ფასი 3 მანეთი იყო** (1,8-ჯერ შემცირდა). **1 კგ შავი პურის ფასი 3-ჯერ შემცირდა** (1 მანეთი 3 მანეთის ნაცვლად). **1 კგ. საქონლის ხორცი 1947 წელს 30 მანეთი ღირდა, ხოლო 1953 წელს — 12 მან, 50 კაპ.** (შემცირდა 2,4-ჯერ). **64 მანეთად ღირებული კარაქი 27 მან, 80 კაპ. გახდა** (2,3-ჯერ). ერთნახევარჯერ-ორჯერ შემცირდა ფასი პირველი აუცილებლობის სხვა პროდუქტებზეც — **რძეზე, კვერცხზე, შაქარზე, ზეთზე, თევზზე** და სხვა. მნიშვნელოვნად გაიაფდა დელიკატესები. მაგალითად, **კიბორჩხალების ქილა, რომელიც 1947 წელს 20 მანეთი ღირდა, 4 მან, 30 კაპიკად იყიდებოდა** (4,6-ჯერ). ანალოგიურად, **ერთნახევარჯერ-ორჯერ შემცირდა ფასები სამრეწველო საქონელზე.**

საკოლმეურნეო ბაზრების ფასები თითქმის არ განსხვავდებოდა სახელმწიფო ფასებისაგან და, მათი შემცირების კვალდაკვალ, ბუნებრივია, ისინიც მცირდებოდა, ხოლო ზოგჯერ უფრო იაფიც კი ხდებოდა. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასები **1953 წელს 800-დან 3000 მანეთამდე მერყეობდა.** მაღაროელები და მეტალურგები, წარმოების მოწინავენი თვეში **8 ათას მანეთამდე** იღებდნენ. ინჟინრები — **900-1000 მანეთს,** უფროსი ინჟინრები — **1300-1500 მანეთს.** პარტიის რაიკომის მდივანი — **1500 მანეთს.** მინისტრი — არა უმეტეს **5000 მანეთისა.** ნათქვამს დავამატებთ, რომ ახალი ავტომანქანები **„პობედა“** და **„მოსკვიჩი“,** რომლებიც თავისუფლად იყიდებოდა, მოწინავე მუშებისთვის სავსებით ხელმისაწვდომი იყო. **„პობედა“ 16 ათასი მანეთი ღირდა, „მოსკვიჩი“** კი — **9 ათასი მანეთი.**

2023 წლის 18 დეკემბერი. №68 (236)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–53*



# „როგორც მინისტრები ინიშნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ისე ინიშნებოდნენ კათალიკოს-პატრიარქებიც! გამონაკლისი არ ყოფილა...“

## *იგორ კვესელავა:*

# ლენინგრადის არქივებში ცნობილი ქართველების შესახებ ისეთი მასალები მაქვს ნანახი, კაცს სიცოცხლე აღარ მოგინდება!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა იმ დანაშაულებრივ სქემებს ააშკარავებს, რომლითაც ე.წ. „ელიტური ინტელიგენცია“ შევარდნაძის რეჟიმს შეეზარდა. სწორედ შევარდნაძე იყო ამ ხალხის დამპურებელი და მწყალობელი, ხოლო ზვიად გამსახურდია — უცხო და მიუღებელი, რადგან ამბროსოვიჩის ბოძებული პრივილეგიები მოუსპო:***

— **ზვიად გამსახურდიას** უშუალო დამამხობლებს შორის ყველაზე უფრო გულწრფელი **თენგიზ კიტოვანი** იყო, რადგან ის **შევარდნაძის, სიგუასა და იოსელიანის** გვერდით აშკარად გონებაშეზღუდული ჩანდა. **თენგიზ კიტოვანმა** არაერთხელ დაადასტურა და განაცხადა, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება სინამდვილეში **ედუარდ შევარდნაძემ** მოაწყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **რომ არა ე.წ. „ელიტური ინტელიგენციის“ ღალატი, ვერც შევარდნაძე, ვერც იოსელიანი და ვერც სიგუა საქართველოში ზვიად გამსახურდიას ვერ დაამხობდნენ!**

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა **სერგო ორჯონიკიძეს** საქართველოს ინტელიგენციის შესახებ ჰკითხეს, მან ასეთი რამ თქვა — **ჩვენ ინტელიგენცია არ გვყავს, მაგრამ ჩვენ ინტელიგენცია გვეყოლება!** ეს რომ განაცხადა, სერგო ორჯონიკიძემ იქვე მდგომი ათი წლის ბიჭისკენ გაიშვირა ხელი... ასე შეიქმნა **ქართული საბჭოთა ინტელიგენცია** — საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებულ განათლებულ ადამიანთა კლუბი, რომელიც მიეჩვია უზრუნველ ცხოვრებას და თავიდან ბოლომდე იქცა კომფორმისტთა სექტად.

**ლენინგრადის არქივებში ცნობილი ქართველების შესახებ ისეთი მასალები მაქვს ნანახი, კაცს სიცოცხლე აღარ მოგინდება!** დიდი ამბავი გამოიწვია და ბევრი დამიკავშირდა, როცა ვთქვით, რომ 1927 წელს, წმინდა **ამბროსი ხელაიას** გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი **ქრისტეფორე მესამე (ციცქიშვილი)** ინტრონიზებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც **ლავრენტი ბერიამ** ცენტრს აცნობა, რომ **მეუფე ქრისტეფორე** „სანდო კაცი“ იყო და სპეცსამსახურებთან გახლდათ დაკავშირებული. ეს დოკუმენტი არსებობს და გაიგოს და შეიგნოს ყველამ, რომ, როგორც მინისტრები ინიშნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ისე ინიშნებოდნენ კათალიკოს-პატრიარქებიც! გამონაკლისი არ ყოფილა... სხვანაირად, გამორიცხული იყო! **ზვიად გამსახურდიამ ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდა და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან დაპირისპირებისა!**

**— მივუბრუნდეთ ინტელიგენციის თემას... როგორ ფიქრობთ, ზვიად გამსახურდიამ ინტელიგენციასთან ურთიერთობაში ხომ არ იჩქარა? ხომ არ აჯობებდა, სიმართლე „ინტელიგენტების“ სამარცხვინო წარმომავლობის შესახებ გამსახურდიას დროებით მაინც არ გაემჟღავნებინა, რათა ის რთული პერიოდი გადაეგორებინა და დრო მოეგო?**

— ამ საკითხზე ბევრჯერ მიფიქრია... **ზვიადს შესაძლოა, აერჩია დალოდების ტაქტიკა, მაგრამ ინტელიგენცია, რომელიც შევარდნაძეს პირდაპირ მუხლებზე ეჯდა და აჭმევდა, არ ისვენებდა და ქვეყანას პირდაპირ მტრობდა.** ისე იყვნენ გაღორებულები, რომ „კინოსტუდიაში“ შვიდასი კაცი მუშაობდა... საოცრად იყო გაბერილი შტატები ტელევიზიაშიც, რომელიც პირდაპირ კორუფციის ბუდე გახლდათ. კინოსტუდიაში იყო **პრივილეგირებულ კინორეჟისორთა და მსახიობთა კასტა,** რომლის წევრებსაც წელიწადში ორჯერ აძლევდნენ მანქანის გამოყვანის უფლებას. ცხადია, საბჭოთა რეჟიმის მონა-მორჩილი ეს ინტელიგენტები მერე ამ მანქანებით ვაჭრობდნენ და დიდძალ ფულს აკეთებდნენ. ჩემი უახლოესი მეგობარი იყო მარტვილელი კაცი **ნიაზ ბარათელი,** რომელიც თბილისში ერთ-ერთი ცნობილი და პოპულარული უნივერსამის დირექტორი გახლდათ. მახსოვს, ერთხელ სამსახურში შევუარე და რას ვხედავ — კაბინეტში დახვავებული აქვს ნაირ-ნაირი უცხოური წარმოების პროდუქტი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა.შ. დარეკეს და შემოვიდა ორი კაცი, რომლებიც მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ეზიდებოდნენ ამ ძვირფას საქონელს და მანქანებში ალაგებდნენ. რომ წავიდნენ, მეგობარს ვკითხე — ესენი ვინ არიან და სად მიაქვთ ამდენი პროდუქტი და ჩასაცმელ-დასახურავი-მეთქი? **ნიაზ ბარათელს** სიმწრით ჩაეცინა და მითხრა — **ტელევიზიიდან არიან, გადაცემა „ოქროპირიდან“, ხვალე სხვებიც მომადგებიანო!**

დიდუბეში შოკოლადის ქარხანა რომ იყო, თითოეულ მუშას ოფიციალურად ეძლეოდა ნება, ყოველდღე ერთი კილოგრამი შოკოლადი შინ წაეღო. ამ ერთი კილოგრამის გარდა, მუშები, რომლებიც, ძირითადად, ქალბატონები იყვნენ, შოკოლადს დამატებით იპარავდნენ. შოკოლადი ეგზავნებოდათ ცეკაში, შოკოლადით ამარაგებდნენ „ელიტურ ინტელიგენციას“... ასე ხდებოდა კონიაკის ქარხანაშიც, ასე იყო ყველგან...

**— შევარდნაძემ ეს იცოდა?**

— **შევარდნაძისა და ალექსი ინაურის** გარეშე საქართველოში არაფერი ხდებოდა! ცხადია, ედუარდმა ყველაფერი იცოდა... მან, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა, ბრძოლა გამოუცხადა „სამ მტერს“ — **ქართულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, კორუფციას და პროტექციონიზმს!** ეროვნულობას შევარდნაძე მართლაც სპობდა და ნათლობას, ეკლესიაში სიარულს კრძალავდა, მაგრამ კორუფცია და ნეპოტიზმი მის დროს აყვავდა. სწორედ ინტელიგენცია იყო ჩაბმული ამ მანკიერებაში. ყოველი წლის ივლისში უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს დიდი თავსატეხი ჰქონდათ, რადგან შევარდნაძის ინტელიგენციის წარმომადგენლები უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს პირდაპირ კაბინეტის კარს უმტვრევდნენ და წარუდგენდნენ სიას, ვინ რომელ ფაკულტეტზე უნდა ჩარიცხულიყო.

**საქმის მოსაკვარახჭინებლად განსაკუთრებით მოდაში იყო ასეთი ფრაზა – „ჩემი დისშვილია“!.. რომ ეთქვათ – „ჩემი შვილია ან ჩემი ძმისშვილია!“ – მოსაწყობი და ჩასარიცხი აბიტურიენტის გვარი მათ გვარს არ დაემთხვეოდა და გაიშიფრებოდნენ.**

ამიტომ საუკეთესო გამოსავალი იყო **„დისშვილი“.** გამოთვალეს და ერთ ცნობილ კინორეჟისორს, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში ხალხს აწყობდა და სანაცვლოდ ამაში დიდძალ ფულს ღებულობდა, **ორმოცამდე ასეთი „დისშვილი“ აღმოაჩნდა!**

**— ფაქტია, რომ შევარდნაძეს ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი ემონებოდა. სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პეტრე გელბახიანი შევარდნაძემ რატომ დაიჭირა და ტანჯა?**

— პროფესორი **პეტრე გელბახიანი,** რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი იყო, დაკავშირებული გახლდათ **ვასილ მჟავანაძესთან და ლაზიშვილებთან.** ეს იყო კეთილშობილებით და ეროვნულობით გამორჩეული კაცი, რომელმაც შევარდნაძეს ქედი არ მოუხარა. ამის გამო ედუარდმა ის დასაჯა და მთელი მისი ოჯახი — მამაც, შვილიც და შვილიშვილიც სხვადასხვა დროს ციხეში ტანჯა. რევაზ ჯაფარიძე, რეზო ჩხეიძე, ქეთი დოლიძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ნოდარ ლომოური, მარიკა ლორთქიფანიძე, გიგა ლორთქიფანიძე, მანანა გიგინეიშვილი, ბუბა კიკაბიძე, რეზო ესაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია და სხვები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას იარაღით დაუპირისპირდნენ ან იარაღის აღებისკენ სხვებს მოუწოდებდნენ, სწორედ შევარდნაძის ჯიბის ინტელიგენციას წარმოადგენდნენ. **არსებობს ვიდეოფირი, როგორ ქეიფობენ და მღერიან შევარდნაძის ცნობილი „კასირის“ გურამ მგელაძის მიერ გაწყობილ სუფრაზე ნანი ბრეგვაძე და სხვა ცნობილი ქართველები.** სუფრის თავში ერთმანეთის გვერდით სხედან **გურამ მგელაძე და ჯაბა იოსელიანი,** ხოლო ესენი მღერიან და უკრავენ... ეს სიმპტომატური ვიდეოკადრებია, რომელშიც კარგად ჩანს, თუ ვინ ურევდა სიტუაციას საქართველოში და ვინ უკვეთავდა მუსიკას, რათა ქვეყანა ცეცხლში გაეხვიათ და საქართველოს ეროვნული ხელისუფლება დაემხოთ. **ეს, ფაქტობრივად, შევარდნაძის მიერ გაწყობილი სუფრა იყო, რომელზეც ქართველი ინტელიგენტები ილხენდნენ...** სწორედ შევარდნაძე იყო ამ ხალხის დამპურებელი და მწყალობელი, ხოლო ზვიად გამსახურდია — უცხო და მიუღებელი, რადგან მან მათ ეს პრივილეგიები მოუსპო! სწორედ ამიტომ იყო, რომ **ოთარ მეღვინეთუხუცესი** ზვიადის დროს აცხადებდა — **„საქართველოში ფაშიზმი მძვინვარებს, რადგან ზვიად გამსახურდია ადამიანის უფლებებს არღვევს!“** საინტერესოა, იმავე **ოთარ მეღვინეთუხუცესის** განცხადება, რომელიც მან 2008 წლის 4 ივნისს გააკეთა — **„საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს!“**

**— ეს მან სააკაშვილის დროს განაცხადა!**

— დიახ, სააკაშვილის დროს და სწორედ სააკაშვილზე განაცხადა... სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას არ ვადარებ, მაგრამ აქ საინტერესოა მეღვინეთუხუცესის დამოკიდებულება და განწყობა მმართველობისადმი... **ე.ი. შევარდნაძის დროს, როცა ქვეყანა თავზე დაგვექცა და ტერიტორიები დავკარგეთ, ოთარ მეღვინეთუხუცესს პროტესტის გრძნობა დაკარგული ჰქონდა და ყველაფერი მოსწონდა, ხოლო შევარდნაძის გარეშე მისთვის და მისთანებისთვის ქვეყანა იქცეოდა!** ესენი ისე იყვნენ აჭრილი, ზვიადის სიძულვილით საქართველოს ტყვია ესროლეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და სიმპტომატურია, მიხეილ გორბაჩოვთან, ედუარდ



თამაზ კვაჭანტირაძე



**„თამაზ კვაჭანტირაძემ უკადრებელი იკადრა და ზვიად გამსახურდიას სომხობა დააბრალა!“**

*გაგრძელება მე–20 გვერდზე*

## იგორ ქვესელავა:

# ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძეს ბერძნული წარმოშობა ჰქონდა და მისი ნამდვილი გვარი „სოკოლიდია!“

*დასაწყისი მე-19 გვერდზე*

შევარდნაძესთან და „კაგებესთან“ დაკავშირებული ფილოსოფოსის **მერაბ მამარდაშვილის** განცხადება — *„თუ ჩემი სამშობლო აირჩევს ზვიად გამსახურდიას, მაშინ მე დავუპირისპირდები ჩემს სამშობლოს!“* **თამაზ კვაჭანტირაძემ** უკადრებელი იკადრა და ზვიად გამსახურდიას სომხობა დააბრალა! არადა, კარგად რომ გამოვქექოთ, თამაზ კვაჭანტირაძეს, რომელმაც დაღუპა საქართველოს განათლების სისტემა, სომხური ძირები შესაძლოა, მართლაც ვუპოვოთ! ზვიად გამსახურდიას დაუძინებელ მტრად მოეკიდა **ვიქტორ რცხილაძეც,** რომელიც ზვიადმა ამხილა, როგორც დამბეზღებელი. მან სასამართლო პროცესზე ყველაფერი აღიარა და ამის შემდეგ თავიდან ბოლომდე დადგა ედუარდ შევარდნაძის მხარეს.

„ასავალ-დასავალმა“ გამოაქვეყნა **ნოდარ ლომოურის** სკანდალური ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა — **რუსთაველზე ვიდექი და ავტომატიდან ჰაერში ვისროდიო!** უფრო ადრე, სანამ ზვიად გამსახურდიას დასამხობად მოსდგებოდნენ, პროფესორი ნოდარ ლომოური ახალგაზრდებს სისხლის ღვრისკენ მოუწოდებდა და მიტინგებზე აცხადებდა — **„ზვიად გამსახურდია სისხლით და იარაღით უნდა დავამხოთ, რადგან სხვანაირად ზვიადის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია!“**

მაშინდელი სისხლიანი მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა პროფესორი **მანანა გიგინეიშვილიც,** რომელიც დილიდან საღამომდე უნივერსიტეტის კიბეზე იჯდა. არაერთხელ მინახავს იგი ისტერიკაში ჩავარდნილი, როცა ზვიად გამსახურდიას „დიქტატორს“ ეძახდა. ზვიადის დამხობისთანავე, **პროფესორმა გიგინეიშვილმა** „დემოკრატ“ შევარდნაძეს გარდარეული სიყვარულით აღსავსე ეპისტოლეები გაუგზავნა. ამის სანაცვლოდ **მანანა გიგინეიშვილმა** შევარდნაძისგან მარადიული პარლამენტარობა და კარის მეხოტბის ტიტული დაიმსახურა.

**— კიდევ ვინ იყვნენ შედარებით დაბალი რანგის „ელიტარები“?**

— პოეტი **ჯუმბერ თითმერია** და ლიტერატორი **ზურაბ ბენაშვილი,** რომლებმაც სწორედ ზვიად გამსახურდიას ლანძღვა-გინებით მოინდომეს „უმაღლეს ელიტაში“ შეღწევა! მათ ამას მიაღწიეს... მაგალითად, შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში **თითმერიების ოჯახმა** საგამომცემლო საქმის ბიზნესი წამოიწყო და კარგადაც მოეწყო. კინორეჟისორი **ქეთი დოლიძე,** რომელიც უმაღლეს ელიტაში შედიოდა, ზვიად გამსახურდიას ისტერიკაში ჩავარდნილი ებრძოდა და აცხადებდა — **„ესენი, ეს ზვიადისტები, ვინ არიან? ესენი ჩვენს ადგილებს იკავებენ!“**

**— თქვენ როგორ იცით, ედუარდ შევარდნაძე ქართველი იყო?**

— შევარდნაძის წარმომავლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები არსებობს. 1937 წელს შევარდნაძის მამა **ამბროსი** დაიჭირეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს. ამ ერთი წლის განმავლობაში მთელი ოჯახის სიმძიმე ედუარდს დააწვა მხრებზე. ცელით მუშაობისას მან ერთხელ ქუსლი დაიზიანა, რაც სიარულის დროს მთელი ცხოვრება ეტყობოდა. შევარდნაძეს არაერთხელ შევხვედრივარ, პირისპირაც კი. უნდა ვაღიარო, რომ მოსმენა იცოდა... **ედუარდს დაბადების წელი გადაკეთებული ჰქონდა და სინამდვილეში არა 1928 წელს, არამედ, 1925 წელს იყო დაბადებული.** რაც შეეხება მის გვარს, ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძეს ბერძნული წარმოშობა ჰქონდა და მისი ნამდვილი გვარი **სოკოლიდია!** ეს მასალები ცეკაში არსებობდა... შევარდნაძის ბებია ნამდვილად იყო გერმანელი ებრაელი. სხვათაშორის, ცეკაში **ლავრენტი ბერიაზეც** ამბობდნენ — **მეგრელი ებრაელიაო!**

ერთი რამ გვახსოვდეს — აფხაზეთის დაკარგვაში ე.წ. **ელიტურ ინტელიგენციას** ლომის წილი მიუძღვის! 1980 წელს ზვიადმა გადასახლებიდან ძეგლთა დაცვის კომიტეტს წერილი გამოუგზავნა — აფხაზეთში ქართული ეკლესია-მონასტრები ინგრევაო! ყრილობაზე ეს წერილი არ წაიკითხეს, მაგრამ **ვახტანგ გურგენიძემ** ის პრეზიდიუმს მაინც გააცნო. პრეზიდიუმმა ზვიადის წერილი მასხრად აიგდო და მას ზვიად გამსახურდიას ნაბოდვარი უწოდა... **აი, ასე მიდიოდა ჩვენი საქმე უკუღმა და ასე დავკარგეთ აფხაზეთი, რაშიც შევარდნაძესთან ერთად ინტელიგენციის წვლილი დიდზე დიდია!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## «აფხაზეთის დაკარგვაში ე.წ. ელიტურ ინტელიგენციას ლომის წილი მიუძღვის!»




## ედუარდ შევარდნაძე:

# სტალინმა და ბერიამ ქართველი ერის გენოციდი განახორციელეს!

# შევარდნაძის

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-53*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში საკმაოდ ვრცლად საუბრობს საქართველოს საბჭოთა წარსულზე, სტალინზე, ბერიაზე... მისი შეფასებები იმდენად საინტერესოა, რამდენადაც ისინი ეკუთვნის ყოფილ მგზნებარე კომუნისტს, ათწლეულების განმავლობაში საქართველოს პირველ პირს, საბჭოთა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ანუ ადამიანს, რომელსაც ჩვეულებრივ მოკვდავზე ბევრად მეტ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი!

შევარდნაძეზე ასე მოჭრილად ვერც იმას იტყვი, რომ ანტისტალინისტი, მაგრამ ვერც იმას, რომ მთლად [illegible] სტალინისადმი. მოკლედ, კაცი, რომელსაც მამა, სკოლის დირექტორი მამა „ხალხის მტრის“ იარლიყით ჰყავდა დაჭერილი და ცოლადაც დახვრეტილი პოლკოვნიკის ქალიშვილი შეირთო, ასე იხსენებს 37-იანი წლების რეპრესიებს:

***„ოცდაათიანი წლების რეპრესიები საქართველოს განსაკუთრებული სისასტიკით დაატყდა თავს, არადა, იოსებ სტალინს თავისი სამშობლოსადმი თითქოს ლმობიერება უნდა გამოეჩინა. ეს თვალსაზრისი ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ის საფუძველშივე მცდარია. კლასობრივი ბრძოლის ამოცანები და ინტერესები უგულებელყოფენ ეროვნულ გრძნობებს.*** *„ეროვნულ საკითხს“, ლობას თითქმის უსპობდა.* ***„ქართული საქმე“ საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა, ხოლო ეს პოლემიკა „ნაციონალ-უკლონისტებთან“, როგორც სტალინის ოპონენტები მონათლეს, ანგარიშსწორებაში“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 49).*

როგორც ხედავთ, მემუარისტი საფუძვლიანად მიმოიხილავს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განვითარებულ არცთუ ერთმნიშვნელოვან მოვლენებს და, ფაქტობრივად, გულშემატკივრის პოზიციით მოიხ-



***სერგო ორჯონიკიძე***

***ბის დროს ხსნა იყო აზრი: „სტალინმა არ იცის, რა ხდება!“ და მაინც ვგრძნობდი, რომ ჩემში ნელნელა იღვიძებდა პროტესტი უმრავლესობის ნებისადმი პიროვნების უსაზღვრო მორჩილების წინააღმდეგ“*** *(იქვე, გვ. 49).*

ანუ **შევარდნაძე,** პრაქტიკულად, სტალინის „პიროვნების კულტის“ ხრუშჩოვისეულ დოქტრინას ემხრობოდა, სტალინის სიცოცხლეშივე — ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ამას თავად გაგენსეკებული **ხრუშჩოვი** ყბადაღებულ მე-20 ყრილობაზე გააჟღერებდა!

მაგრამ რეპრესიების თვითმხილველ და აშკარად გაორებულ **შევარდნაძეს** კომუნისტობაც არ ეთმობოდა:

***„არადა, ის კოლექტივიზმი, რომელსაც თავდაუზოგავად ვემსახურებოდი, პირდაპირი მნიშვნელობით, სასწაულებს ახდენდა, როცა ფაშიზმს ამარცხებდა, ქვეყანას ნანგრევებიდან აღადგენდა, ყამირს ტეხდა, კოსმოსს ითვისებდა. ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ იგივე კოლექტივიზმი იქცეოდა საშინელ დამთრგუნველ ძალად, როცა ადამიანს ათანაბრებდა ჭანჭიკთან, რომლის დამსხვრევა იოლი იყო. „თუ ადამიანი მხოლოდ დეტალია მანქანისა“, ვფიქრობდი, „მაშინ, რა მოუვა თვით მანქანას, თუ განუწყვეტლივ დავუმტვრევთ ამ დეტალებს?“*** *(იქვე, გვ. 49).*

და ამ ანალოგიის კვალობაზე, შევარდნაძე ასკვნის, რომ ძალიანაც სწორად მოიქცა, როდესაც პარტიული კარიერისთვის დიდი საფრთხის მიუხედავად, რეპრესირებულის ქალიშვილი, ანუ ეს რეპრესირებული კომპარტია კი არა, სიყვარული იყო მთავარიო.

***„წლების შემდეგ, როდესაც ამ სახელმწიფო მანქანამ ჩემ თვალწინ დაიწყო ჩამოშლა, ჩემი ახალგაზრდობის დროინ-***

*რომლის თეორიულ გააზრებაშიც სტალინმა თავისი წვლილი შეიტანა, პრაქტიკულად უნდა განხორციელებულიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ თანამემამულესთან ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი.* ***რა დაავიწყებდა, მაგალითად, ე.წ. „ქართულ საქმეს“, როცა მისმა თანაპარტიელების ჯგუფმა, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებმა, წინააღმდეგობა გაუწიეს „ავტონომიზაციის“ მისეული გეგმის განხორციელებას.*** *გეგმა უნიტარული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა და მასში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებს დამოუკიდებ-*

სენიებს რეპრესიებისას დახვრეტილ **ბუდუ მდივანსა** და მის თანამოაზრე **„ნაციონალ-უკლონისტებს“!**

ამის შემდეგ შევარდნაძე მის თვალწინ მომხდარ რეპრესიებსაც იხსენებს:

***„შეშფოთებული ვიყავი იმით, რაც ირგვლივ ხდებოდა. იმ დროს კვლავ დაუწყეს დევნა ათასობით უდანაშაულო კომუნისტს. მათ შორის ბევრს პირადად ვიცნობდი, ზოგმა ჩემი მომავალი საქმიანობაც განსაზღვრა — ისინი ჩემი კეთილისმყოფელნი იყვნენ. მე სტალინის მწამდა, მაგრამ ამ ადამიანების დამნაშავეობა, როგორც ბევრმა, ვერც მე ვირწმუნე. ასეთი გაორე-***

**„საბჭოთა იმპერიის სათავეებთან და ხელმძღვანელობაში სხვა ქართველებიც იყვნენ, თუნდაც სერგო ორჯონიკიძე, 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ერთ-ერთი ავტორი და ორგანიზატორი!“**

„მსოფლიოსთვის დაზვერვის გენიად ცნობილი ლავრენტი ბერია ჯერ საბჭოთა საქართველოს მეთაური იყო და ლომის წილი უძევს იმაში, რომ მის სამშობლოში ოცდაათიანი წლების რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა!“



„მიუხედავად თავისი ეროვნული წარმოშობისა, სტალინი რუს სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბდა!“

# საიდუმლო

*დელი ფიქრები გამახსენა, 1951 წელს კი მე უბრალოდ ჩემს თავს დავუსვი კითხვა: „სიძულვილს ჩემი სიყვარული რატომ უნდა შევწირო?“*

*მოკლედ, ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო. ალბათ, ღმერთმა სწორედ ამ ჩემი გულწრფელი გადაწყვეტილების გამო დამაჯილდოვა: ორმოცდაათ წელზე მეტხანს ვიყავით მე და ნანული ერთად.*

*2003 წლის 23 ნოემბერს, გადადგომის წინაც, როცა საგანგებო წესები გამოვაცხადე, იგი კვლავ ჩემ გვერდით იდგა და მეუბნებოდა: „განა შეგიძლია შენი ხალხის სისხლი დაღვარო?“ მაგრამ ეს მრავალი წლის შემდეგ მოხდება. იმხანად ჯერ სულ ახალგაზრდა და ბედნიერი ვიყავი: მე სიყვარული ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დავაყენე“* (იქვე, გვ 50).

არადა, შევარდნაძეს ქართველთა სისხლი უპრობლემოდ, დაუნანებლად და უხვად დაუღვრია: კომუნისტურ ეპოქაში, მის მიერ მხარდაჭერილი თბილისის პუტჩისას ნაპუტჩარ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც — თუნდაც, ადმირალ ბალტინის არმადის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა განადგურებისთვის მოწვევისას...

თუმცა, დავუბრუნდეთ შევარდნაძის „სტალინურ გადაფასებას“:

*„1953 წელს გარდაიცვალა სტალინი. იმავე წელს დახვრიტეს ბერია, ასევე ქართველი, რეალურად მეორე კაცი საბჭოთა იმპერიაში...*

*მიუხედავად თავისი ეროვნული წარმოშობისა, სტალინი რუს სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბდა. მსოფლიო მნიშვნელობის ამ პოლიტიკოსმა შექმნა საბჭოთა იმპერია და მისი ერთპიროვნული მმართველი გახდა. მან კომუნისტური უტოპიის დედამიწაზე აღსრულებას მილიონობით ადამიანი შესწირა, ბრწყინვალედ შეასრულა ლენინის ანდერძი — შექმნა ძალადობის და მიუღწევად მიზნებზე დამყარებული სახელმწიფო და ლამის ნახევარი მსოფლიოც გადააყოლა ამ სოციალურ-პოლიტიკურ ექსპერიმენტს“* (იქვე, გვ. 50).

ალბათ, ეს ციტატა ავტორის მითითების გარეშე რომ გამოაქვეყნო, ასიდან ასი ვერასოდეს მიხვდებოდა, რომ ეს რომელიმე საბჭოთა კავშირის პათოლოგიურად მოძულე ბჟეჟინსკიმ კი არა, ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს ეკუთვნის!

ესე იგი, **შევარდნაძემ** კომპარტიული ყმაწვილკაცობისა და მოწიფულობის ათწლეულების მიუხედავად, სიცოცხლის ბოლოს თავისი პირით აღიარა, რომ სტალინისეულ „სოციალურ-პოლიტიკურ ექსპერიმენტში“ მონაწილეობდა?!

თან ისეთ უტოპიურში, რომელსაც იმთავითვე ძირშივე არ ეწერა აღსრულება?!

და ამით შევარდნაძემ საკუთარი წარსული, ანუ მთელი ცხოვრება რომ დიდი წითელი ხაზით გახაზა, აშკარად ვერ ხვდება, ისეა გატაცებული დასავლური აუდიტორიისთვის დაწერილ ამ შეფასებებში...

შემდეგ შევარდნაძე ახსენებს **სერგო ორჯონიკიძესაც** და მასაც გადაჰკრავს რევიზიონისტი კომუნისტის მათრახს:

*„საბჭოთა იმპერიის სათავეებთან და ხელმძღვანელობაში სხვა ქართველებიც იყვნენ, თუნდაც სერგო ორჯონიკიძე, 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ერთ-ერთი ავტორი და ორგანიზატორი. მოგვიანებით მან ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე — თავი მოიკლა“* (იქვე, გვ. 50).

და, რა თქმა უნდა, მემუარისტი **ბერიასაც** იხსენებს:

*„მსოფლიოსთვის დაზვერვის გენიად ცნობილი ლავრენტი ბერია ჯერ საბჭოთა საქართველოს მეთაური იყო და ლომის წილი უძევს იმაში, რომ მის სამშობლოში ოცდაათიანი წლების რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა. სწორედ ამ დამსახურებისთვის დაიყენა იგი გვერდით სტალინმა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა. ლავრენტი ბერია შიშის ზარს სცემდა ყველას, დაწყებული პოლიტბიუროს წევრებით, დამთავრებული უბრალო ადამიანებით. სტალინის იდუმალებით მოსილი სიკვდილის შემდეგ იგი თავისი გავლენით რეალურად პირველ კაცად იქცა. ამან დაღუპა — მეორე ქართველს რუსეთის პირველ კაცად ვერავინ მოითმენდა „და ბერია“ ნიკიტა ხრუშჩოვის შეთქმულების მსხვერპლი გახდა, იმ ხრუშჩოვისა, რომელსაც ბერიაზე ნაკლები ცოდვები როდი ჩაუდენია“* (იქვე, გვ. 50).

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **შევარდნაძე** ასე აჯამებს სტალინისა და ბერიას მოღვაწეობას:

*„იოსებ სტალინმა, რომელმაც შექმნა უდიდესი საბჭოთა იმპერია და ამ იმპერიის თვალმა და ყურმა ლავრენტი ბერიამ, შეიწირეს ქართული არისტოკრატია, ინტელიგენცია, სამღვდელოება, გლეხობა — ქართველი ერის ელიტა, ერის გენოფონდი. თუ დღევანდელი ტერმინოლოგიით ვიტყვით, მათ ქართველი ერის გენოციდი განახორციელეს“* (იქვე, გვ. 52).

ესე იგი, **შევარდნაძემ** მთელი ცხოვრება შესწირა იმ რეჟიმის სამსახურს, რომელმაც „ქართველი ერის გენოციდი განახორციელა“!

და ეს მხოლოდ კრწანისის რეზიდენციაში პენსიაზე წასულმა დაასკვნა?!

აშკარად, არა...

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**





# კახა საბახტარიშვილი: ადამიანის ტემპერატურა 35 გრადუსზე ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეს!

***ცნობილია, რომ ჩვენს ჯანმრთელობას დიდწილად სხეულის ტემპერატურა განსაზღვრავს. ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ცნება „ნორმალური ტემპერატურა“ ინდივიდუალურია, პირობითია და დამოკიდებულია სქესზე, ასაკსა და ადამიანის ცხოვრების წესზე. ცელსიუსით 41-42 გრადუს ტემპერატურაზე კიბოს უჯრედები იღუპებიან:***

ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი სხეულის ტემპერატურაა. მიჩნეულია, რომ ცელსიუსით **36,6 გრადუსი** ნორმალური ტემპერატურაა, ხოლო **37 გრადუსი** ითვლება იმ ზღვრად, რომლის იქითაც პათოლოგიური პროცესები ვითარდება. ეს შეხედულება, ჩემი აზრით, მცდარია! საქმე ის გახლავთ, რომ ცნება — „ადამიანის ნორმალური ტემპერატურა ცელსიუსით 37 გრადუსს არ უნდა გადასცდეს და 36,6 გრადუსი იდეალური ტემპერატურაა!“ — მცდარია. 1868 წელს გერმანელმა ექიმმა **კარლ ვუნდერლიხმა** 25 ათას ადამიანს დაახლოებით მილიონჯერ გაუზომა ტემპერატურა და სწორედ მან დაადგინა ზემოთ აღნიშნული სტანდარტები. კერძოდ, ვუნდერლიხმა **საშუალო არითმეტიკულით მიიღო ცელსიუსით 36,6 გრადუსი,** რაც ადამიანის ნორმალურ ტემპერატურად მიიჩნია.

1868 წლის შემდეგ 155 წელი გავიდა და ეს შეხედულება ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. არადა, **ფილადელფიაში, მედიცინის ისტორიის მუზეუმში ახლაც ინახება ვუნდერლიხის 22 სანტიმეტრის სიგრძის ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი, რომელიც თანამედროვე თერმომეტრებთან შედარებით 3 გრადუსით მეტს აჩვენებს.** გასაოცარია ის ფაქტი, რომ ვუნდერლიხის თერმომეტრი მაშინდელ თერმომეტრებთან შედარებითაც ტყუოდა.

**— ე.ი. რა გამოდის, ვუნდერლიხის დროს სინამდვილეში ყველას სიცხე ჰქონდა?**

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ასე იყო! **საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ მასობრივად გახლდათ გავრცელებული ათაშანგი, ტუბერკულოზი, პაროდონტოზი და სხვადასხვა ინფექციური დაავადებები, რომლებიც მაღალი ტემპერატურით ხასიათდებიან.** ცხადია, იმ 25 ათას ადამიანში, რომლებსაც სხვადასხვა დროს ტემპერატურას უზომავდნენ, ზემოხსენებული დაავადებებით დასნებოვნებულთა რიცხვი ძალიან დიდი იყო.

საერთოდ, ცნება **„ნორმალური ტემპერატურა“** ინდივიდუალურია, პირობითია და დამოკიდებულია სქესზე, ასაკსა და ადამიანის ცხოვრების წესზე. მიჩნეულია, რომ ადამიანის ნორმალური ტემპერატურა ცელსიუსით 36,1-37,2 გრადუსის ფარგლებში უნდა მერყეობდეს! ერთ წლამდე ბავშვებში ნორმად მიჩნეულია ცელსიუსით 34,7-37,2 გრადუსი, ხოლო 70 წელს გადაცილებულ ადამიანებში ნორმალური ტემპერატურა შესაძლოა, ცელსიუსით 34 ან 35 გრადუსიც კი იყოს. ეს განპირობებულია იმით, რომ ასაკოვან ადამიანებში ნივთიერებათა ცვლა შენელებულია. სწორედ ამითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ, თუ ახალგაზრდისთვის 38 და 39-გრადუსიანი სიცხე ვერავითარ პრობლემას ვერ ქმნის, მოხუცისთვის 37 გრადუსიც კი ძალზე სახიფათო ტემპერატურაა. ამიტომ ჩემი რჩევაა —

**70 წელს გადაცილებულმა ყველა ადამიანმა დაადგინოს, თუ რა არის მისი ნორმალური ტემპერატურა და როცა გრიპის, გაციების ან რაიმე ინფექციის დროს 37 გრადუსი დაუფიქსირდება, მიიღოს საგანგებო ზომები.**

**— რას იტყვით იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც მუდმივად დაბალ ტემპერატურას ატარებენ?**

— ადამიანისთვის დაბალ ტემპერატურად ითვლება ცელსიუსით 36 გრადუსზე დაბალი მაჩვენებელი და მას **ჰიპოთერმია** ეწოდება. ჰიპოთერმია შესაძლოა, ხანმოკლე დროის განმავლობაში განვითარდეს და გამოიწვიოს სხვადასხვა ფაქტორმა: 1. ყინვაში თხელი ტანსაცმლით დიდი ხნის განმავლობაში ყოფნამ; 2. სველი ტანსაცმლის დიდხანს ტარებამ; 3. ცივ წყალში დიდი ხნის განმავლობაში დგომამ; 4. ზოგიერთი ინფექციური დაავადების დროს დიდი რაოდენობით სიცხის დამწევი პრეპარატების მიღებამ. ასეთ დროს თუ შესაბამისი ზომები მიღებული იქნება, ადამიანი თავის ნორმალურ ტემპერატურას მალევე დაუბრუნდება, მაგრამ, თუ ადამიანის სხეულის ტემპერატურა ნორმალურთან შედარებით მუდმივად 1-1,5 გრადუსით დაბალია, ეს უკვე ბევრი საშიში პათოლოგიის მანიშნებელი შეიძლება იყოს! ასეთ დროს ადამიანის პულსი დაბალია, გულის შეკუმშვის სიხშირე მკვეთრად მცირდება, წნევა ეცემა და ადამიანი გრძნობს საერთო სისუსტეს. ასიდან 90 შემთხვევაში ასეთ სიტუაციაში ადამიანი, როგორც წესი, კარდიოლოგთან მიდის, რაც არასწორი ნაბიჯია და დრო იკარგება... თუ ზემოხსენებული სიმპტომები გაწუხებთ, მაშინ უნდა გამოვრიცხოთ შემდეგი დაავადებები:

**1.** C ვიტამინის ნაკლებობა;

**2.** ჰიპოთირეოზი;

**3.** თავის ტვინის დაავადებები;

**4.** ანემია, ანუ სისხლნაკლებობა;

**5.** თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგია;

**6.** ჰიპოგლიკემია;

**7.** გრიპი;

**8.** ინსულტი...

ზამთრის სეზონის დადგომამ გრიპით დაავადებულთა რიცხვი გაზარდა. ბევრს მიაჩნია, რომ გრიპი ყოველთვის მაღალი ტემპერატურით იწყება, არადა, ძალზე ბევრია დაბალიმუნიტეტიან ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც გრიპის ვირუსი თუ შეხვდათ, დასაწყისში ტემპერატურა ნორმაზე დაბალი ექნებათ. ამიტომ ჩემი რჩევაა: **თუ გრიპის ყველა ნიშანი სახეზეა და ტემპერატურა დაბალია, არ მოტყუვდეთ და უმკურნალეთ სწორედ გრიპს!** დაბალი იმუნიტეტის მქონე ადამიანები რომ ნორმაზე დაბალ ტემპერატურას ატარებენ, ამის ნათელი მაგალითია შიდსი... შიდსიან პაციენტებს, როგორც წესი, სხეულის ტემპერატურა ყოველთვის დაბალი აქვთ!

**— დაბალი ტემპერატურის პირობებში, როდის იწყება საშიში პროცესები?**

— ადამიანის ტემპერატურა 35 გრადუსზე ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეს! თუ ტემპერატურა 32 გრადუს ცელსიუსამდე დაე-

გაგრძელება 22-ე გვერდზე



დასაწყისი
21-ე გვერდზე

## კახა საგახტარიშვილი:

# დაბალი იმუნიტეტის მქონე ადამიანები ნორმაზე დაბალ ტემპერატურას ატარებენ!

ცა, განგაში უნდა გამოცხადდეს! ასეთ დროს მართალია, ადამიანის წნევა ნორმაშია, გონება საღი და ნათელია, მაგრამ იწყება კანკალი, სისუსტე და ძილიანობა. ტემპერატურის 29 გრადუსამდე დაცემის დროს წნევა მკვეთრად ეცემა, პულსი ძალიან დაბალია, ხოლო გულის მუშაობა — მკვეთრად შენელებული! ასეთ დროს კანკალი სახეზე არ გაქვს, კანი ცივი და მოლურჯოა, შემცივნების გრძნობა ქრება და ადამიანს ძილი ეუფლება. თუ ტემპერატურა ცელსიუსით 27 გრადუსზე დაბლა ჩამოვიდა, ადამიანი კომატოზურ მდგომარეობაში გადადის.

**— მიმართავენ თუ არა მედიცინაში ტემპერატურის ხელოვნურად დაწევას?**

— გულის ზოგიერთი ოპერაციის დროს პაციენტს ტემპერატურას ხელოვნურად უგდებენ, რათა გულის მუშაობა მკვეთრად შეანელონ... რაც შეეხება ტემპერატურის ზედა საშიშ ზღვარს, თუ ტემპერატურამ ცელსიუსით 39 გრადუსს გადააჭარბა და სიცხე დაბლა არ იწევს, იწყება ცილების დაშლა, ანუ დენატურაცია, რაც ორგანიზმისთვის დამღუპველია. ამიტომ ასეთი მაღალი სიცხე აუცილებლად დაბლა უნდა დავწიოთ! სხვათაშორის, კიბოს უჯრედები ცელსიუსით 40-41 გრადუსზე იშლება.

ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში მოხდა ასეთი ფაქტი: ნოვოსიბირსკიდან ჩამოვიდა კიბოიანი პაციენტი, რომელსაც **კატრექსი** გავუკეთეთ. პაციენტს ჩვენთვის არ უთქვამს, რომ თევზი და თევზის პროდუქტები ალერგიას აძლევდა. მოგეხსენებათ, **კატრექსი** შავი ზღვის ზვიგენის, კატრანის ღვიძლისგან მზადდებოდა, ამიტომ როგორც კი ინიექცია შევუყვანეთ, პაციენტს დაეწყო ძლიერი ალერგიული რეაქცია და განუვითარდა მაღალი სიცხე — 41 გრადუსამდე. პაციენტი მაშინვე გავაქანეთ რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა, თუმცა, ტემპერატურის დაწევა გაჭირდა. რამდენიმე დღეში, როცა მისი მდგომარეობა დასტაბილურდა, პაციენტმა თავი მხნედ იგრძნო და მოხდა საოცრება — გამოკვლევებმა ცხადყო, რომ პაციენტს კიბო არ ჰქონდა! **კატრექსის** შემქმნელი **ალექსანდრე ბაჩეჩილაძე** მეგობრობდა **გიორგი მალენკოვის** ვაჟთან, რომელიც ცნობილი ონკოლოგი იყო. როცა მას ამ შემთხვევის შესახებ ვუამბეთ, არ გაჰკვირვებია და გვაჩვენა თავის მიერ შექმნილი ჰიპერთერმიის აპარატი, რომელიც გარკვეული სახის სიმსივნურ უბნებზე მაღალტემპერატურული თერმული ზემოქმედების საშუალებით პაციენტის გადარჩენის შანსს ზრდიდა. კიბოს მკურნალობის ჰიპერთერმიული მეთოდი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება!

**— რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს ცივ, ყინულოვან წყალში გაძლოს?**

— თუ წყლის ტემპერატურა პლუს 5 გრადუსიდან პლუს 15 გრადუსამდეა, მაშინ ადამიანი ასეთ წყალში 3,5-4,5 საათის განმავლობაში გაძლებს, მაგრამ, თუ ეს მაჩვენებლები ცელსიუსით პლუს 2-დან პლუს 3 გრადუსამდე მერყეობს, მაშინ ასეთ წყალში ადამიანი 10-15 წუთი, ხოლო, თუ წყლის ტემპერატურა 2 გრადუსზე დაბალია, მხოლოდ 5-8 წუთი გაძლებს! თუმცა, არსებობენ ე.წ. მორჟები, რომლებიც ცივ, ყინულიან წყალში, ფაქტობრივად, ბავშვობიდან ცხოვრობენ... გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებულია, რომ ყინულიან წყალში ადამიანმა 2 საათი და 7 წუთი გაძლო! სხვათაშორის, როცა ადამიანი იტყუება, ცხვირი უცივდება, ხოლო შუბლი უცხელდება და უწითლდება, რასაც „ბურატინოს ეფექტი“ ჰქვია!

**— ქვეწარმავლების ტემპერატურა როგორია?**

— ქვეწარმავლები ცივსისხლიანები არიან და მათი ტემპერატურა გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

**— როგორია ძაღლის ნორმალური ტემპერატურა?**

— ძაღლის სხეულის ტემპერატურა ცელსიუსით 37,5 გრადუსიდან 39 გრადუსამდე მერყეობს, ხოლო ლეკვის ტემპერატურა 39,5 გრადუსამდეც კი ნორმად მიიჩნევა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ძაღლის სხეულის ტემპერატურა ცელსიუსით 37,5 გრადუსიდან 39 გრადუსამდე მერყეობს!“





## დამანა მდივნიშვილი:

# რამაზ, შენ ხარ ვარსკვლავი და ახლაც ანათებს შენი დიდება!

***რამაზი მარადიულია ისევე, როგორც თეატრი! — ამის შეხსენებას ემსახურება 18 დეკემბერს რუსთაველის ეროვნულ თეატრში რამაზ ჩხიკვაძის საიუბილეო საღამოს გამართვა. დიდი ხელოვანი 2011 წელს 83 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან, რუსთაველის თეატრში მისი ბოლო როლი იყო მეფე ლირი, ხოლო უკანასკნელი სცენური როლი განასახიერა თეატრალური სარდაფის სპექტაკლში „სიკვდილის როკვა“. 95 წლის მხცოვანი მსახიობი დამანა მდივნიშვილი იხსენებს ლეგენდარულ რამაზ ჩხიკვაძეს, რომელთან ერთადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს თეატრალური ინსტიტუტის კარი შეაღო ასევე ლეგენდარული დოდო ალექსიძის ჯგუფში:***




— კარგია, რომ რუსთაველის თეატრში **რამაზ ჩხიკვაძის** საიუბილეო საღამო იმართება, თუმცა, მისი დაბადებიდან 95 წელი გასულ ზამთარს, 28 თებერვალს შესრულდა. ალბათ, ეს დღე მაშინ ფართოდ იმიტომ არ აღნიშნეს, რომ რამაზი დაბადების დღეებზე დიდ წვეულებებს არ მართავდა.

მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი მახსოვს, ერთ უბანში ვცხოვრობდით, ხოლო თეატრალურ ინსტიტუტში დავმეგობრდით და ეს მეგობრობა მისი ცხოვრების ბოლომდე გაგრძელდა. მახსოვს, აბიტურიენტები მისაღებ გამოცდაზე უნდა შევსულიყავით, უცებ კიბეებზე ყველასგან გამორჩეული ახალგაზრდა ამოვიდა, რომელმაც არამარტო ჩვენი, არამედ გამომცდელების ყურადღებაც მიიქცია. გამოცდის მერე მკითხა, რომელ ფაკულტეტზე აბარებო? სამსახიობოზე-მეთქი. მეც — მიპასუხა — და ამიერიდან ერთად ვიცხოვრებთო. გამიკვირდა, ერთად როგორ ვიცხოვრებთ-მეთქი? — ამ კიბეებზე რომ ამოვალთ, აუდიტორიაში რომ შევალთ და მთელი დღე ერთად ვიქნებით, აი, ეგ იქნება ჩვენი ერთად ცხოვრებაო! მართლაც ასე იყო, სიხარულით მოდიოდა ლექციებზე და სახლში წასვლა საერთოდ არ უნდოდა. ჩემთან და რამაზთან ერთად ჯგუფში იყვნენ **ლამზირა ჩხეიძე, ნინო ოქროსცვარიძე, ნათელა იონათამიშვილი, იამზე ტყავაძე, თათია ხაინდრავა, მერი მიქელაძე, გურამ საღარაძე, ომარ ლომიძე.** თავიდან რომ მეგონა, მარტო მე მაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, მერე აღმოჩნდა, რომ ყველასთან ასეთი იყო. როცა თეატრალური ინსტიტუტიდან ქუჩაში გამოვიდოდით, ზემოთ შეხტომა იცოდა, თუნდაც „პოდრუჩკით“ ვყოფილიყავით, მაინც ხტებოდა. დღემდე ვერ ვხვდები, რა იყო ეს შეხტომა.

**— თქვენი თაყვანისმცემელი ხომ არ ყოფილა?**

— არა, და-ძმობა გვქონდა, მეგობრები ვიყავით, ნათქვამი ჰქონდა — ინსტიტუტში პატრონად მიგულეო. მახსოვს, ერთხელ ძალიან მშიოდა და მითხრა, ახლავე დაგაპურებო. მერე სადღაც გავარდა, უკან დაბრუნებულს ხელები ზურგს უკან დაემალა. უცებ მობრუნდა და მეუბნება: აი, თეთრ პურს უყურე და შავი ჭამე! ეს იყო იმდენად მოულოდნელი, თან არტისტული — შავი პური უნდა მეჭამა და თეთრი წარმომედგინა?!



რამაზი ხშირად მოდიოდა ჩემთან სახლში, ჩემი და **ლეილა** გიტარაზე უკრავდა და ერთად მღეროდნენ. ლეილა ეუბნებოდა — ასეთი კარგი ხმა გაქვს და გიტარაზე დაკვრასაც გასწავლიო, მაგრამ რამაზი თავს შორს იჭერდა, სიმები თითებს მჭრისო. ერთად დავდიოდით სიმღერაზე **სანდრო ინაშვილთან,** როცა რამაზი ხმას ამოიღებდა, პროფესორის იადონები გაისუსებოდნენ, ხოლო, როცა მე ვიწყებდი სიმღერას, იადონები ამყვებოდნენ ხოლმე. მეხუმრებოდნენ, ამათ მოსწონხარ და შენთან ერთად ამიტომაც მღერიანო...

რამაზი ჩვენს სახლშიც ხშირად რჩებოდა. ვეუბნებოდი — ბიჭო, ორ ნაბიჯზე ცხოვრობ და ჩვენთან დივანზე რატომ უნდა დაიძინო-მეთქი? მაგრამ მაინც არ მიდიოდა. მახსოვს, აღდგომა დღე გათენდა, გაიღვიძა და ლეილა მოიკითხა. კვერცხების შესაღებად წავიდა, შენ რამდენს შეჭამ-მეთქი? იხუმრა — რამდენსაც მომცემო. ლეილამ შეღებილი კვერცხი კი მოიტანა, მაგრამ რამაზმა პირი არ დააკარა. მახსოვს, ინგლისური კოსტიუმი შეიკერა და ისიც ჩვენთან მოიტანა, „შიფანერკაში“ ჩვენი ტანსაცმელი მისწიმოსწია, შუაში დაკიდა და თქვა — ეს აქ იყოსო. უყვარდა ლამაზად ჩაცმა. როცა ვთხოვდებოდი, ვუთხარი — ჩემი საქმრო შენზე ლამაზია-მეთქი. მაჩვენე ერთი, ვინ არისო? როცა გავაცანი, მითხრა — მართლა ლამაზი ბიჭი ყოფილაო. დამეგობრდნენ, ჩემი ლაშა *(მაცაბერიძე.* ***რედ.****)* რამაზს ყოველმხრივ ეხმარებოდა.

**— რამაზ ჩხიკვაძის პირველი სიყვარული ვინ იყო?**

— შეყვარებული არ ჰყოლია, თუმცა, ის კი უყვარდათ, მასზე საოცრად შეყვარებული იყო ულამაზესი **თათია ხაინდრავა** (ისეთი თმა ჰქონდა, ერთ ქალად ღირდა), მაგრამ რამაზი მას ყურადღებას არ აქცევდა, ახლოს არ იკარებდა. ერთხელ ის და თათია ჩემთან საღამომდე შემორჩნენ, ლეილა გიტარაზე უკრავდა, ვმღეროდით. ბოლოს რამაზს ვუთხარი — თათია გააცილე-მეთქი — სოლოლაკში ბიძასთან მიდიოდა. გაჰყვა, მაგრამ ძალიან მალევე მობრუნდა. ასე უცებ როგორ მიაცილე-მეთქი? სადარბაზოში შევიყვანე და მაშინვე გამოვბრუნდიო. რატომ





არ მოსწონდა ეს ულამაზესი გოგო, არ ვიცი. **ბოლოს ისე მოხდა, რომ თათიამ მისგან გოგონა მაინც გააჩინა, მაგრამ რამაზმა არც ამ ანგელოზ ბავშვთან ინდომა ურთიერთობა.** მათი პირისპირ შეხვედრა ერთხელ მოხდა: სპექტაკლის მერე მსახიობების გამოსასვლელ კართან, სხვა ბავშვებთან ერთად, **ფისოც** იდგა (თათია შვილს მოფერებით ფისოს ეძახდა). როცა რამაზი გამოვიდა და ბავშვები შემოეხვივნენ, ფისო შენობის კუთხეს ამოეფარა. რამაზმა ბავშვების წრე გაარღვია, თავის შვილთან მივიდა, დაიხარა და ჰკითხა: **შენ ფისო არ ხარ?** გოგონა არ გაუჩერდა, გაიქცა. ეს ბავშვი ერთხანს რამაზის მშობლებთანაც ცხოვრობდა, როდესაც რამაზი დედის სანახავად მიდიოდა, ბებია ბავშვს აბაზანაში მალავდა.

**ბედის ირონიით, რამაზი შვილიან ქალზე დაქორწინდა, თავის შვილს არა, მაგრამ სხვის შვილს მისცა თავისი გვარი.**

**— ნანობდა საქციელს?**

— არ დარდობდა, საკუთარი შვილი რომ არ გაიკარა, არც სიკვდილის წინ უნანია. მეუღლესთან — **ნატაშასთან** კი შვილი არ შესძენია. ნატაშას ნათქვამი ჰქონდა — **რამაზთან ქორწინებაში ბავშვი იმიტომ არ გავაჩინე, რომ ჩემი საშკა დამეჩაგრებოდაო.** ისინი ხშირად მოდიოდნენ ჩემთან, საშკაც მოჰყავდათ, ხანდახან სკოლის მერე თვითონ ბავშვი შემომივლიდა ხოლმე, გოგებაშვილის ქუჩაზე არსებულ სკოლაში სწავლობდა.

**— რამაზ ჩხიკვაძემ როგორ გაგაცნოთ თავისი რჩეული?**

— მათი ცხოვრების ისტორია გემზე მოგზაურობისას დაიწყო, რამაზი **ზურაბ სალარაძესთან** ერთად იყო, ხოლო **ნატაშა** — თავის მეგობარ გოგოსთან ერთად. როცა თბილისში დაბრუნდა, მითხრა — ერთი გოგო გავიცანი, აღარ მეშვება, თან შვილიც ჰყავს, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ჩემგან წასვლა არ უნდაო (ნატაშას მოსკოვში დაბრუნება აღარ უნდოდა). წავა, აბა, რას იზამს-მეთქი. მაგრამ ნატაშა დარჩა და შეუღლდნენ კიდეც. რამდენიმე დღე ისინი რამაზის მშობლებთან ცხოვრობდნენ, მაგრამ დედამთილი რძალს ვერ შეეგუა. რამაზის დედამ, **ქალბატონმა ელენემ** მითხრა — ნატაშა სულ რაღაცას ითხოვს, მაგრამ რა ვქნა, ერთი პროფესორი ქმარი მყავს, დიდი შემოსავალი არა გვაქვსო.

**ახალ-შეუღლებულები ქირით გადავიდნენ, უამრავი ბინა გამოიცვალეს, ერთხანს სარდაფშიც კი ცხოვრობდნენ. ახლა ამ ყველაფერს რომ ვიხსენებ, რაღაც სიმბოლურია, რომ რამაზმა თავისი ბოლო როლი სწორედ თეატრალურ სარდაფში ითამაშა...**

**— რამაზ ჩხიკვაძეს თქვენთან მეგობრობა არ გაუწყვეტია?**

— არა, ჩვენი მეგობრობა გრძელდებოდა. თავიდან **რამაზს და ნატაშას** ძალიან უჭირდათ, ჩემს დამხმარე გოგოს ხშირად მათთვის საჭმელს ვატანდი (საქმიანი ქმარი მყავდა და პროდუქტი ყოველთვის მქონდა), მათ ბინასაც ვალაგებინებდი. მახსოვს, ერთხელ ჩემი დამხმარე გოგო მათგან ატირებული მოვიდა, რამაზისა და ნატაშას კონფლიქტს შეესწრო, ნატაშას ერთ ჩვენს თანაკურსელ გოგოზე უეჭვიანია, სახლში რატომ გააცილე და გვიან რატომ დაბრუნდიო? ის ღამე რამაზს სადარბაზოს კიბეზე გაათენებინა, სახლში არ შეუშვა. აი, ასეთი გაგიჟებული სიყვარულით უყვარდა ნატაშას რამაზი და ისიც ათამამებდა, ხშირად სახლის საქმეებსაც არ თაკილობდა და ბაზარშიც ეგზავნებოდა. ერთხელ რამაზმა მითხრა — იმ ჭკუაზეც ვყოფილვარ, სკამი ფანჯარასთან მიმედგა და გადავვარდნილიყავიო.

**— ბოლოს სასტუმრო — ვილა „ბერიკა“ ააშენეს, რაზეც რამაზ ჩხიკვაძე ხუმრობდა — არ მინდა, სასტუმროდან გამასვენონ, უნდა გავყიდოთ და ბინა ვიყიდოთო...**

— სასტუმროს მშენებლობაში ჩემი მეუღლე ეხმარებოდა, ვითომ სესხად აძლევდა ფულს, მაგრამ უკან აღარ სთხოვდა. ნატაშა ამბობდა — დიდი ფული მექნება და დაგიბრუნებთო. როცა მეუღლე გარდამეცვალა, რამაზს გავახსენე **ლაშას** მიერ მათთვის გაკეთებული სიკეთე... შემდეგ თვითონ ნატაშა გახდა საქმოსანი ქალი, როდესაც მათთან სასტუმროში მივიდოდით, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ოთახებში არავინ ცხოვრობდა, გვეუბნებოდა — **ფეხაკრეფით იარეთ, ხალხი არ შეაწუხოთო.** ნატაშა მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის გასტროლების დაგეგმვაშიც, ზრუნავდა დასის მონაწილეობაზე უცხოურ ფესტივალებში.

**— გაიხსენეთ ბოლო შეხვედრა რამაზ ჩხიკვაძესთან...**

— მწარე იყო ეს შეხვედრა, ძალზე დაღონებული დამხვდა. სიმსივნის გამო ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, მითხრა — ამ ავადმყოფობას ვერ გადავიტან, ადრე უნდა წავსულიყავიო. ისე მინდოდა, დიდხანს გველაპარაკა, იქნებ რამე კიდევ ეთქვა, მაგრამ არ მოხერხდა (თან ნატაშა ყველას არ უშვებდა მის სანახავად).

**იმ წუთებში, როცა რამაზს უკანასკნელად ვსტუმრობდი, ჩემ თვალწინ გაირბინა მთელმა ჩვენმა ცხოვრებამ, მისმა შესანიშნავმა როლებმა, გამარჯვებებმა, მისმა აზდაკმა, მეფე ლირმა, რიჩარდ მესამემ.** ყოველთვის მიკვირდა, რანაირად კოჭლობდა, როგორ ოსტატურად დგამდა ფეხს ამ გმირის შესაქმნელად. სტალინიც კი, რომელსაც სულაც არ ჰგავდა, შესანიშნავად ითამაშა.

უკვე 12 წელია, რაც რამაზი აღარ არის ამქვეყნად, დიდი ნიჭით დაჯილდოებულ დიდ ქართველი არტისტს, რომელიც არასოდეს უსვამდა ხაზს თავის ნიჭიერებას, ინსტიტუტიდან მოყოლებული, არასოდეს უცდია ზედმეტად თავის გამოჩენა. რუსთაველის თეატრი წარმოუდგენელი იყო რამაზის გარეშე და ყველას ძალიან დაგვწყდა გული, როცა თეატრიდან წავიდა. თუმცა, თამაში სულ უნდოდა, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა.

**ისე მოხდა, რომ რამაზის გარდაცვალებამდე ნატაშა წავიდა ამ ქვეყნიდან, გულის შეტევა დაემართა. რამაზმა მის გარეშე მხოლოდ 2 თვე იცოცხლა.** სასტუმრო ოთახში მაქვს მათ მიერ ნაჩუქარი შანდალი, როცა შევხედავ, ან, როცა სანთელს ვანთებ მასზე, ვიხსენებ რამაზს, მის ტრიუმფს რუსთაველის თეატრის სცენაზე და მისი მისამართით ვამბობ ხოლმე: **რამაზ, შენ ხარ ვარსკვლავი და ახლაც ანათებს შენი დიდება!**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***



# ალარც რამაზი, აღარც ნატაშა...

**აღარც რამაზი,**
**აღარც ნატაშა,**
**დაცარიელდა**
**„ვილა ბერიკა“...**
**კაცმა, რომელმაც**
**აათამაშა**
**ეს ევროპა და**
**ის ამერიკა,**
**არა ყოფილა**
**არც მეფე ლირი,**
**არა ყოფილა**
**რიჩარდ მესამე, —**
**გვირგვინად ედგა**
**მზეთა არილი**
**და ერთ ქალს უთხრა**
**გულით: „ბესამე!“**

***ლაშა ნადარეიშვილი***





**რამაზ და ნატაშა ჩხიკვაძეები**

# ავთანდილ ჯორბენაძე:
# ასე იქმნებოდა

***„როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა“ — ასე ჰქვია ახლახან გამოცემულ წიგნს, რომლის ავტორიც საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, დღეს კი აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ჯორბენაძე გახლავთ. იგი წინამდებარე ინტერვიუში გვიამბობს, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ჯანდაცვის სისტემის ფუნდამენტური გარდაქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, როცა ქვეყანა სამოქალაქო და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომებს წელში გაეტეხა და გაეპარტახებინა... რა ავნო საქართველოს ჯანდაცვის სისტემას სააკაშვილის რეჟიმმა? რას აკეთებს, რას ვერ აკეთებს და რას უნდა აკეთებდეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმისათვის, რომ ქართულმა ჯანდაცვის სისტემამ ევროპულ დონეზე იფუნქციონიროს? სწორედ ამ თემებზე ვესაუბრებით ავთანდილ ჯორბენაძეს, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელობა და მის მასშტაბურ რეორგანიზაციაზე მუშაობა ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში მოუხდა:***



— შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებლადაც კი ჟღერდეს, მაგრამ სამოქალაქო და აფხაზეთის ომებგამოვლილ, ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩაფლულ და პოლიტიკური დაპირისპირებებით დაუძლურებულ საქართველოში **1995 წლის 10 აგვისტოს დავიწყეთ ჯანდაცვის სისტემის მასშტაბური გარდაქმნისა და რეორიენტაციის ურთულესი პროცესი,** რომლის უმთავრეს მიზანსაც ქართული მედიცინის გადარჩენა და მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

**— უფრო რომ დავაკონკრეტოთ, როგორი იყო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, როცა ამხელა საქმეს შეეჭიდეთ?**

— 1991 წლიდან მოყოლებული, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი წელიწადში საშუალოდ 28 პროცენტით მცირდებოდა და ერთ სულ მოსახლეზე 4 433 დოლარიდან 1 437 დოლარამდე დაეცა. 1990 წლის დონესთან შედარებით, 1995 წლისათვის წარმოება 78 პროცენტით იყო შემცირებული და თითქმის სამჯერ აღემატებოდა **„დიდი დეპრესიის“** დროს აშშ-ში წარმოების დონის დაცემას.

**ეროვნული ბანკის კუპონი,** რომელიც 1993 წლის პირველ ნახევარში იქნა შემოღებული, კატასტროფულად გაუფასურდა და იმავე წლის მეორე ნახევრიდან 1994 წლის ოქტომბრამდე ინფლაციის ტემპი თვეში საშუალოდ 60-70 პროცენტს შეადგენდა, ჯამურად კი, წლის განმავლობაში 7 380 პროცენტს მიაღწია.

**— ქვეყანაში ინფლაციის დონე 7000 პროცენტს აჭარბებდა და ამ დროს ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია დაიწყეთ? ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია!**

— 1993-1994 წლებში **ქვეყანას სახელმწიფო ბიუჯეტიც კი არ ჰქონდა დამტკიცებული.** საშუალო ხელფასი თვეში 1 დოლარისა და 50 ცენტის ეკვივალენტი იყო, პენსია კი 10 ცენტის ეკვივალენტს შეადგენდა. ისედაც უმძიმეს ეკონომიკურ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებდა შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები და ქვეყნის გარედან ინსპირირებული სეპარატისტული მოძრაობები. ასევე ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა იყო კრიმინალური ძალების აღზევება, რაც, ყველაფერთან ერთად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც უარყოფითად აისახებოდა.

**— როგორი იყო ვითარება იმ დროისათვის კონკრეტულად ჯანდაცვის სისტემაში?**

— იმ დროისათვის ჯანდაცვის სისტემაში ინერციით განაგრძობდა ფუნქციონირებას საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით გადმოყოლილი **ნ.ა. სემაშკოს მოდელი.** სამედიცინო მომსახურება მოსახლეობისათვის ფორმალურად კვლავ უფასო რჩებოდა, თუმცა, ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო დაფინანსება მკვეთრად შემცირდა და თუ 1990 წელს ერთ სულ მოსახლეზე 130 დოლარს შეადგენდა, 1994 წლისათვის 0,45 დოლარამდე იყო დაცემული. იმავე წელს ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში სახელმწიფოს წილმა 4,9 პროცენტი შეადგინა, რაც ისედაც მწირი სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 1,3 პროცენტი იყო.

## სამართლებრივი ბაზის შექმნა ჯანდაცვის ახალი სისტემისათვის

**— რა იყო პირველი ნაბიჯი, რომლითაც ასეთ უმძიმეს ვითარებაში ჯანდაცვის სფეროს სისტემური რეორგანიზაცია დაიწყეთ?**

— პირველი ნაბიჯი გახლდათ **სამართლებრივი ბაზის შექმნა ჯანდაცვის ახალი სისტემისათვის.** ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემულ მთელ რიგ ბრძანებულებებსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, თუმცა, განსაკუთრებით ღირებული იყო ჩანაწერები, რომლებიც 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ჯანდაცვის კუთხით გაჩნდა.

**კერძოდ, ახალი კონსტიტუციის 37-ე მუხლში ჩაიწერა:**

**1.** ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

**2.** სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

**3.** ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში.

ეს კონსტიტუციური ჩანაწერები ისტორიული მნიშვნელობის გახლავთ, რადგან სახელმწიფომ საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად გარკვეული ვალდებულებები აიღო და საქართველოში დასაბამი დაედო **ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების** ფორმირებას. გარდა ამისა, გაჩნდა **ჯანმრთელობის დაზღვევის ცნება** და მოსახლეობას საშუალება მიეცა, იმ სამედიცინო სერვისებითაც ესარგებლა, რომლებიც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით არ იყო გათვალისწინებული.

## სადაზღვევო მედიცინის პრინციპებზე გადასვლა

**— საინტერესოა, როგორ მოქმედებდა სამედიცინო დაზღვევის სისტემა 1990-იანი წლების დუხჭირ საქართველოში, სადაც მოსახლეობას საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის, ფაქტობრივად, არანაირი ფინანსური სახსარი არ გააჩნდა?**

— ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი სწორედ **სადაზღვევო მედიცინის პრინციპებზე გადასვლა** გახლდათ. მიზნად დავისახეთ, აღგვედგინა **ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის ევროპული მოდელი,** რომლის ელემენტების დანერგვა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაიწყო, მაგრამ 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების გამო შეწყდა. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის 121-ე მუხლში ეწერა:

*„დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით, თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შედგეს დამქირავებელზე შეწერილი საგანგებო გადასახადისაგან“.*

**ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის** უმთავრესი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა თანაბრად და სამართლიანად ნაწილდება სახელმწიფოს, დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის.

**სადაზღვევო მედიცინის** პრინციპების დამკვიდრების საქმეში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო პარლამენტის მიერ 1998 წლის 6 თებერვალს მიღებული კანონი **„სამედიცინო დაზღვევის შესახებ“,** რომელიც მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს განსაზღვრავდა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოს, დამქირავებლისა და დაქირავებულის პასუხისმგებლობის გაზრდისაკენ გახლდათ მიმართული. ამასთან, კანონი უზრუნველყოფდა საქართველოს მოქალაქეთა იმ კონსტიტუციური უფლებების განხორციელებას, რომლებიც ჯანმრთელობით დაცვასთან იყო დაკავშირებული.

იმავე კანონით, საქართველოში ამოქმედდა **ჯანმრთელობის სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა.**

**— რა განსხვავება იყო სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევას შორის?**

— საქართველოს მოქალაქეს **სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა** გარანტირებული ჰქონდა, ხოლო **ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა** უზრუნველყოფდა, რომ მოქალაქისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მომხდარიყო რეგისტრირებული და ექსპერტიზებული პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ჯანდაცვის დაზღვევის ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია ახორციელებდა. შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები **ჯანმრთელობის დაზღვევის** კონკურენტული ბაზრის ჩამოსაყალიბებლად, რამაც ხელი შეუწყო კერძო სადაზღვევო კომპანიების მომრავლებასა და მათ ორგანიზაციულ-ფინანსურ განვითარებას.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა და სხვა ეკონომიკური პრობლემების გამო, **ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის** დანერგვა მოსალოდნელზე რთული აღმოჩნდა. **სავალდებულო სადაზღვევო შენატანი** სადაზღვევო პროგრამების დასაფინანსებლად საკმარისი არ იყო. სახელმწიფოს ასევე შეზღუდული რესურსები ჰქონდა მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო დახმარებისათვის, თუმცა, მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, სადაზღვევო სისტემა მაინც ვითარდებოდა.

ეკონომიკის წინსვლის კვალდაკვალ, სრულიად შესაძლებელი იყო, **სავალდებულო სადაზღვევო შენატანების** მოცულობა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო და **ჯანდაცვის სოციალური დაზღვევის** სისტემაში არსებული ხარვეზები აღმოფხვრილიყო, მაგრამ **„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ სისტემაზე უარი თქვა და სრულიად გაუაზრებლად გადავიდა ჯანდაცვის ზოგადი გადასახადებით დაფინანსების მოდელზე.** შედეგად ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა.

2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ — **„ქართულმა ოცნებამ“ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა აამოქმედა, რომლის დაფინანსებაც კვლავ ზოგადი საგადასახადო შემოსავლებით შექმნილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება.** არადა, აღმოსავლეთ ევროპის 28 ქვეყნიდან 22 ქვეყანაში, მთავრობების ცვლილების მიუხედავად, **სოციალური სადაზღვევო სისტემა** ზოგადი გადასახადების სისტემით არ შეცვლილა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები კი დღესაც არ ღალატობენ **ჯანდაცვის სოციალური დაზღვევის მოდელს,** რომელიც გერმანიაში 1872 წლიდან ფუნქციონირებს.

**— მიგაჩნიათ, რომ დღევანდელ საქართველოში ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის სისტემა უნდა მოქმედებდეს?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, **ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა** აქტუალობას დღესაც არ კარგავს და საქართველოს ხელისუფლებას მართებს, კარგად გააანალიზოს ამ მოდელის დადებითი მხარეები. **სოციალური დაზღვევის სისტემა** ყველაზე უკეთ ახდენს ჯანდაცვის სექტორისათვის დამატებითი სახსრების მობილიზებას და ხარჯების შეკავებასა და სისტემის გამჭვირვალობასაც უკეთ უზრუნველყოფს. ამდენად, საქართველოს კულტურის, ისტორიული გამოცდილებისა და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ხელი შეეწყოს **სოციალური დაზღვევის** განვითარებას.

## სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეფორმა

**— როგორი ვითარება იყო 1990-იანი წლების დასაწყისის საქართველოში ინფექციური დაავადებების გავრცელების მხრივ და როგორ გადაწყვიტეთ ეს პრობლემა?**

— იმ პერიოდში საქართველოში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, გასაკვირი არ იყო ისეთი **ინფექციური დაავადებების აღმოცენება და გავრცელება,** როგორიც არის დიფტერია, მუცლის ტიფი, დიზენტერეა, მწვავე ნაწლავური ინფექციები, ციმბირის წყლული და კვებითი მოშხამვები. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აღნიშნულ დაავადებათა სალიკვიდაციოდ პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების გატარება თავისი მწირი სახსრებით უწევდა.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო **სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეფორმა,** რომელიც პრევენციულ მედიცინასა და ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამიტომ, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის დაწყებამდე **სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეორგანიზაცია მოვახდინეთ** და მის ბაზაზე ორი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული — საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტები ჩამოვაყალიბეთ.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის** მიზნებად განისაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ევროპულ პრინციპებზე დაფუძნებული **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორდონიანი ინფრასტრუქტურა,** რომელიც ცენტრალურ დონეზე — საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს, ხოლო მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს მოიცავდა.

რაც შეეხება **სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების** დეპარტამენტს, მისი მიზანი გახლდათ ისეთი ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც ქვეყანას განსაკუთრებით საშიში და სხვა ინფექციების შემოტანა-გავრცელებისაგან დაიცავდნენ და მოსახლეობის **სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას** უზრუნველყოფდნენ. ამისათვის შეიქმნა **სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის** ტერიტორიული სტრუქტურები და საქართველოს საზღვრებზე სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობის განყოფილებები.

განხორციელებული ცვლილებების პირველი მნიშვნელოვანი შედეგი **გეგმური იმუნიზაციის** გაწყვეტილი ჯაჭვის აღდგენა იყო. იაპონიის, აშშ-ის, ასევე სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და, განსაკუთრებით, გაეროს ბავშვთა ფონდის უდიდესი დახმარების შედეგად,

**„საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ეროვნულ იდეად უნდა იქცეს და სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს გადაუდებელი ღონისძიებები!“**

შესაძლებელი გახდა **ჯერ გეგმური აცრების დაწყება, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია.** სწორედ იმის გამო, რომ მასობრივი ვაქცინაციის მაღალ დონეს მივაღწიეთ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის სასერტიფიკაციო კომისიამ **2002 წლის ივნისში საქართველოს მიანიჭა პოლიომიელიტისგან თავისუფალი ზონის სტატუსი, რასაც ჩვენი ქვეყანა დღემდე ინარჩუნებს.**

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეორგანიზაციამ შესაძლებელი გახადა, საკმაოდ მოკლე დროში შეგვექმნა თანამედროვე ტიპის **საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სანიტარიული ზედამხედველობის სისტემები** და დავგეწყო პრაქტიკული საქმიანობა. ამასთანავე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაძლებლობა მიეცა, განესაზღვრა დარგის სამომავლო სტრატეგიები და ტაქტიკა.

ამ ფონზე, **სრულიად გაუგებარი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის მიერ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მოშლა** და მისი ფუნქციის გადაცემა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისათვის. **ასევე გაუმართლებელი იყო საქართველოს სანიტარიული კოდექსის ძალადაკარგულად გამოცხადება,** საექიმო სპეციალობის ნუსხიდან ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის ამოღება და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ფუნქციის გადატანა ჯანდაცვის უწყებიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში. კარგად გვესმის, რომ ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებისგან დაცვა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების ფუნქციაა, მაგრამ ამ უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების დადგენა **ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის** სპეციალისტთა პრეროგატივა გახლავთ, **ჰიგიენა და ეპიდემიოლოგია** კი ოდითგანვე მედიცინის განუყოფელი ნაწილი იყო, არის და იქნება.

სექტორში მომუშავე ვიწრო სპეციალობის კადრები **საოჯახო მედიცინის** მიმართულებით გადაგვემზადებინა, რაშიც 1997 წელს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო დეპარტამენტი დაგვეხმარა.

კერძოდ, 1997-1999 წლებში საქართველოში შეიქმნა **ოჯახის ექიმებად** გადამზადებისა და **ოჯახის ექიმ-მასწავლებლებად** მომზადების სპეციალური პროგრამები. ბრიტანელმა ტრენერებმა მოამზადეს **ოჯახის ექიმების** 8 მასწავლებელი, რომლებმაც, თავის მხრივ, ბრიტანელი კოლეგების მეთვალყურეობის ქვეშ გადაამზადეს **47 ოჯახის ექიმი,** მათგან 8 საუკეთესო კი **ოჯახის ექიმთა მასწავლებლად** გადამზადდა. ამავე პერიოდში საქართველოში მოხდა **ოჯახის ექიმის** სპეციალობის ლეგალიზება, მომზადდა რეზიდენტურის სამწლიანი პროგრამა და და**პროგრამები,** რომელთა საერთო ღირებულებაც 30 მილიონ დოლარს აღწევდა. აქედან 5 მილიონი იყო მსოფლიო ბანკის კრედიტი, დანარჩენი კი უსასყიდლო დახმარება გახლდათ და ამხელა მასშტაბის ფინანსური მხარდაჭერა ჯანდაცვის არცერთ სხვა პრიორიტეტულ მიმართულებას არ ჰქონია.

მოკლედ, უცხოელი პარტნიორების დახმარებით, **სრულიად ახალი პირველადი ჯანდაცვის სისტემის** ჩამოყალიბება დავიწყეთ და მისი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსებიც გვქონდა მობილიზებული. სამწუხაროდ, 2007 წელს, პირველადი ჯანდაცვის შემდგომი განვითარების ნაცვლად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა, რომელიც საზოგადოებისთვის **„100 საავადმყოფოს გეგმის“** სახელითაა ცნობილი და რომლის ეგიდი**ეროვნული პოლიტიკის“** ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა. დიახ, **პირველადი ჯანდაცვის განვითარების პრინციპები** დეტალურად იყო გაწერილი **„საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში“,** რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ სანაგვეზე გადააგდო, ხოლო 2015 წელს „გლობალური ალიანსთან“ დაწყებულმა თანამშრომლობამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო.

არადა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა და ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ეფექტური ხარჯვა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ **პირველადი ჯანდაცვის** გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული.



*მარცხნიდან მარჯვნივ:* **რამაზ ურუშაძე, ამირან გამყრელიძე, თენგიზ ცერცვაძე, ეთერ ქემერტელიძე, თამარ დეკანოსიძე, ავთანდილ ჯორბენაძე, ედუარდ შევარდნაძე**

# ჯანდაცვის ახალი სისტემა!

## პირველადი ჯანდაცვისა და საოჯახო მედიცინის რეფორმა

**— საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პირველად სამედიცინო მომსახურებასა და ე.წ. ოჯახის ექიმის ინსტიტუტს... რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში, როცა ჯანდაცვის სისტემის მასშტაბურ რეორგანიზაციას შეუდექით?**

— ნებისმიერ ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის მთავარი მიზანია, მიაღწიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ისეთ დონეს, რომელიც სოციალურად და ეკონომიკურად ნაყოფიერი ცხოვრების საშუალებას იძლევა, ამ მიზნის მიღწევის ძირითად საშუალებას კი სწორედ **პირველადი ჯანდაცვა** წარმოადგენს.

საბჭოთა ჯანდაცვის სისტემა, რომელიც **ე.წ. სემაშკოს მოდელზე** იყო დაფუძნებული, პირველად ჯანდაცვას უდიდეს მნიშვნელობას კი ანიჭებდა, მაგრამ, ძირითადად, მაინც ჰოსპიტალური სექტორის განვითარებაზე იყო ორიენტირებული. ეს გახლდათ **პირველადი ჯანდაცვის** პოლიკლინიკური სისტემა, რომელშიც სამედიცინო მომსახურების მიწოდება უბნის თერაპევტს, პედიატრსა და გინეკოლოგს შორის იყო განაწილებული. ექიმები სახელმწიფოს მიერ იყვნენ დაქირავებული და მათთვის დადგენილი უბნის მოსახლეობას ემსახურებოდნენ, **პაციენტს კი ექიმის არჩევის უფლება არ ჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში, იძულებული იყო, მხოლოდ იმ ექიმისათვის მიემართა, რომელიც მის საცხოვრებელ უბანს ემსახურებოდა.**

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში **„სემაშკოს მოდელი“,** თავისი სიძვირისა და არაეფექტურობის გამო, კოლაფსის პირას აღმოჩნდა. ამიტომაც ქართული ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში გადავწყვიტეთ, **პირველადი ჯანდაცვა** განვითარებულ ქვეყნებში კარგად აპრობირებული საოჯახო მედიცინის პრინციპებზე გადაგვეყვანა.

**— ფინანსურ სახსრებზე რომ არაფერი ვთქვათ, რამდენად არსებობდა მაშინდელ საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარებისათვის საჭირო საკადრო რესურსი?**

— უპირველეს ყოვლისა, სწორედ საკადრო პრობლემებს წავაწყდით, რადგან არსებული პერსონალის განათლების დონე და უნარ-ჩვევები აშკარად არ იყო საკმარისი **საოჯახო მედიცინის** პრინციპებზე გადასასვლელად. შესაბამისად, აუცილებელი გახდა, **პირველადი ჯანდაცვის** იწყო **ოჯახის ექიმთა** სერტიფიცირების პროცესი.

**პირველადი ჯანდაცვის საოჯახო მედიცინის პრინციპებზე გადაყვანა** საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იყო, რომელიც მნიშვნელოვან ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსს მოითხოვდა. ბუნებრივია, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა პოლიკლინიკისა და სოფლის ამბულატორიის **საოჯახო მედიცინის** ცენტრებად გარდაქმნა ერთ-ორ წელიწადში ვერ მოხდებოდა, არადა, **პირველადი ჯანდაცვითი** მომსახურების გაუმჯობესება განსაკუთრებით სწორედ სოფლის მოსახლეობისათვის იყო საჭირო. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ **„სოფლის მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“,** რომელიც 2000 წლიდან ამოქმედდა და რომლის ფარგლებშიც დაიწყო საექიმო ბრიგადების დაფინანსება სოფლის ამბულატორიებში. ასეთ ბრიგადებში **ექიმების ხელფასი 100-135 ლარს შეადგენდა,** რაც იმ დროისათვის საკმაოდ მისაღები ანაზღაურება იყო.

**— ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებას, ალბათ, უცხოელი დონორების ფინანსური დახმარების გარეშე ვერ შეძლებდით...**

— დიახ, საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო **მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტისა და აშშ-ის ჯანდაცვის საერთაშორისო კავშირის** თაც რეგიონებში პრივატიზებულ საავადმყოფოებთან ერთად ინვესტორის საკუთრებაში გადადიოდა იქ არსებული პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაც. ბუნებრივია, კერძო მესაკუთრისთვის უფრო მომგებიანი იყო, მოსახლეობისათვის **შედარებით იაფი პირველადი ჯანდაცვის მაგივრად, ძვირადღირებული ჰოსპიტალური სერვისები** მიეწოდებინა, რამაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სერიოზული უკუსვლა განაპირობა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც **კოვიდპანდემიის პერიოდში შექმნილი უამრავი პრობლემა,** რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს და **თანამედროვე პირველადი ჯანდაცვის სისტემის** გარეშე ვერ მოგვარდება.

**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პირველადი ჯანდაცვის განვითარებისათვის არაფერი გააკეთა?**

— ჩემთვის, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა გაუგებარია, რა საჭირო იყო 2015 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კონტრაქტის გაფორმება საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ ,,გლობალურ ალიანსთან“, რომელიც **„პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის გეგმის შემუშავებას“** ითვალისწინებდა? გაცილებით მარტივი და იაფი იქნებოდა, საქართველოს მთავრობას განეხორციელებინა **პირველადი ჯანდაცვის განვითარების გეგმა,** რომელიც თავის დროზე ჩვენ მიერ შემუშავებული და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწონებული დოკუმენტის — **„საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის**

> **„სრულიად გაუგებარი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის მიერ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მოშლა. ასევე გაუმართლებელი იყო საქართველოს სანიტარიული კოდექსის ძალადაკარგულად გამოცხადება!“**

## ფარმაცევტული სფეროსა და წამალპოლიტიკის რეფორმა

**— როცა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია დაიწყეთ, როგორ მდგომარეობაში იყო ფარმაცევტული სფერო და რამდენად მიუწვდებოდა ხელი საქართველოს მოსახლეობას თუნდაც პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე?**

— 1991-1993 წლებში, ღრმა ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქართველოში **მედიკამენტებისა და სამედიცინო მოხმარების საგნების მწვავე დეფიციტი აღინიშნებოდა, რამაც ველური და არარეგულირებადი ფარმაცევტული ბაზრის ჩამოყალიბება გამოიწვია.** ისედაც შეჭირვებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ვადაგასული, უვარგისი, ფალსიფიცირებული მედიკამენტების მავნე ზემოქმედება. შესაბამისად, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად **წამალპოლიტიკის რეფორმა** დავისახეთ.

განსაკუთრებით საყურადღებო ცვლილებები განხორციელდა მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების სახელმწიფო სისტემაში. კერძოდ, ძველი მონოპოლიური სტრუქტურა — **მთავარი სააფთიაქო სამმართველო** გაუქმდა. მკვეთრად გაიმიჯნა სამკურნალო საშუალებათა შემოტანისა და ვაჭრობის ფუნქციები, მომზადდა **ფარმაცევტულ დაწესებულებათა ლიცენზირების** ახალი წესები და პირობები, აფთიაქები ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში გადავიდა და მოგვიანებით მათი სრული პრივატიზება მოხდა.

გარდა ამისა, ჩამოყალიბდა საქართველოში მანამდე არარსებული, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ისეთი სტრუქტურები, როგორიც არის **ფარმაკოპეის სახელმწიფო კომიტეტი, წამლის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია და ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვაზე კონტ-**

*გაგრძელება 26-ე გვერდზე*

დასაწყისი 24-ე გვერდზე

# ავთანდილ ჯორბენაძე:
# ასე იქმნებოდა

**როლის რესპუბლიკური ინსპექცია.**

ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ფარმაცევტული პრეპარატებისა და სამედიცინო მოხმარების საგნების იმპორტის გათავისუფლება საბაჟო და საბიუჯეტო გადასახადებისაგან, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო არაპირდაპირი ფორმით ახდენდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებითა და იმპორტული სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფის სუბსიდირებას, რამაც მოქალაქეებს მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათი მისცა.

1997 წლის 17 აპრილს პარლამენტმა მიიღო კანონი **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“,** რომლის მიხედვითაც სახელმწიფო პასუხისმგებელი გახდა მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წამლების ხელმისაწვდომობაზე, სამკურნალო საშუალებათა ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე და წამლების, ვაქცინების, შრატებისა და ეპიდსაწინაალმდეგო საშუალებების სავალდებულო ასორტიმენტის მარაგის შექმნაზე.

და კიდევ, 1998 წელს მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით საქართველოში თანამედროვე დონეზე აღჭურვილი **წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია** ამუშავდა.

**— ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მონოპოლიები და მედიკამენტების მაღალი ფასები საქართველოში დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება... რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ ამ მიმართულებით?**

— ალბათ, ძნელად მოიძებნება კანონი, რომელშიც მისი მიღებიდან 25 წლის განმავლობაში იმდენი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი, რამდენიც კანონში **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.** შედეგად **2010 წლისათვის საქართველოში თითქმის მთელ ფარმაცევტულ ბაზარს ოთხი მსხვილი კომპანია აკონტროლებდა. ისინი არამხოლოდ ფარმაცევტულ წარმოებასა და საბითუმო ბაზებს, არამედ სააფთიაქო ქსელებსაც ფლობდნენ და წამლის ფასებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აყალიბებდნენ. უფრო მეტიც, ეს კომპანიები საავადმყოფოთა პრივატიზების პროცესშიც აქტიურად ჩაერთნენ და მათ საკუთრებაში არსებულ სამკურნალო დაწესებულებებში მხოლოდ თავიანთი მიერ წარმოებულ ან იმპორტირებულ პრეპარატებს მოიხმარდნენ.**

ყოველივე ამის გამო საქართველოში მედიკამენტების ფასები უზომოდ გაიბერა და 2020 წელს მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობაზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯების 62 პროცენტი შეადგინა.

მისასალმებელია, რომ 2022 წლის ბოლოს **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“** კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფო ვალდებულია, ბაზარზე არამხოლოდ **ხარისხიანი და უსაფრთხო წამლის** არსებობა, არამედ მასზე ხელმისაწვდომობაც უზრუნველყოს. ამასთან, კანონში შეტანილი ცვლილებებით, **მედიკამენტებზე ზღვრული ფასები წესდება,** ხოლო დამრღვევთათვის მკაცრი სანქციებია გათვალისწინებული.

მედიკამენტებზე ფასების ზრდის თავიდან ასაცილებლად და მათზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, რომ **ფარმაცევტული პრეპარატებისა და სამედიცინო მოხმარების საგანთა წარმოება, იმპორტი და დისტრიბუცია სააფთიაქო ქსელებისაგან გამოცალკევდეს.** ვფიქრობ, წამალპოლიტიკის მიმართულებით ხელისუფლების შემდგომი ქმედება სწორედ ეს უნდა იყოს.

## სამედიცინო ობიექტების პრივატიზება

**— ცნობილი ამბავია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში პრივატიზაციის პროცესმა, ფაქტობრივად, სახელმწიფო ქონების დატაცების სახე მიიღო. საინტერესოა, როგორ წარიმართა პრივატიზაციის პროცესი ჯანდაცვის სისტემაში და რამდენად დადებითად ან უარყოფითად აისახა იგი სამედიცინო სფეროს ფუნქციონირებაზე?**

— 1994 წლის დასაწყისში საქართველოში ფუნქციონირებდა 421 სტაციონარული და 1357 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, რომელთა 80 პროცენტი ამორტიზებულ შენობა-ნაგებობებში იყო განთავსებული, 90 პროცენტს კი სისტემატური წყალმომარაგება და გათბობა არ გააჩნდა. „სიმენსის“ ფირმის მიერ 1995-1996 წლებში ჩატარებული კვლევის თანახმად, **სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვილობის 97 პროცენტი ამორტიზებული გახლდათ, თითქმის განადგურებული იყო სანიტარიული ავტოტრანსპორტი,** რომლის ექსპლუატაციაც სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის მწვავე დეფიციტის გამო ფერხდებოდა.

შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენდა სისტემის განთავისუფლება სახელმწიფო მართვის ადმინისტრაციული ფორმებისაგან, ამის ერთ-ერთი გზა კი ჭარბი ინფრასტრუქტურის **ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია** იყო. ამ პროცესის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, 1995 წლის 30 ივნისს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება **„საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების პრივატიზების შესახებ“.**



ავთანდილ ჯორბენაძე ვაშინგტონში. 1997 წელი

1998-1999 წლებში განხორციელდა ჯერ — აფთიაქების, ხოლო შემდეგ სტომატოლოგიური დაწესებულებების სრული პრივატიზება. **სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი და წამლებისაგან დაცარიელებული აფთიაქების პრივატიზების წყალობით შესაძლებელი გახდა, ფარმაცევტული პრეპარატებითა და სამედიცინო მოხმარების საგნებით ვაჭრობა ბაზრობების დახლებიდან აფთიაქებში გადასულიყო,** რაც, ერთი მხრივ, მათი ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფდა, მეორე მხრივ კი, ლეგალური სამუშაო ადგილების შექმნას უწყობდა ხელს.

რაც შეეხება სტომატოლოგიურ პოლიკლინიკებსა და კაბინეტებს, მათმა პრივატიზებამ ხელი შეუწყო კერძო ინვესტიციების მოზიდვას თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად. შედეგად საქართველოში სტომატოლოგიური მომსახურების ხარისხი სწრაფად ამაღლდა, განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სტანდარტებს გაუტოლდა, უცხოელი პაციენტები მოიზიდა და წამყვანი როლი ითამაშა იმაში, რომ საქართველო, **სამედიცინო ტურიზმის** თვალსაზრისით, მიმზიდველ ქვეყნად გადაქცეულიყო.

აღსანიშნავია, რომ **სამედიცინო ობიექტების პრივატიზების პროცესს** მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდმა, რომელიც საქართველოსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროექტის ეგიდით იქნა დაარსებული. სწორედ აღნიშნული ფონდის დახმარებით მოხერხდა, რომ საავადმყოფოების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო. კერძოდ, თუ 1991 წელს ქვეყანაში 390 საავადმყოფო არსებობდა, 2003 წლისათვის მათი რაოდენობა — 229-მდე, ხოლო საწოლთა ფონდი 55 190-დან და 18 151-მდე შემცირდა.

შემუშავებული გვქონდა **ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაციის ათწლიანი სტრატეგიული გეგმა,** რომლის მიხედვითაც, 2010 წლისათვის საწოლთა ფონდი 13 000-მდე უნდა შემცირებულიყო, ხოლო პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, რომელთა საპროგნოზო ოდენობა 56 მილიონ დოლარს შეადგენდა, დარჩენილი საავადმყოფოების სრულ რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა.

**— და რატომ ვერ მოხერხდა ამის გაკეთება?**

— **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ მოსულმა მთავრობამ საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის საქმიანობა, პრაქტიკულად, შეაჩერა, ხოლო 2007 წელს დაამტკიცა **ე.წ. 100 საავადმყოფოს გეგმა,** რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა საავადმყოფოს პრივატიზაციას პირდაპირი მიყიდვის წესით. კერძო ინვესტორებს ვალდებულება დაეკისრათ, პრივატიზებული საავადმყოფოებისათვის პროფილი, მინიმუმ, 7 წლის განმავლობაში შეენარჩუნებინათ, შემდეგ კი უფლება ეძლეოდათ, საავადმყოფოების შენობები და ტერიტორიები სხვა დანიშნულებით გამოეყენებინათ.

თუმცა, დაგეგმილი რეფორმა ვერ განხორციელდა, რადგან კერძო ინვესტორები საქართველოს რეგიონებში არსებული საავადმყოფოების პრივატიზებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ. ამის გამო მთავრობამ 2010 წელს **ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალურ გეგმაში** ცვლილებები შეიტანა და კერძო სადაზღვევო კომპანიები დაავალდებულა, მათთვის განსაზღვრულ რეგიონებში 2011 წლის ბოლომდე ახალი საავადმყოფოები აეშენებინათ.

ამ **გაუაზრებელი გადაწყვეტილების** გამო, თითო მუნიციპალიტეტში თითო სადაზღვევო კომპანია იყო წარმოდგენილი, რამაც **სადაზღვევო ბაზარზე კონკურენტული გარემო მოკლა,** ხოლო ცალკეული სადაზღვევო კომპანიები **„კანონიერ“ მონოპოლისტებად** აქცია.

გარდა ამისა, დაზღვეულ მოქალაქეს არამხოლოდ სადაზღვევო კომპანიის, არამედ სასურველი სამედიცინო ორგანიზაციის არჩევის უფლებაც ჩამოერთვა და იძულებული გახდა, შემოფარგლულიყო მხოლოდ მის რაიონში მოქმედი სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით, რომელსაც ეს კომპანია თავისივე საკუთრებაში არსებულ საავადმყოფოში განახორციელებდა. ხაზგასასმელია, რომ ამით უხეშად დაირღვა **„პაციენტის უფლებების შესახებ“** კანონის მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც, **„პაციენტს უფლება აქვს, აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი“.**

**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ თუ გადადგა რაიმე ნაბიჯები ამ ვითარების გამოსასწორებლად?**

— **„ქართულმა ოცნებამ“** სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვაში სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა გააუქმა და მათ ნაცვლად ეს ფუნქცია სოციალური მომსახურების სააგენტოს დააკისრა, მაგრამ საავადმყოფოების ოპტიმიზაციის პროცესი მაინც შეფერხდა. მეტიც, **2012-2018 წლებში გაიზარდა ისეთი მცირე საწოლფონდიანი საავადმყოფოების რაოდენობა, რომელთა დაფინანსების ძირითად წყაროს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა წარმოადგენს.**

კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, საქართველოში საავადმყოფოების რაოდენობა 229-დან 272-მდე გაიზარდა, თუმცა, ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში ისე იქმნება, რომ **მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებები გათვალისწინებული არ არის.** ამასთან, საავადმყოფოთა ზრდის ფონზე, არათანაბარია მათი სიმძლავრე და საწოლფონდის დატვირთვა, რაც დღეს მხოლოდ **47 პროცენტს** უტოლდება, არადა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რენტაბელობის მაჩვენებელი **80 პროცენტი** უნდა იყოს.

**— კონკრეტულად, მაინც რატომ ახდენს უარყოფით გავლენას ჯანდაცვის სექტორის განვითარებაზე ბევრი საავადმყოფოსა და აუთვისებელი საწოლების არსებობა?**

— საწოლების არასათანადო დატვირთვა მომსახურების ხარჯებს ზრდის, ხარისხს კი ამცირებს, რადგან უარყოფით გავლენას ახდენს დაუტვირთავი მედპერსონალის კვალიფიკაციაზე. ამასთანავე, **მცირე საავადმყოფოებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, განვითარდნენ და ინვესტიციები ჩადონ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო აღჭურვილობაში.** საავადმყოფოების სიჭარბე ზრდის ადმინისტრაციულ, კომუნალურ და სხვა სახის ხარჯებსაც, რაც სამედიცინო მომსახურების საერთო დანახარჯებზე აისახება.

**სამედიცინო დაწესებულებათა პრივატიზების** დაწყებისას მიმაჩნდა და დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ წარმატების გასაღები საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე *(სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო, არამომგებიანი)* სამედიცინო ორგანიზაციების არსებობაშია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია **კერძო სამედიცინო სექტორისა და სახელმწიფოს პარტნიორობის განვითარება,** რაც კონკურენციის გაზრდას შეუწყობს ხელს და პაციენტს საშუალებას მისცემს, აირჩიოს მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულება. გარდა ამისა, **გაიზრდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი და შემცირდება ჯანდაცვის ხარჯები.**

## სამედიცინო დაწესებულებებისა და პერსონალის აკრედიტაცია-ლიცენზირება

— ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რისთვისაც სახელმწიფოს ხელში ყველაზე მძლავრი ბერკეტი **სამედიცინო დაწესებულებებისა და საექიმო საქმიანობის ლიცენზირება** გახლდათ. სწორედ ამ მიზნით, 1997-1999 წლებში გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმე ბრძანებულება და განისაზღვრა სამედიცინო საქმიანობის იმ სახეობათა ნუსხაც, რომლებიც ლიცენზირებას უნდა დაქვემდებარებოდა.

უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელთა დიპლომიან კურსდამთავრებულებს **დამოუკიდებელი პრაქტიკული საექიმო საქმიანობის უფლება** ეძლეოდათ სწავლების მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო სალიცენზიო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. დიპლომირებული მედიკოსი, რომელიც სამეტაპიან გამოცდას წარმატებით ჩააბარებდა, საექიმო საქმიანობის უვადო ლიცენზიასა და შესაბამისი სპეციალობის 5-წლიან სახელმწიფო სერტიფიკატს იღებდა, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ ხელახალ სერტიფიკატს მოიპოვებდა იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახალი პროფესიული სტანდარტების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების ათვისებაზე იზრუნებდა.

1998 წელს დაიწყო მეან-გინეკოლოგთა სერტიფიცირება, 1999 წელს ამ პროცესში პედიატრები, ქირურგები, თერაპევტები და ჰიგიენისტები ჩაერთნენ, ხოლო 2000 წლიდან — დანარჩენი სპეციალობის ექიმები.

**— როგორ და რა კრიტერიუმებით ხდება სა-**

**„ამგვარი ვითარების გაგრძელების შემთხვევაში, 2050 წლისათვის საქართველოში შობადობა უკიდურესად შემცირდება და ერი სრული დეპოპულაციის საშიშროების ქვეშ აღმოჩნდება!“**

# ჯანდაცვის ახალი სისტემა!



ავთანდილ ჯორბენაძე და ამირან გამყრელიძე პანკისის ხეობაში. 2002 წელი

**მედიცინო დაწესებულებებისა და პერსონალის აკრედიტაცია-ლიცენზირება დღევანდელ საქართველოში?**

— 2004 წელს **„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ ერთობ პოპულისტური გადაწყვეტილება მიიღო** და ექიმთა რესერტიფიცირების პროცესი გააუქმა, ცალკეულ სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მიმნიჭებელი სერტიფიკატი კი უვადო გახადა. ამ ნაბიჯს საფუძვლად დაედო აბსოლუტურად მცდარი მოსაზრება, თითქოს სამედიცინო ბაზარი თვითრეგულირების მექანიზმს უნდა დაყრდნობოდა, ხოლო სამედიცინო პერსონალს თვითგანვითარების პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელა.

**„ნაციონალური მოძრაობის“** მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა იურიდიული პირების მიერ სამედიცინო საქმიანობის უფლების მოპოვების წესიც. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის ლიცენზია შეიცვალა სანებართვო მოწმობით, რომელიც სავალდებულო გახდა არა ყველა ტიპის სამედიცინო დაწესებულებისათვის, არამედ მხოლოდ საავადმყოფოებისა და იმ ტიპის სტომატოლოგიური კლინიკებისათვის, რომლებიც რენტგენოლოგიურ გამოკვლევებს აწარმოებდნენ. შედეგად, ამბულატორიული ტიპის სამედიცინო საქმიანობა არანაირ ნებართვას არ საჭიროებს.

**ამ გაუაზრებელი და გაუმართლებელი ცვლილებებით სახელმწიფომ, ფაქტობრივად, უარი თქვა ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციაზე, როგორიც ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაა.**

შედეგად, დღეს საქართველოში, ყველა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნისაგან განსხვავებით, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობა არა სავალდებულო, არამედ ნებაყოფლობითია, დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი კი უვადოდ გაიცემა ისე, რომ მასზე არ არის მიბმული შემდგომი პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კრიტერიუმები. არადა, **უწყვეტ სამედიცინო განათლებას პირდაპირი კავშირი აქვს პაციენტის უსაფრთხოებასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხთან, რის გამოც ის სავალდებულო უნდა იყოს.**

საქართველო ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა, ალბათ, ევროკავშირის წევრიც გახდება და მრავალ სხვა პარამეტრთან ერთად, **სამედიცინო დაწესებულებათა აკრედიტაცია-ლიცენზირებისა და პერსონალის სერტიფიცირების სისტემებიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს.**

## სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების რეფორმა

**— რა პრობლემების წინაშე იდგა საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლება იმ დროისათვის, როცა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია დაიწყეთ?**

— ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის დაწყებამდე **საქართველოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში საგანგაშო მდგომარეობა იყო შექმნილი,** რისი ძირითადი მიზეზიც ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სასწავლებლებისა და ფაკულტეტების გაუმართლებელი მრავალრიცხოვნობა გახლდათ.

ექიმთა საერთო რაოდენობის, მათ შორის, ვიწრო სპეციალისტების სიჭარბეს სამედიცინო განათლების საბჭოთა სისტემაც უწყობდა ხელს, თუმცა, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების კვალდაკვალ, ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა და უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა დებულება **„საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“,** 1996 წლისათვის ქვეყანაში გაჩნდა სამედიცინო პროფილის 58 უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც 15 000-მდე სტუდენტი სწავლობდა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო უმაღლესი სამედიცინო განათლების ოპტიმიზაცია, რასაც საფუძველი დაედო საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1996 წლის 11 ივნისს გამოცემული ბრძანებულებით, რომლის თანახმადაც, **საქართველოს ტერიტორიაზე ახალი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების, ფაკულტეტებისა და სექტორების გახსნა დროებით აიკრძალა.** ამასთანავე, დაიწყო სახელმწიფოს მიერ მანამდე ლიცენზირებული და რეგისტრირებული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების, ფაკულტეტებისა და სექტორების ატესტაცია-აკრედიტაციის პროცესი; უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები ორეტაპიან და სამეტაპიან სასწავლებლებად დაიყო; სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა პროფესიული დონის ასამაღლებლად დაიწყო მათი მომზადება ზოგად და დარგობრივ რეზიდენტურებში; მოხდა უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის თანმიმდევრული ლიმიტირება.

ყველაფერთან ერთად, შემუშავებული იქნა **სამედიცინო განათლების განვითარების სახელმწიფო პროგრამა,** რომელიც მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მთავრობის ძირითად სამოქმედო დოკუმენტს წარმოადგენდა. ადგილობრივმა სპეციალისტებმა და უცხოელმა ექსპერტებმა საშუალო და უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისათვის მოამზადეს საგანმანათლებლო სტანდარტები და რეზიდენტურის პროგრამები ოჯახის ექიმის, შინაგანი მედიცინის, კრიტიკული მედიცინის, ინფექციური სნეულებების, პედიატრიის, ნევროლოგიის, ქირურგიის, ტრავმატოლოგია-ორთოპედიის, მეანობა-გინეკოლოგიის, რადიოლოგიის, ფსიქიატრიისა და ფთიზიატრიის სპეციალობებში.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ **1999 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ რეზიდენტურის პროგრამებით ექიმთა მომზადების დაფინანსება დაიწყო**. გარდა ამისა, სასწავლო პროცესისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს — ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფო, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი გადაეცა.

**— სამედიცინო სისტემის გამართული და ხარისხიანი ფუნქციონირებისათვის არამხოლოდ მაღალკვალიფიციური ექიმები, არამედ პროფესიონალი ექთნებიც არის საჭირო. ამ მიმართულებით რა ნაბიჯები გადაიდგა?**

— საბჭოთა სისტემის პირობებში, **ექთნებს** ნაკლები კვალიფიკაცია ჰქონდათ და, ძირითადად, ექიმთა დამხმარეების ფუნქციას ასრულებდნენ, არადა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, **საექთნო საქმე** წარმოადგენს დამოუკიდებელ პროფესიას, რომელიც ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, უზრუნველყოფს ავადმყოფის მოვლას და ზრუნავს მის გაჯანსაღებაზე.

საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, **ექთნის** ფუნქციები გაცილებით ვიწრო იყო, ხოლო პროფესიული დონე — გაცილებით დაბალი, რის გამოსწორებაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-ის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსმა, რომელმაც ორგანიზება გაუწია ქართველი **ექთნების** სწავლებას უცხოეთის **საექთნო სკოლებში** და ხელი შეუწყო საქართველოს **ექთანთა ასოციაციის** ჩამოყალიბებას.

1998 წლიდან ჯანდაცვის მართვის ნაციონალურმა ცენტრმა მუშაობა დაიწყო **ექთნების** ახალი პროფესიული სტანდარტების შექმნაზე, სამედიცინო დაწესებულებათა მთავარი და უფროსი **ექთნების** უფლება-მოვალეობების გაზრდასა და **საექთნო საქმის** ორგანიზებისა და მართვის სფეროს გაფართოებაზე. ცენტრის ბაზაზე ახალი ტიპის **ხელმძღვანელი ექთნების** მოსამზადებლად ამოქმედდა **ლიდერ ექთანთა,** ექთან-ნეონატოლოგთა და ბებიაქალთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ზოგადი პრაქტიკის **ექთნებად** გადამზადების კურსები, ასევე სხვა უწყვეტი **საექთნო განათლების** პროგრამები.

საერთო ჯამში, პროფესიული განათლების სისტემის შეცვლამ მოგვცა სახელმწიფო მექანიზმი, რომლითაც ჯანდაცვის ბაზრისათვის კადრების მიწოდებას ვარეგულირებდით. ქვეყანაში ექიმსპეციალისტებზე არსებული მოთხოვნის მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტრო რეზიდენტურაში ადგილების რაოდენობას განსაზღვრავდა და რეზიდენტებს ბიუჯეტიდან აფინანსებდა.

**„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ 2005 წლიდან რეზიდენტურის სახელმწიფო დაფინანსება შეწყვიტა** და სწავლების საფასურის გადახდა თავად რეზიდენტებს დააკისრა, რაც დასავლეთის არცერთ ქვეყანაში არ ხდება. მეტიც, რეზიდენტებს, როგორც წესი, ხელფასს უხდიან, რადგან ისინი სამედიცინო მომსახურების მიწოდების სფეროში აქტიურად არიან ჩართული.

**— ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ამ კუთხით რამე შეიცვალა?**

— 2015 წლიდან სახელმწიფომ ზოგიერთ დეფიციტურ სპეციალობაში რეზიდენტების მომზადების დაფინანსება დაიწყო, მაგრამ მათი რაოდენობა მხოლოდ მაღალმთიანი და ე.წ. საზღვრისპირა რაიონებისათვის აუცილებელი სპეციალისტებით შემოიფარგლება.

თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ **საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემას მნიშვნელოვანი რეფორმები სჭირდება,** რათა ექიმების ახალი ნაკადები ქვეყნის საჭიროების შესაბამისად დაბალანსდეს. აგრეთვე მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი **ექთნების** საბაკალავრო განათლების პოპულარიზაციას.

**— ჯანდაცვის ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, რა ნაბიჯები გადაიდგა სამედიცინო მეცნიერების განვითარებისათვის?**

— **სამედიცინო მეცნიერების განვითარება** ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახლდათ, რადგან თეორიულ თუ კლინიკურ მედიცინაში შესაბამისი კვლევებისა და მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე ყოველგვარი პროგრესი გამორიცხულია.

1995 წლისათვის საქართველოში 31 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მასთან გათანაბრებული დაწესებულება ფუნქციონირებდა, სადაც 5824 მეცნიერ-თანამშრომელი მუშაობდა, თუმცა, მორალურად და მატერიალურად მოძველებული აღჭურვილობის გამო წარმოუდგენელი გახლდათ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმართულიყო.

**სამედიცინო მეცნიერების რეფორმირებისათვის** გატარებულ ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საეტაპო გახლდათ ამერიკის ჯანმრთელების ნაციონალური ინსტიტუტების, ჯონ ფოგრატის საერთაშორისო ცენტრის, სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი სიმპოზიუმი, რომელიც 1996 წლის ნოემბერში აშშ-ის ქალაქ ბეთესდაში ჩატარდა. ეს ღონისძიება საგანგებოდ მიეძღვნა საქართველოში სამედიცინო მეცნიერების პრიორიტეტების განსაზღვრასა და სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად თანამედროვე მეთოდების დანერგვას.

ერთი წლის შემდეგ, 1997 წლიდან, საქართველოში **სამედიცინო მეცნიერების დაფინანსების პრინციპი** მართლაც რადიკალურად შეიცვალა და შემოღებული იქნა გრანტული წესით დაფინანსების მეთოდი, რომელიც არა სამეცნიერო დაწესებულების, არამედ კონკრეტული მეცნიერული თემის დაფინანსებას გულისხმობდა, თემების შერჩევა კი კონკურსის საფუძველზე ხდებოდა. ფინანსური რესურსების სიმწირის მიუხედავად, 1997-1998 წლებში, სამედიცინო მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებ-

**„საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემას მნიშვნელოვანი რეფორმები სჭირდება!“**

გაგრძელება 28-ე გვერდზე

დასაწყისი 24-ე გვერდზე

ში, გრანტული პრინციპით 63 სამეცნიერო კვლევა დაფინანსდა.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა **საუნივერსიტეტო მეცნიერების** განვითარებაზე, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო კვლევები, ძირითადად, ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრსა და ჰიგიენის ეროვნულ ინსტიტუტში წარიმართებოდა. დანარჩენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მაღალი დონის სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებებად ჩამოყალიბდნენ, ზოგი მათგანი კი უნივერსიტეტებთან ინტეგრირდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო საქართველოში პირველი უწყება იყო, რომელმაც მეცნიერული კვლევების გრანტული წესით დაფინანსება დანერგა.** შედარებისათვის გეტყვით, რომ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც სამეცნიერო კვლევებს გრანტული წესით აფინანსებს, მხოლოდ 2010 წელს დაარსდა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება დავასკვნათ, რომ **საქართველოში არსებული მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ჯანდაცვის სამინისტროს გააზრებული პოლიტიკის შედეგი იყო.**

## სამედიცინო საინფორმაციო სამსახურის რეფორმა

— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე, სრულიად მოიშალა **სამედიცინო სტატისტიკის შეგროვებისა და დამუშავების სისტემა,** რომლის გარეშეც შეუძლებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და მისი გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 1995 წელს ჯანდაცვის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის ბაზაზე **სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი** შეიქმნა, რასაც მთელი რიგი კომპლექსური ნაბიჯებიც მოჰყვა და, საბოლოო ჯამში, ფაქტობრივად, ნულიდან შევქმენით **ახალი სამედიცინო საინფორმაციო სამსახური.** ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ და მისმა ევროპის რეგიონულმა ბიურომ, რომელთა მხარდაჭერითც ჯანდაცვის სამინისტრო გახდა პირველი უწყება, რომელმაც საკუთარი საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი სტატისტიკური მონაცემების ხარისხი უზრუნველყო.

**— საინტერესოა, როგორი იყო დემოგრაფიული სტატისტიკა დამოუკიდებლობის გზაზე ახალშემდგარ საქართველოში, რომელსაც პოლიტიკური და სამხედრო კატაკლიზმები დაატყდა თავს?**

— სწორედ **ახალი სამედიცინო საინფორმაციო სამსახურის** მიერ წარმოებულმა უტყუარმა სტატისტიკამ გვიკარნახა იმის აუცილებლობა, რომ 1998 წელს ჯანდაცვის სამინისტროში **დემოგრაფიის დეპარტამენტი** შეგვექმნა. იმ დროს საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა იყო, რაც ღრმა ეკონომიკური კრიზისით, უკიდურესი სიღატაკითა და გარედან თავსმოხვეული კონფლიქტებით იყო განპირობებული. მოსახლეობის რაოდენობის კლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ გაძლიერებული გარე მიგრაცია და შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება. **თუ 1980-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად 100 000-ზე მეტი ბავშვი იბადებოდა, 1997-1999 წლებში ეს რიცხვი დაახლოებით 47 000-მდე შემცირდა.** 1000 მოსახლეზე შობადობის ჯამობრივი მაჩვენებელი, რომელიც 1990 წელს 2,16 იყო, 1999 წლისათვის 1,44-მდე შემცირდა, რაც მჭიდროდ უკავშირდებოდა ქორწინებათა რიცხოვნობის შემცირებას. ამასთან, ოჯახის დაგეგმვის პროცესში სულ უფრო ფართოდ დამკვიდრდა ერთი ან ორი ბავშვის ყოლა, თანაც, პირველი ბავშვის დაბადების შემდგომ ოჯახი ცდილობდა, მეორე ბავშვის გაჩენა სამომავლოდ გადაედო.

ასეთ ვითარებაში, ჯანდაცვის სამინისტროში **დემოგრაფიის დეპარტამენტის** შექმნა, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დემოგრაფიის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. **დემოგრაფიის დეპარტამენტი** ფართო მუშაობას ეწეოდა სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და დემოგრაფიული განათლების ასამაღლებლად. მომზადდა **ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისიდან გამოყვანის რეკომენდაციები,** რომელიც დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებთან ერთად ახალგაზრდა ოჯახებისა და მათი გამრავლების მატერიალურ სტიმულირებასაც გულისხმობდა. თუმცა, იმ პეროიოდში საქართველოს ეკონომიკა 1998-1999 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან ჯერ კიდევ არ იყო გამოსული, რის გამოც სახელმწიფოს დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის აუცილებელი რესურსები არ გააჩნდა.

**— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დღევანდელი ეკონომიკა გასული საუკუნის 90-იანი წლებისას ბევრად აღემატება, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა. რითია ეს განპირობებული და რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ ვითარების გამოსასწორებლად?**

— დიახ, ეკონომიკური აღმავლობის მიუხედავად, **საქართველოში დეპოპულაციის პროცესი გრძელდება,** რაშიც გარკვეულ როლს ახალგაზრდა, შრომისუნარიანი მოქალაქეების გაზრდილი მიგრაცია თამაშობს, თუმცა, უმთავრესი მაინც ის ფაქტორია, რომ ამჟამად რეპროდუქტიულ ასაკში, ძირითადად, ის ქალები არიან, რომლებიც ქვეყანაში შობადობის ორჯერ შემცირების პერიოდში დაიბადნენ და, შესაბამისად, მათი რიცხვიც ორჯერ ნაკლებია. არადა, **ამგვარი ვითარების გაგრძელების შემთხვევაში, 2050 წლისათვის საქართველოში შობადობა უკიდურესად შემცირდება და ერი სრული დეპოპულაციის საშიშროების ქვეშ აღმოჩნდება.**

აღსანიშნავია ისიც, რომ **„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ 2004 წელს კიდევ ერთი გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა და ჯანდაცვის სამინისტროში არსებული დემოგრაფიის დეპარტამენტი გააუქმა.**

მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს **სრულყოფილი დემოგრაფიული პოლიტიკის შექმნა** და მისი განხორციელება, რაც ორიენტირებული იქნება შობადობის შემცირების პროცესის შეჩერებაზე, დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მკვეთრ გაუმჯობესებაზე, სკოლამდელი და სასკოლო განათლების თანამედროვე ევროპულ დონეზე აყვანასა და, რაც მთავარია, ახალგაზრდა ოჯახების შექმნისა და მათი გამრავლების სტიმულირებაზე.

**საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ეროვნულ იდეად უნდა იქცეს** და სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს გადაუდებელი ღონისძიებები, ადეკვატური სამართლებრივი და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით.

## საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკა

**— დღევანდელი გადასახედიდან რომ შევაფასოთ, რამდენად შეძლეთ, სისრულეში მოგვყვანათ და რეალობაში გაგეტარებინათ თქვენი მინისტრობისას შემუშავებული „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა“ და „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც 10-წლიან პერიოდზე იყო გათვლილი?**

— **ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა და მისი დანერგვის სტრატეგიული გეგმა** დარგის განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა იყო. გვსურდა, მისი საშუალებით ხორცი შეგვესხა ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის მოწოდებისათვის: *„საკუთარი ამოცანების ჩამოყალიბებისას დაეყრდენით დღევანდელი დღის რეალობას და ოცნებას ხვალინდელ დღეზე“.*

**ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის** მომზადებაში განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორი **ჯო ასვალი.** სწორედ მისი უშუალო მხარდაჭერით, 1997 წლის 12 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ქართველ მედიკოსებთან ერთად უცხოელი ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. კონფერენციაზე მომავალი პოლიტიკის გრძელვადიანი მიზნები და ერის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი პრიორიტეტები განისაზღვრა.

მოკლედ, უცხოელ პარტნიორებთან ერთად დიდი სამუშაო გავწიეთ და 2010 წლამდე **საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ძირითად პრიორიტეტებად დავსახეთ:**

- *დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;*
- *გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის შემცირება;*
- *ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის, გამოვლინებებისა და მკურნალობის გაუმჯობესება;*
- *ტრავმატიზმის შემცირება;*
- *გადამდები და სოციალურად საშიში დაავადებების შემცირება;*
- *ფსიქიკური ჯანმრთელობა;*
- *ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;*
- *ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა.*

**ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:**

- *ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეთა სოციალური და ინდივიდუალური უფლებების უზრუნველყოფა;*
- *ჯანდაცვის შესაძლებლობებში თანასწორუფლებიანობის მიღწევა მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, ასაკისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა;*
- *ადამიანის ჯანმრთელობისათვის მდგრადი უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება;*
- *ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად გამიზნულ ღონისძიებათა სტიმულირება (თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების შემცირება — განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის);*
- *მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლითა და ჯანმრთელი, მრავალფეროვანი საკვებით;*
- *საკვები კომპონენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პრევენცია;*
- *ჯანმრთელი კვების პროპაგანდა;*
- *მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა;*
- *ახალშობილთა და დედათა სიკვდილობის შემცირება;*
- *მოსახლეობის ავადობის შემცირება.*

**— იმდროინდელ ქართულ სახელმწიფოს გააჩნდა კი ფინანსური რესურსები ამხელა საქმისათვის?**

— ექსპერტული გაანგარიშებით, 10-წლიანი სტრატეგიული გეგმის საერთო ღირებულება 2,5 მილიარდ დოლარს აღემატებოდა, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული გრძელვადიანი პროგნოზის საფუძველზე კი სახელმწიფოს იმ პერიოდში მხოლოდ 1,78 მილიარდი დოლარის მობილიზება შეეძლო. ამდენად, იძულებული ვიყავით, გეგმის სრული განხორციელებისათვის აუცილებელი კიდევ 763 მილიონი დოლარი ქვეყნის გარეთ მოგვეძიებინა.

1999 წლის 28 სექტემბერს კოპენჰაგენში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს შტაბბინაში უპრეცედენტო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც **საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკისა და მისი განხორციელების ათწლიანი სტრატეგიული გეგმა** წარვადგინეთ. შეხვედრას ესწრებოდნენ ჯანდაცვის სისტემების განვითარებით დაინტერესებული საერთაშორისო და ბილატერალური დონორები, რომელთა უმრავლესობამ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა აღგვითქვა. შედეგმაც არ დააყოვნა და 2000 წლიდან დაპირებების პრაქტიკული ხორცშესხმა დაიწყო.

**— კერძოდ, რა გაკეთდა?**

— საგაზეთო ფორმატი ყველა პროექტზე საუბრის საშუალებას არ მოგვცემს, მაგრამ რამდენიმე მათგანს მაინც ჩამოვთვლი.

**ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროსა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2000-2003 წლებში ხორციელდებოდა შემდეგი პროექტები:**

- *პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების სტრატეგიის მხარდაჭერა;*
- *არაინფექციურ დაავადებათა მართვის პოტენციალის გაძლიერება;*
- *ინფექციურ დაავადებათა ზედამხედველობის გაუმჯობესება;*
- *ტუბერკულოზის, მალარიისა და იმუნიზაციის პროგრამების ურთიერთკავშირის განმტკიცების მხარდაჭერა;*
- *ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის დარგებში კანონმდებლობის გადასინჯვის მხარდაჭერა;*
- *ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა იძუ-*



ავთანდილ ჯორბენაძე და რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის მინისტრი ტატიანა დმიტრევა. 1999 წელი

# ავთანდილ ჯორბენაძე: ასე იქმნებოდა

**„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო გაუაზრებელი რადიკალური ცვლილებები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, რაც, პრაქტიკულად, მედიცინის ყველა დარგს შეეხო!“**



# ჯანდაცვის ახალი სისტემა!



ავთანდილ ჯორბენაძე და დავით თევზაძე კოდორის ხეობაში. 2002 წელი

ლებით ადგილნაცვალ პირთა ფსიქიკური სტატუსის გაუმჯობესების მიზნით;

● *თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა;*

● *ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა;*

● *ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის კომპონენტების გადასინჯვა თემატური სფეროების მიხედვით, განსაკუთრებული ფოკუსირებით სიღარიბის დაძლევაზე.*

**გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კავკასიის რეგიონის წარმომადგენლობასა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობდა 5-წლიანი (2000-2005) თანამშრომლობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა პროექტები:**

● *იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამა;*

● *დედათა და ბავშვთა ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;*

● *ნეონატოლოგებისა და ბებიაქალების გადამზადება;*

● *ძუძუთი კვების ხელშეწყობა;*

● *იოდის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა პრევენცია;*

● *რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკა;*

● *აივ/შიდსის პრევენცია;*

● *ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოს ინიციატივა;*

● *ახალგაზრდობისადმი კეთილგანწყობილი ცენტრების ჩამოყალიბება და რეგიონული ქსელის შექმნა.*

**შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი აფინანსებდა შემდეგ პროგრამებს:**

● *აივ ინფექცია/შიდსზე ეროვნული საპასუხო ზომების გაძლიერების მხარდაჭერა ეფექტიანი პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების გზით;*

● *მალარიის კონტროლი და პრევენცია საქართველოში.*

**ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო კავშირი (AIHA) 2000-2004 წლებში ახორციელებდა ხუთ პარტნიორულ პროგრამას:**

● ***ქუთაისი-ატლანტა (ჯორჯიის შტატი)*** *— ქალთა ჯანმრთელობისა და პირველადი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაარსდა ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი, დაინერგა უსაფრთხო დედობის სახელმწიფო პროგრამა და 32 000 ათასი მასწავლებლის სკრინინგის მუნიციპალური პროგრამა;*

● ***მცხეთა-მთიანეთი — მილუოკი (ვისკონსინის შტატი)*** *— პირველადი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, მცხეთაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და აღიჭურვა პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც საოჯახო მედიცინის ტრენინგცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა;*

● ***თბილისი-სკრენტონი (პენსილვანიის შტატი)*** *— ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში დაინერგა ჯანდაცვის მენეჯმენტის მოკლევადიანი კურსები სამედიცინო დაწესებულებათა ადმინისტრაციული პერსონალისათვის; ქუთაისში, ბათუმსა და თელავში გაიხსნა ცენტრის სასწავლო ფილიალები, რომლებსაც მიეწოდა შესაბამისი აღჭურვილობა.*

● ***თბილისი-მინეაპოლისი (მინესოტას შტატი)*** *— ინფექციურ დაავადებათა კონტროლის ფარგლებში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში აღიჭურვა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები, მოხდა მარაგების შეძენა და პერსონალის ტრენინგი ინფექციისადმი მგრძნობელობის ტესტირებისა და ეპიდემიის კვლევის საკითხებში; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მომზადდა ქართველ ეპიდემიოლოგთა პირველი კოჰორტა.*

● ***თბილისი-სან-ფრანცისკო (კალიფორნიის შტატი)*** *— სისხლის ბანკის პროგრამის ფარგლებში, ჯოენის სამედიცინო ცენტრში გაიხსნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სისხლის ბანკი, რომელმაც 2001 წლიდან დაიწყო დონორების მიღება და სისხლისა და მისი კომპონენტების დამზადება.*

*გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (GTZ) ახორციელებდა* **ფთიზიატრიული დახმარებისა და ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერას შემდეგი პროექტების მეშვეობით:**

● *ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის უზრუნველყოფა ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებითა და აღმოსავლეთ საქართველოს ტუბდაწესებულებათა ლაბორატორიების აღჭურვა;*

● *მიხეილ იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიის ცენტრის მედიკამენტებითა და ლაბორატორიული აღჭურვილობით უზრუნველყოფა.*

● *იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA) სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ახორციელებდა რეფერალური ჰოსპიტლების სამედიცინო აპარატურის გაუმჯობესების პროექტს, რომელიც გულისხმობდა აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის, მიხეილ იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოსა და გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით უზრუნველყოფას.*

● *საქართველოში თანამედროვე კარდიოლოგიისა და კარდიოქირურგიის განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება გულის იშემიურ დაავადებათა მკურნალობის ფარგლებში, ახორციელებდა ექიმებისა და ექთნების მომზადებას გერმანიაში ბად-კროცინგენის გულის ცენტრსა და სტამბოლის კოშუოლუს გულის ცენტრში, ასევე გერმანელი და თურქი სპეცილისტების სამუშაო ვიზიტებს საქართველოში და ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად კარდიოქირურგიული ოპერაციების ჩასატარებლად.*

**— როგორც ვიცი, თბილისში ლუგარის კვლევითი ცენტრის გახსნას, რითიც სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დღემდე იწონებენ თავს, საფუძველი ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში, თქვენი მინისტრობისას ჩაეყარა... როგორ და რატომ გადაწყდა საქართველოში ლუგარის ცენტრის გახსნა?**

— **ლუგარის ცენტრის** გახსნა საქართველოს ბიოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად განიხილებოდა. ჩვენს ქვეყანაში მის შექმნას განსაკუთრებით ლობირებდა ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი **რიჩარდ ლუგარი,** რომელიც 1998 წელს პირველად ჩამოვიდა თბილისში, პრეზიდენტ **ედუარდ შევარდნაძეს** შეხვდა და გადაწყდა ლაბორატორიის დაარსება.

იმის გათვალისწინებით, რომ **ლუგარის ცენტრი** ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, 2000 წელს, როცა უკვე სახელმწიფო მინისტრი ვიყავი, **რიჩარდ ლუგარსა** და ჩემ შორის შეხვედრაზე გადაწყდა, ლაბორატორია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში შესულიყო.

დღეისათვის **ლუგარის ცენტრი,** რომელიც მთლიანად აშშ-ის მთავრობის დაფინანსებით შეიქმნა, ბიოსამედიცინო და ბიოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა კავკასიის რეგიონის მასშტაბით. მას ბიოუსაფრთხოების მესამე დონე აქვს მინიჭებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ლაბორატორიაში, პრაქტიკულად, ყველა სახის მიკრობს იკვლევენ.

თქვენ ახსენეთ — ნაციონალური მოძრაობა **ლუგარის ცენტრის** გახსნით თავს იწონებსო... რეალურად, **„ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო გაუაზრებელი რადიკალური ცვლილებები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, რაც, პრაქტიკულად, მედიცინის ყველა დარგს შეეხო.** ამ ცვლილებების უმრავლესობას არანაირი მეცნიერული ან ეკონომიკური საფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ იმით გახლდათ მოტივირებული, რომ წინამორბედი ხელისუფლების მიერ გატარებული წარმატებული რეფორმების პოლიტიკური უარყოფა მომხდარიყო. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტიანი ექსპერტების მიერ მოწონებული **საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის** „სანაგვეზე" გადაგდება, არადა, ამ პოლიტიკის არცერთ პრიორიტეტულ მიმართულებას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის სფეროში მრავალწლიანი მოღვაწეობის, მათ შორის, მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება გიმაგრებთ ზურგს, რა იქნებოდა თქვენი მთავარი სათქმელი საქართველოს დღევანდელი მმართველებისა და, თუნდაც, კონკრეტულად, ჯანდაცვის სისტემის მესვეურებისათვის?**

— საქართველოს უახლოესი წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვის სფეროს განვითარებას სისტემური მიდგომა სჭირდება, რადგან ცალკეული მიმართულების ფრაგმენტულ რეფორმებს სასურველი შედეგის მოტანა არ შეუძლია. სისტემის სრულყოფისაკენ მიმართული ძალისხმევა თანმიმდევრულობას, უწყვეტობას, მემკვიდრეობითობას მოითხოვს და დაუშვებელია, პერმანენტულ რყევებს განიცდიდეს. **ქვეყანას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების გრძელვადიანი სტრატეგიული მიმართულებები და სამოქმედო გეგმა,** რაც ხელს შეუწყობს მის ეფექტიან და თანმიმდევრულ განვითარებას.

**როგორც დღევანდელი, ისე მომავალი პოლიტიკოსებისადმი ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება, ჯანმრთელობის დაცვის გრძელვადიანი პოლიტიკის განსაზღვრა ზეპარტიული კონსენსუსის თემად აქციონ. მთავრობების ცვლილებების მიუხედავად, სტრატეგიული კურსი კარდინალურად არ უნდა იცვლებოდეს და პოლიტიკური კონიუნქტურის გამო წინამორბედთა მიღწევების უარყოფა არ უნდა ხდებოდეს.**

საქართველოს მოქალაქეები იმსახურებენ მაღალი ხარისხის, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული.

## „როგორც დღევანდელი, ისე მომავალი პოლიტიკოსებისადმი ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება, ჯანმრთელობის დაცვის გრძელვადიანი პოლიტიკის განსაზღვრა ზეპარტიული კონსენსუსის თემად აქციონ!"

## ბოლოთქმა

***ავთანდილ ჯორბენაძე:*** *მინდა, უღრმესი პატივისცემა და სიყვარული გამოვხატო* ***ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემის*** *ჩამოყალიბებაში მონაწილე მედიკოსებისა და ყველა ადამიანის მიმართ, რომელთა შორის, ჩვენი თანამემამულეების გარდა, ბევრი უცხოელი ექსპერტიც იყო.* ***განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც, გასული საუკუნის 90-იანი წლების უდიდესი სირთულეების მიუხედავად, არ დაკარგეს უკეთესი მომავლის რწმენა. მათი ნდობა ყველაზე დიდი სტიმული იყო ჩემს მუშაობაში.***

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ლითონები

***— რატომ არის რკინა ყველაზე „მიწიერი“ ლითონი, რომელზეც ორიენტირებულია დედამიწის მაგნიტური ველიც და სამყაროში, სად არის, სავარაუდოდ, ის ადგილი, სადაც რკინის რაოდენობა აღემატება დედამიწაზე არსებულს? ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე რომელ პროცესში ვლინდება მარსის ენერგია, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად ზემოქმედებს? რკინის რომელი თვისება მიუთითებს სუნთქვის პროცესთან მის მსგავსებაზე? რომელი დაავადების დროს იყენებენ მეტეორიტული რკინისაგან დამზადებულ მედიკამენტებს და რა თვისებებს შეჰმატებს იგი ადამიანს? რა წერია ძველ ქართულ სამკურნალო კრებულში „კარაბადინი“ ამის შესახებ? კიდევ რა ადასტურებს რკინის კავშირს მიწასთან? რომელი ლითონები შეიძლება ჩაითვალოს პლანეტა მარსის თანამგზავრების — ფობოსისა და დეიმოსის ანალოგად? რაზე მიგვანიშნებს აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ძველი იტალიური ტომის ეტრუსკების ღმერთის სახელი და პლანეტა იუპიტერის შესაბამისი ლითონის თუთიის ლათინური დასახელების მსგავსება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი პლანეტებისა და მათი შესაბამისი ლითონების შესახებ. ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა მარსის და მისი შესაბამისი ლითონის რკინის მსგავს თვისებებზე ვსაუბრობდით. ამავდროულად, ცნობილია, რომ დედამიწის ქერქში რკინა გაცილებით აღემატება სხვა ლითონების შემცველობას. უფრო მეტიც, დედამიწაზე არსებული ქიმიური ელემენტებიდან რკინა ყველაზე მეტია.**

— დიახ! **ასტროლოგიასთან დაკავშირებული და მოხსენებული შვიდი ლითონიდან რკინა ყველაზე „მიწიერია“ და ყველაზე მეტად უკავშირდება მიწას. შედარებისთვის, ისეთი მეტალები, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, კალა დედამიწის ქერქში მცირე რაოდენობით (0,001%-ით) მოიპოვება და მათ დოქტორი შტაინერი „დედამიწის სტუმრებს“ უწოდებს. ეს მაშინ, როდესაც რკინის რაოდენობა 5-პროცენტზე მეტია.** რკინა ერთადერთი ლითონია, რომელიც მიწის შემადგენლობაში მყარად არის გამჯდარი. გარდა ამისა, **სწორედ რკინის საბადოებზეა ორიენტირებული დედამიწის მაგნიტური ველი.** სავარაუდოდ, სამყაროში ერთადერთი ადგილი არსებობს, სადაც რკინის რაოდენობა აღემატება დედამიწის წიაღში არსებულ მის რაოდენობას და **ეს პლანეტა მარსის ზედაპირია. მარსის ნიადაგში რკინის შემცველობა 14 პროცენტს შეადგენს. რკინის ოქსიდი დედამიწაზეც ანიჭებს წითელ ელფერს ზოგიერთ ნიადაგს, ხოლო მარსი მთლიანად ამ ფერითაა დაფარული.** მისი წითელი ფერი ომთან, სისხლთან ასოცირდება. ამგვარად, ეს პლანეტა რკინასთან თავისი კავშირის შესახებ დაუფარავად აცხადებს. ადამიანისთვის რკინა წმინდა მატერიალურ მიზნებს უკავშირდება. ის ესთეტიკურობის ეტალონად არ ითვლება, მაგრამ მისგანაა დამზადებული ის იარაღი, რომლითაც ადამიანები უმკლავდებიან ბუნებასაც და მტერსაც. მჭრელი თუ მჩხვლეტავი იარაღიც ხომ უხსოვარი დროიდან რკინისგან და შემდგომ ფოლადისგან მზადდებოდა. ნიშანდობლივია, რომ **ადამიანის სხეულში მარსის ცეცხლოვანი ენერგია მეტაბოლიზმის პროცესში ვლინდება.** ქსოვილებში, სადაც საკვები ენერგიად გარდაიქმნება, რკინა საკვანძო ადგილს იკავებს. სისხლი წითელი ფერისაა მასში არსებული ჰემოგლობინის ხარჯზე, რომელსაც სხეულში ჟანგბადის მოლეკულები გადააქვს და რომლის შემადგენლობაშიც რკინაა. ამ ჟანგბადის დახმარებით საკვების მარაგი საწვავად გარდაიქმნება. შემდგომ, ასევე იგივე რკინის შემცველი ჰემოგლობინი წვის შედეგად გამოყოფილ ნახშირორჟანგს შთანთქავს, სისხლს უფრო მოლურჯო შეფერილობას აძლევს და კვლავ ფილტვებში აბრუნებს. **ამ პროცესში, რომელიც ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს და არ წყდება, მუდმივად დაუღალავად ზემოქმედებს მარსის ენერგია.** მისი დახმარებით სისხლი რიტმულად ხდება ხან წითელი, ხან მოლურჯო. ასევე რიტმულად ხან — ჟანგბადის, ხან ნახშირორჟანგის გადამტანია, ხან კი ფილტვებიდან მოედინება ანდა — მისკენ. ამ მოძრაობის დროს ჰემოგლობინის მოლეკულა მუდმივად ფორმას იცვლის. **რკინას ერთი თვისებურება გააჩნია. მას ძალუძს ერთი ვალენტობიდან მეორეზე გადასვლა, რაც ამ მეტალის სუნთქვის პროცესთან მსგავსებაზე მიუთითებს.** თუ ადამიანის სისხლში რკინა არასაკმარისია, ანემია ვითარდება. ამ დაავადების ყველა სხვა მახასიათებელთან ერთად, ადამიანს აკლდება მარსისეული თვისებები — ძალა, გამბედაობა, ნებისყოფა. **ამ შემთხვევაში გამოიყენება მეტეორიტული რკინისაგან დამზადებული მედიკამენტები. ითვლება, რომ ასეთი რკინა ადამიანს შეჰმატებს სითამამეს და ანიჭებს ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვის სურვილსა და ძალას.** „კარაბადინში“ (სამკურნალო წიგნთა კრებული) წერია, რომ ამგვარი სენისგან განკურნებისათვის, სასიცოცხლო ძალების მოსამატებლად და ვაჟკაცური სულის გამომუშავებისთვის ადამიანმა ხშირად უნდა მიირთვას ჭინჭრისა და ისპანახისგან დამზადებული კერძები. დღეს უკვე ცნობილია, რომ აღნიშნული ბალახეული მცენარეები უხვად შეიცავენ რკინას და ორგანიზმში მის რაოდენობას ზრდიან. ნიშანდობლივია, რომ რკინა სულ რამდენიმე პროცენტი **ნახშირბადის** დამატებით ფოლადად გარდაიქმნება. ეს პროცესი კიდევ ერთხელ ადასტურებს მიწასთან რკინის კავშირს, რამეთუ ნახშირბადი წმინდა მიწიერი ელემენტია. იგი რკინას ფოლადად აქცევს და სიძლიერესა და ბზინვარებას ჰმატებს. მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდულ სისტემაში ერთსა და იმავე ჯგუფში რკინასთან ერთად კიდევ ორი მეტალია განლაგებული — **კობალტი და ნიკელი.** თითოეული მათგანი ფოლადის სხვადასხვა შენადნობის მისაღებად გამოიყენება. მათ თითქმის რკინის მსგავსი თვისებები გააჩნიათ. სამივე ფეიერვერკისთვის ფერად-ფერადი შუშხუნების დასამზადებლად გამოიყენება. მეცნიერი **ჰაუშკა** კი კობალტსა და ნიკელს რკინის ძმებს უწოდებს, რაც ალეგორიულად **პლანეტა მარსის** ორი თანამგზავრის — **ფობოსის და დეიმოსის** ანალოგად უნდა ჩაითვალოს.

**— გამარჯვების, წარმატებისა და იღბლიანობის მმართველ პლანეტა იუპიტერს რომელი ლითონი შეესაბამება?**

— ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ **თუთია** (ლათ. Zincum) **ერთადერთი ლითონია, რომელიც თავისი თვისებებით ნაკლებად გვაგონებს მის შესაბამის პლანეტა იუპიტერს. იუპიტერი,** მითოლოგიურად **ზევსი** უმთავრესი მეხთამტყორცნელი ღვთაებაა, ასტროლოგიაშიც ითვლება, რომ ჭექა-ქუხილსა და წვიმას სწორედ პლანეტა **იუპიტერი** განაგებს. ძველი წელთაღრიცხვით, ქრისტეშობამდე მე-8-1 საუკუნეებში, აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იტალიის ძველ ტომს **ეტრუსკებს** ჰყავდათ ღმერთი, რომელიც თავისი თვისებებით **იუპიტერს** ძალიან ჰგავდა და მას ერქვა „ცინსი“ ან „ცინია“, რაც ზუსტად არავინ იცის, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ ღმერთის სახელი უწოდეს ლათინურად **პლანეტა იუპიტერის** შესაბამის ლითონს — **ცინკუმი.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 18-24 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ხშირი გადაადგილებები და შეხვედრები დამღლელი, მაგრამ შედეგიანი და მომგებიანი იქნება. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს გადაწყვეტილებების მიღებაც. ორაზროვან სიტუაციაში სიდინჯე და განსჯის უნარი გამოავლინეთ, რათა კოლეგებთან და მეგობრებთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. სასიყვარულო სფეროში ცვლილება დიდხანს არ გასტანს, ემოციები გააკონტროლეთ და იმპულსურობაც დაიოკეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ენერგოპოტენციალის მატება შეგაძლებინებთ მომავლის უკეთ დანახვასა და გაანალიზებას. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება სტიმულს მოგცემთ კარიერული აღმასვლისთვის. კონტაქტების რაოდენობა გაიზრდება, რაც საშუალებას გაძლევთ, დროულად მიიღოთ საჭირო ინფორმაცია. ახლობლების პრობლემების მოგვარება დიდ დროს წაგართმევთ, ამიტომ სამუშაოს ნაწილის შესრულება სახლში მოგიწევთ. ეცადეთ, შეყვარებულთან უფრო გულახდილი იყოთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**კომფორტის უსაფრთხოებისა და მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნილება მოიმატებს. თუ არ იზარმაცებთ, შემოსავლის გაზრდას შეძლებთ და შესაძლოა, დამატებითი სამუშაო ადგილიც აღმოაჩინოთ. მიუხედავად ამისა, სწრაფ შემოსავალს ნუ დახარბდებით და ახლობლებთან ურთიერთობას პრაგმატულს ნუ გახდით. ძველი ოცნება შესაძლოა, ილუზიად მოგეჩვენოთ, რაც ხელს შეუწყობს ახალი მიზნებისა და გეგმების ჩამოყალიბებას. მოგზაურობისას ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს მოერიდეთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ენერგიულობა მოგემატებათ და ახალი კავშირების დამყარებაც გაგიადვილდებათ. ახალი პროექტების დასაწყებად კარგი პერიოდია. შესაძლოა, დამატებითი ფინანსები დაგჭირდეთ, რასაც საქმიან პარტნიორთა დახმარებით მიიღებთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება კი არ არის სასურველი, რადგან არსებული ინფორმაცია საკმარისი არ არის. მშობლებთან და შეყვარებულთან მეტი ტაქტიანობა გმართებთ. მოგზაურობისას შესაძლოა, ახალი საქმიანი პერსპექტივები დაისახოთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეცადეთ, თქვენი პრობლემა ახლობლებს თავს არ მოახვიოთ, რადგან ეს უარყოფითად აისახება თქვენს ურთიეთობაზე. მეგობრებსაც ყურადღებას ნუ მოაკლებთ, რათა საყვედურები აირიდოთ. ავანტიურული პროექტები და საქმეები გაგიტაცებთ. კარგი პერიოდია ასაკით უფროს ადამიანებთან საკონტაქტოდ. უცხოეთიდან შესაძლოა, ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც თქვენს გეგმებს განაპირობებს. მოგზაურობის დაწყება კი ჯობს, სხვა დროისთვის გადადოთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**სასიცოცხლო ენერგია და შრომისუნარიანობა მოგემატებათ, რაც მოქმედებას გაგიადვილებთ. პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს დამატებითი ცოდნის ან ინფორმაციის მიღება. პირად ცხოვრებაში ცვლილება კი მეუღლის ან შეყვარებულის განწყობასა და მიზნებზე იქნება დამოკიდებულდი. ეცადეთ, კანონ-წესები არ დაარღვიოთ. კონტაქტებისა და გადაადგილების მრავალფეროვნება კი ხალისს მოგგვრით.**

## 18-24 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ენერგია დაქვეითებას დაიწყებს, ამიტომ ბევრ ადამიანთან ურთიერთობა გაგიჭირდებათ, თუმცა, თავისუფალი დრო შეგიძლიათ, მეგობრებთან შეხვედრისთვის გამოიყენოთ, ნათესავებთან კავშირი და ახლო მანძილზე მოგზაურობებიც სიამოვნებას მოგგვრით. საქმის დაწყება ჯერ არ არის რეკომენდებული, რადგან პრობლემის ძირეულად დანახვა და სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება გაგიჭირდებათ. ეცადეთ, ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციოთ და ხშირად დაისვენოთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**სასიცოცხლო პოტენციალი იმატებს და შესაძლოა, ახალი საინტერესო საქმის შემოთავაზება მიიღოთ. საკუთარ პროფესიულობაში დარწმუნებული იქნებით, თუმცა, გაგიჭირდებათ ადამიანებთან მშვიდად ურთიერთობა. კარგი დროა მეგობრების მოსანახულებლად, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად, ახალი ნივთების შესაძენად და სახლის გასალამაზებლად. საქმიან პარტნიორთან ან თანამშრომელთან სასიყვარულო ურთიერთობას მოერიდეთ, რათა თქვენს ავტორიტეტს ზიანი არ მიაყენოთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ახალ გაცნობილებთან ურთიერთობა რთულად განვითარდება და შემდგომში შესაძლოა, მათ პრობლემა შეგიქმნან. ძველი მიღწევების დაცვა და არსებული მდგომარეობის შენარჩუნება მოგიწევთ. საბუთები შეამოწმეთ და დანაპირებიც დროულად შეასრულეთ, რათა არაპუნქტუალურობის გამო საკუთარ ავტორიტეტს ზიანი არ მიაყენოთ. მოგზაურობა გადადეთ და ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ოჯახური და სასიყვარულო კონფლიქტების ასარიდებლად კარგია განმარტოება.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**მომავალზე ფიქრი და ზრუნვა გაიძულებთ, დროულად გადადგათ მტკიცე ნაბიჯები. ინტელექტუალური საქმიანობა შემოსავალს მოგიტანთ. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას ან გადაკეთებას მოერიდეთ. არსებობს დაპირისპირების ალბათობა ოჯახის წევრებთან ან შეყვარებულთან. შვილებიც მეტ ყურადღებას საჭიროებენ. მხიარული განწყობა კი მეგობრულ ურთიერთობებს უფრო სასიამოვნოს გახდის. გზებზე გადაადგილებისას და მგზავრობისას მეტი სიფრთხილე გმართებთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**საქმეების რაოდენობა და თქვენი პასუხისმგებლობის არეალი გაიზრდება. ახალი საქმის დაწყება ჯობს, გადადოთ, თუმცა, ძველი პრობლემებისგან გათავისუფლება გაგახალისებთ და ოპტიმიზმს შეგმატებთ. კარგი პერიოდია მეგობრებთან დროის გასატარებლად, არსებული პრობლემების განსახილველად, სწავლისთვის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სტუმრად ყოფნისას შესაძლოა, ახალი ადამიანები გაიცნოთ ანდა ახალი რომანტიკული ურთიერთობა დაამყაროთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**სასიცოცხლო ენერგია ნელ-ნელა მომატებას იწყებს და გაიზრდება თქვენი აქტიურობაც. საქმეში წარმატების დაჩქარების მიზნით ოჯახის წევრები და ახლობლები დაიხმარეთ და სხვათა რჩევებსაც უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მოგზაურობისას და უცნობებთან კონტაქტებისას ნუ მოდუნდებით. ოპტიმიზმი დაგეხმარებათ ოჯახისა და პირადი პრობლემების მოგვარებაში. საყვარელი ადამიანისგან კი მუდმივად მხარდაჭერასა და სითბოს შეიგრძნობთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 18,20,23 და 24 დეკემბერი

**13 დეკემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 03.32 საათზე;**
**27 დეკემბერი - სავსემთვარეობა,**

## 18 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.23 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 12.42 საათზე, ჩადის 23.45 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 13.46 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ხელი შეეწყობა სახლში კომფორტის შექმნას და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დღეს რაც შეგიძლიათ აკეთოთ, ხვალისთვის ნუ გადადებთ. აკონტროლეთ ზედმეტი ემოციურობა, ფანტაზიურობა. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, ალექსანდრიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 19 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.23 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 13.06 საათზე, ჩადის 23.58 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 13.54 საათზე. I ფაზა, მე-2 ფაზა იწყება 22.40 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ, ფინანსური სიურპრიზების პერიოდი გვიახლოვდება, შედეგიანია კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქველმოქმედებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვისა და უფლებების დაცვისთვის. არ არის სასურველი საიდუმლო საქმეების წარმოება, სიცრუე, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, დაპირების გაცემა, სესხის აღება-გაცემა, ახალი ფეხსაცმლის შეძენა ან ჩაცმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 20 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.24 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.52) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 13.28 საათზე, ჩადის 21 დეკემბერს 00.59 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 14.00 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.03 საათიდან 02.52 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ ელექტრონული გადახდისას. მოერიდეთ სულსწრაფობას, ზედმეტ ხარჯსა და მსხვილი ნივთების შეძენას. აკონტროლეთ ემოციები, თვალებს ნუ გადაღლით. მაღალია ცდუნებებისა და ილუზიების ალბათობა. ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. შედეგიანი იქნება თირკმლების, ყელის, ენდოკრინული სისტემის, კანის დაავადებების მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ვარჯიშის, სპორტული ნაწარმისა და მჭრელი საგნების, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, პლასტიკური ოპერაციები, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სერდოლიკი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 21 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.24 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 13.51 საათზე, ჩადის 22 დეკემბერს 02.11 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 14.07 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** ძველად საქართველოში ამ დღეს ძველ წელიწადს აცილებდნენ ლოცვით, მადლიერებითა და სათანადო რიტუალებით. ამავდროულად, რთული კარმული ვალების გასტუმრების დღეა — ყურადღებით იყავით. იმატებს აზარტი, კამათისკენ მიდრეკილება. აკონტროლეთ აგრესია, ეგოიზმი, სულსწრაფობა, ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. დაგეგმეთ შეხვედრები და ახალი საქმეები. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, მგზავრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშისთვის, სპორტული ნაწარმის, ავეჯის, მჭრელი საგნების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, ხელმძღვანელთან კონტაქტებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სარდონიტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 22 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** გადაინაცვლებს (07.28) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.25 საათზე, ჩადის 17.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.54) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 14.15 საათზე, ჩადის 23 დეკემბერს 03.24 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 14.16 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.47 საათიდან 06.54 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ზამთრის მზებუდობას, ყველაზე მოკლე დღესა და უგრძეს ღამეს **მზე** გადაინაცვლებს რა **თხის რქის** ზოდიაქოში, გაამახვილებს ადამიანებში ორგანიზებულობას, დისციპლინას, ნებისყოფას, შეუპოვრობას, პრაგმატულობას, კონსერვატიულობას, პასუხისმგებლობის უნარს, შრომისუნარიანობას, მაქსიმალიზმს, ტრადიციებისკენ მიდრეკილებას და ასევე სიჯიუტესა და პირდაპირობასაც. დღეს ახალი მზე იბადება, კოსმოსური პორტალი იხსნება. ილოცეთ და ყველა დალოცეთ, სურვილები ჩაუთქვით. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ავეჯის, ცხოველების შესაძენად, ვაჭრობისთვის, ურთიერთობების აღდგენისთვის, შემოქმედებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი გარისკვა, სულსწრაფობა, საფულე აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარგალიტი, ზურმუხტი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 23 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.25 საათზე, ჩადის 17.34 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 14.42 საათზე, ჩადის 24 დეკემბერს 04.37 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 14.27 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნტიური დღეა. ტენდენციები:** დღეს გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **თხის რქის** ზოდიაქოში, რაც აზროვნებისას გაამახვილებს პრაგმატულობას, კონკრეტულობას, ორგანიზატორულობას და ასევე სიჯიუტეს. დღეს სამყარო შეგიმოწმებთ დასახული მიზნების სისწორესა და მართებულობას. თავისუფალი გრაფიკით იმოქმედეთ. დაამთავრეთ ის საქმეები, რომელთა გადატანა მომავალი წლისთვის არ გინდათ. ტრავმული დღეა, მოერიდეთ სულსწრაფობას, სარისკო ქმედებებს, ცივ და გაზიან სასმელებს, ორპირ ქარს. კარგი დღეა ქორწინებისთვის, რაიმეს შესაძენად. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიში, კანის, თმის, სახის კვება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარჯანი, ონიქსი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 24 დეკემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.26 საათზე, ჩადის 17.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.11) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 15.15 საათზე, ჩადის 25 დეკემბერს 05.50 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.43 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.40 საათიდან 12.11 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **კუროს** ზოდიაქოში გამარჯვების მმართველი **პლანეტა იუპიტერის** შეერთება **თეთრ მთვარესთან — მფარველ ანგელოზთან** ხელს შეუწყობს სასიამოვნო ფინანსურ სიურპრიზებს, წარმატებას, სტაბილურობის მიღწევას და სხვა სასიკეთო ცვლილებებს. სასიკეთოა ლოცვა. რეკომენდებულია ახალი საქმის დაწყება, ახალი ცოდნის მიღება. ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ სიამაყესა და ამპარტავნობას. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, ხელშეკრულების დასადებად, სავაჭრო გარიგებებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, მიმოწერისთვის. არ არის სასურველი ბევრი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა. მიღებული ინფორმაციებიც შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, ქარვა, იაგუნდი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.






## საეკლესიო კალენდარი



18 დეკემბერი - ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა საბა განწმედილისა

✝ 18 დეკემბერი. ორშაბათი. **ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა საბა განწმედილისა;** მოწამისა ანასტასისა; ღირსთა კირიონ ბერისა და ძისა მისისა ზაქარიასი, ეგვიპტელთა.

✝ 19 დეკემბერი. სამშაბათი. **ნიკოლოზისა, მირონლუკიის მთავარეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.**

✝ 20 დეკემბერი. ოთხშაბათი. ამბროსისა, მედიოლანელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ათინოდორე მონაზონისა; ღირსისა პავლე მორჩილისა; მოწამისა ფილოთესი.

✝ 21 დეკემბერი. ხუთშაბათი. ღირსისა პატაპისა; მოციქულთა 70-თაგანთა: სოსთენისა, აპოლოსისა, კეფასი, ტვიქიკესი, ეპაფროდიტესი, კესარისა და ონისიფორესი; მოწამეთა 62-თა ხუცესთა და 300-თა ერისკაცთა, აფრიკაში არიოზელთაგან მომწყდართა; მოწამისა ანთისა რომაელისა.

22 დეკემბერი. პარასკევი. **მუცლადღება მართლისა ანას მიერ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა; წინასწარმეტყველისა ანასი, სამოელ წინასწარმეტყველის დედისა;** სოფრონისა, კვიპრელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა სტეფანე ახლადგაბრწყინებულისა.

✝ 23 დეკემბერი. შაბათი. **მოწამისა მეფისა ვახტანგ III-ისა, წმიდა მეფის დემეტრე თავდადებულის ძისა;** მოწამეთა: მინასი, ემოგენისა და ევგრაფისა; მოწამისა გემელი პაფლაგონიელისა; ღირსისა თომასი; ნეტართა: იოანესი და მშობელთა მისთა: სტეფანესი და ანგელინასი.

✝ 24 დეკემბერი. კვირა. **ხსენება ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა;** ღირსისა დანიელ მესვეტისა; მოწამისა მირაქსისა; მოწამეთა აკეფსესი და აითალასი; ღირსისა ლუკა მესვეტისა.






### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. რენესანსი; 8. ვისკოზა; 12. დრაკონი; 13. პისტოლეტი; 14. ზარნაშო; 15. შკიპერი; 16. ალიგატორი; 21. ტროპარი; 22. რუბიკი; 25. ანტარქტიდა; 26. ფაზისი; 29. ნარინჯი; 30. კომუნიკე; 31. ნერონი; 32. რეინოლდსი; 33. დილიჟანი; 37. კილიტა; 39. სილიო; 42. სინი; 43. პერიკარდი; 46. მარმელადი; 47. მარიფათი; 51. რილკე; 52. ტიტანიკი; 56. დელიკატესი; 58. ურნა; 59. აფერისტი; 60. პირამიდონი; 61. ოსკარი.

შვეულად: 1. რუპია; 2. ნესვი; 3.; სკოლა; 4. ნიელო; 5. იდიში; 6. კარიბუ; 7. პოკერი; 8. ვიზიტი; 9. სარკომა; 10. ონავარი; 11. ანონიმი; 17. ლონდონი; 18. გრადუსი; 19. ტაქტიკა; 20. როიტერი; 22. რანჟირი; 23. ბორჯომი; 24. კენედი; 26. ფინიკი; 27. ზარალი; 28. სონეტი; 33. დეპი; 34. ლურჯა; 35. ჟოკეი; 36. ნორმა; 38. ინგირი; 39. სიმი; 40. ლურჯი; 41. ოპერა; 42. სტამი; 44. მალარია; 45. მხედარი; 47. მხეცი; 48. რკინა; 49. ფლავი; 50. თვე; 52. ტიფი; 53. ტურა; 54. ნასა; 55. კლიო; 57. სან.

რეტირადიუსინათლობადალიდასტარიგაბანანილოსი
ტოსკანაპალმირადარიალიკაპილარიქსილოლიტაოდა

| საზოგადოებრივი საპირფარეშო | ბრმა | ტოლი, სწორი | მედუდუკეთა ანსამბლი | ლატვიის დედაქალაქი | ტროპიკული ხილი | ცხენ-ირემი |
|---|---|---|---|---|---|---|
| თავბრუ | დიამეტრის ნახევარი | ნადიმი ნათლასთან დაკავშირებით | ფრანგი მომღერალი ქალი | „ბითლზის“ წევრი | დოლჩეს მეწყვილე დიზაინერი | მდინარე აფრიკაში |



თარაზულად: 1. აღორძინების ხანა ევროპაში (მე-14-მე-16 საუკუნეებში); 7. ხელოვნური აბრეშუმი; 12. ზღაპრული ფრთოსანი გველი; 13. ხელის ცეცხლსასროლი იარაღი; 14. დიდი ბუ; 15. სატვირთო გემის კაპიტანი (ძვ.); 16. აგიტაციის გამწევი პირი; 21. დღესასწაულთან დაკავშირებული სალოცავი ლექსები ან გალობა მართლმადიდებელ ეკლესიაში; 22. ცნობილი სათამაშო კუბიკის გამომგონებელი; 25. სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარე კონტინენტი; 26. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი; 29. ციტრუსოვანი მცენარე; 30. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ; 31. რომის იმპერატორი; 32. ინგლისელი ფიზიკოსი; 33. ქალაქი სომხეთში; 37. ფოლგა; 39. ერთგვარი საჭმელი სოკო; 42. ლანგარი; 43. გულის პერანგი; 46. ხილის ტკბილეულის ნაირსახეობა; 47. შნო, მოხერხება; 51. ავსტრიელი პოეტი; 52. ჯ. კამერონის ფილმი; 56. სანუკვარი გემრიელი საჭმელი, ნუგბარი; 58. საარჩევნო ყუთი; 59. ყალთაბანდი; 60. იგივეა, რაც ამიდოპირინი; 61. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო.

შვეულად: 1. ინდოეთის ფულის ერთეული; 2. ბოსტნეული მცენარე; 3. საშუალო სასწავლებელი; 4. მოსავადების ტექნიკა; 5. ევროპის ებრაელთა ენა; 6. ჩრდილოეთ ამერიკული ირმების სახელი; 7. ბანქოს თამაში; 8. სტუმრობა; 9. ავთვისებიანი სიმსივნე; 10. ცელქი, ანცი; 11. უცნობი ავტორი; 17. ქალაქი ინგლისში; 18. ტემპერატურის საზომი ერთეული; 19. ბრძოლის წარმოების წესები; 20. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო; 22. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში; 23. ქართული მინერალური წყალი; 24. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 26. ინდის ხურმა; 27. ქონებრივი დანაკლისი; 28. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 33. ამერიკელი მსახიობი ჯონი ...; 34. გ. ტაბიძე — „... ცხენები“; 35. დოღში მონაწილე პროფესიონალი მხედარი; 36. ბელინის ოპერა; 38. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 39. საკრავზე გაბმული მავთული; 40. სპექტრის ფერი; 41. ხელოვნების დარგი; 42. „ბითლზის“ წევრი; 44. ციებ-ცხელება; 45. ჭადრაკის ფიგურა; 47. ნადირი; 48. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 49. მოხარშული ბრინჯი; 50. წელიწადის 1/12; 52. გადამდები დაავადება; 53. გარეული ცხოველი; 54. აშშ-ის კოსმოსური კვლევის ცენტრი; 55. ეპიკური პოეზიის ბერძნული მუზა; 57. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| იტალიის ოლქი | სანქტ-პეტერბურგის პოეტური სახელი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში | წვრილი სისხლძარღვი | ორგანული ნაერთი, გამხსნელი | ....-კლარჯეთი | კავშირი |
|---|---|---|---|---|---|---|
| პუჩინის ოპერა | ლაბისებრი საწვავი პროდუქტი | ლოკატორი | ხის ალვირი | ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე | ნაბოკოვის რომანი | სახოტბო ლექსი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 18 — 24 დეკემბერი №54 (1518)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


